აკაკის

თვიური

# კრებული

წელიწადი პირველი

№ VI

თებერვალი, 1898

თფილისი

Тип. М. Шарадзе и к°. ник. 21. ||| სტამბა მ. შ. და [illegible] № 21.

1898

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го января 1898 г.

# შინაარსი.

## განყოფილება

## I


| | | გვ. |
|---|---|---|
| I | **სიზმარი**, ლექსი | 1 |
| II | **უბრალო საუბარი** | 4 |
| III | **ცხოვრება**, ლექსი | 15 |
| IV | **სამი ლექცია „ვეფხვის-ტყაოსანზე“ — ლექცია II და III** | 19 |
| V | **სიყვარული**, ლექსი | 57 |


## განყოფილება

## II


| | | |
|---|---|---|
| VI | **თორნიკე ერისთავი**, ისტორიული პოემა | 1—75 |


## განყოფილება

## III


| | | |
|---|---|---|
| VII | **ხელმწიფის ცოლი, ქალ-ბატონი,** ზღაპარი, ჩაწერილი მღვდ. ნ. მაღალდაძისაგან | 1 |
| VIII | **სიბრძნე სოლომონისა**, ზღაპარი, მისგანვე ჩაწერილი | 21 |
| IX | **სიზმარა**, ზღაპარი, ჩაწერილი ი. მთავრიშვილისგან | 29 |
| X | **ხალხური ლექსები** (შეკრებილი სოსიკო მერკვილაძისაგან). | 38 |

# სიზმარი

ერთხელ მხოლოთ, ისიც ძილში,
ქართველ ქალთა ვნახე კრება;
გეფიცებით, მისი ნახვა
ახლაც ისევ მენატრება!

---

ტახტზე იჯდა თამარ მეფე,
მომხიბლავი, ეშხიანი!...
მარცხნით უდგა თინათინი,
მარჯვნით—ნესტან-დარეჯანი.

---

გარს ეხვივნ სხვა ქალებიც,
როგორც მთვარეს ვარსკვლავთ კრება,
ცალ-ცალკე და ყველა ერთად
სიცოცხლე და ნეტარება!...

---

შემოვიდა რუსთაველი,
ის სულ-მნათი და მგოსანი,
ხელში ეპყრა მოწიწებით
მისი „ვეფხვის-ტყაოსანი."

---

თაყვანი სცა სწორ უპოვარს,
მის წინ მუხლი მოიყარა...
გაიღიმა ტახტზე მჯდომმა
და ცრემლები გადმოღვარა!...

---

მზის ჭიატის დარი იყო
უცნაური ის ღიმილი
და თვით გრძნობის ორჭოფობაც
ცრემლში იყო ჩალესილი:

---

მასაც მგოსნის თანა-გრძნობა
გულში ედვა, როგორც ქალსა,
მაგრამ უნდა დაეჭირა
თავი, როგორც დედოფალსა!

---

ბრძანა: «გმადლობ, ვერ გადვიხდი,
როგორც მეფე, დღეს შენს ვალსა,—
უკვდავების მოსახვეჭათ
მიგაპირებ მომავალსა!...

---

მაუბრუნდა მერე იქ მდგომ
ნესტანსა და თინათინსა:
«თქვენ გილოცავთ ამ ქვეყნიურ
სიყვარულს და შვება-ლხინსა!»

---

— «გიანდერძებთ საქმროთ ყველას
ტარიელს და ავთანდილსა,
რომ ქართველი ქართველ გმირათ
გამოზრდიდეს შვილი-შვილსა!»

---

ეს რომ ბრძანა, ნათლის სვეტათ
გადმოეშვა ცისარტყელა...
აიტაცა შუქმა შუქი
და მას გაჰყვა თანვე ყველა!...

---

მე კი დავრჩი... შემეშინდა!...
მიმოვავლე გარს თვალები
და რა ვნახე იმათ ნაცვლათ?!
სხვა ხალხი და სხვა ქალები!!

---

არც თამარი, არც თინათინ,
აღარც ნესტან-დარეჯანი!...
აღარც ერთს არ ეტყობოდა
ქართველობის რამ ნიშანი!....

---

გული დამწყდა!... გამეღვიძა,
ნაღვლიანათ გამეცინა!...
ვთქვი: «ნეტავი არ მენახა,
საუკუნოთ დამეძინა!...»

# უბრალო საუბარი

„ბუზი ყველა ბზუისო და ფუტკართან-კი ტყუისო“ — ამბობს ქართული ანდაზა. აქედან ჩანს, რომ ჩვენს ხალხს კარგათ ჰქონია შეგნებული ფუტკრის უპირატესობა სხვა მწერებზე. ჰქონია, მაგრამ მაინც კიდევ ეზარება ფუტკრის მახლობლობა! აბა შეფრინდეს ვისმე ოთახში ის, სულისა და ხორცის დამატკბობელი, თავ დადებული ქვეყნის მუშა, თუ ყველამ — დიდმა და პატარამ, ქალმა თუ კაცმა, ერთ ხმათ არ დაიძახოს: „არიქა, მოერიდეთ! გააგდეთ! გვიშველეთო!“ და სხვა. მაშინ, როდესაც ყოვლად უმნიშვნელო და უსარგებლო, ჭრელი პეპელა ან ციცინათელა რომ შეუფრინდეთ, იმათ-კი სიამოვნებით დაუხვდებიან, დაიჭერენ, ხელის გულზე აგოგმანებენ და უბეშიაც ჩაისმენ. „რა სასიამოვნოთ კიაფობს ბნელაში ეს უწყინარი ციცინათელაო! რა შვენიერათ შეფერადებულია ეს პატარა პეპელაო?!“ — გვესმის ხშირათ. — „ფუტკარი-კი ულამაზოა, მოუსვენარი, დაბზუის აქეთ-იქით, ხან ერთ მყრალ ბალახს შემოევლება თავს, ხან მეორეს და მასთანაც კბენა იცისო.“ ეს არის საზოგადო აზრი, მაგრამ განა — მართალია? ვის უნახავს, რომ ფუტკარი ვისმე მივარდნოდეს და ეკბინოს, თუ არ გაჭირვების დროს, როდესაც სხვებს პირ იქით მოუნდომებიათ მისი მოკვლა და საქმეში ხელის შეშლა? ის კი მართალია, რომ მთელი დღე მოუსვენარათ დაჰფრენს და დაბზუის ხან აქ, ხან იქ; ხშირათ მყრალ ბალახებსაც გარს უტრიალებს, მაგრამ ეს განა უსაქმურობითა და თავის უპატიურობით მოუდის?! არა! ის ეძებს ყველგან იმ ნექტარს, ყვავი-

ლების იმ ტკბილ ნაწილებს, რომლისაგანაც ამზადებს თაფლსა და სანთელს. ძებნის დროს ათასგან მოტყუვდება, მაგრამ ერთგან-კი მაინც, იმ ძებნის წყალობით, სადმე მიაგნებს, რასაც ეძებს და შეუდგება საქმეს. არავის უნახავს, რომ ის უსარგებლო და გამოუდეგარ რამეზე დიდ ხანს გაჩერებულიყოს და ან სასარგებლოსათვის მალე თავი დაენებებინოს. „მოუსვენარიაო! ერთ ალაგას დიდ ხანს არ გაჩერდება, რომ ფეხალაგოზ იმუშაოსო!“ ჰმ!... განა ნეხვისჭიაა, რომ ფეხალაგობ, მშვიდობიანათ ფუნე აკვარკვალიტოს და აკოტრიალოს დილიდან საღამომდე?! ამის განსჯაში ვერ შევა ის, ვისთვასაც ყოვლის შემძლებელს გონების თვალი არ მიუნიჭებია და ვაი ფუტკრის ბრალიც მათ ხელში!... ამ პატარა მწერის დღე ადგებათ თვით ადამიანებშიაც ნამდვილ საზოგადო მოღვაწეებს, როდესაც ფუტკრისა და აბრეშუმისჭიის ადგილს ჭრელი პეპლები, ციცინათელები და ნეხვის ჭიები იჭერენ ხოლმე. ეს უსამართლობა იქ უფრო ჭრის, სადაც ხალხი გონების დაბალ საფეხურზე დგას. და, რაღა თქმა უნდა, რომ ამ უგნურების კანონს ვერც ჩვენ, ქართველები, ავცდებოდით. უეჭველია, ზოგიერთები გაივლებენ გუნებაში, რომ ვითომც მე აქ ჩემ თავზე ვამბობდე და ჩემი მეგობრები მყავდეს მხედველობაში, მაგრამ ის ღმერთმაც იცის და კაცმაც, რომ ჩემი თავი ფუტკრათ არ მიმაჩნია და ჩემი მეგობრები ყაჭის ჭიებათ. მხოლოთ მსურველი კი ვარ, რომ იმათ გამრავლება მოვესწრო ჩვენში. მანამდი-კი, გურამიშვილის თქმისა არ იყოს, „სულ ბნელია, რაცა ელავს.“ ყველგან თაღლითობაა ჯერ-ჯერობით და თვალის მოტყუება!...

ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისეთი არა გაკეთებულა რა თვითო-ოროლა ვისგანმე, რომ იმავე დროს

ათისა და ასისაგან ოცი იმდენი არ წახდენილიყოს. თუმცა ახალ-თაობა, ე. ი. ჩვენი ინტელიგენცია, დასებადაც კი დავჰყავით, გენიოსებიც გამოვნახეთ, მათთან ერთად სხვებიც ბევრი ამოვაჩინეთ: მეცნიერები, პუბლიცისტები, პოეტები, ბელეტრისტები, კრიტიკოსები, ისტორიკოსები და სხვანი და სხვანი!... ისე არც ერთ მათზე ხმას არ ამოვიღებთ, რომ შეფრქვევით არ მოვიხსენიოთ: „გამოჩენილი", „ცნობილი", „შესანიშნავი" და სხვანი, მაგრამ ეს სულ უბრალო თავის მოტყუებაა და ქვეყნის თვალის ახვა! თაღლითი, რაც უნდა ძვირათ აფასო, მარგალიტობას მაინც ვერ იზამს! დიდი სითამამით გავიძახით ხოლმე: მესამოცე წლებმა ეს მოგვცა და ისო, მაგრამ, „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო"—ნათქვამია. ერთი მიმითითონ: ვინ არიან ან პოეტები, ან პუბლიცისტები, ან მეცნიერები, ან კრიტიკოსები და ან კიდევ სხვა სარბიელზე სადმე საზოგადო მოღვაწეები? ის, ვინც საზოგადო საქმეებს იმდენათ ეპოტინება, რამდენადაც მხოლოთ სასარგებლოა საკუთრათ მისი პირადობისათვის, განა მართლა საზოგადო მოღვაწეა?! ეთქმის მწერალი მისთანა თავხედსა და გამბედავ მჯღაბნელს, რომელმაც არც ენა იცის, არც მართლ-წერა, არც განვითარებულია და არც თავის ქვეყანასა და ხალხს იცნობს?! რასაკვირველია არა! და ჩვენში-კი უმეტესობა ამ ცოდვაშია ჩავარდნილი. ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში თავხედმა და უმეცარმა მწერლობამ ისე გარყვნა ენა, რომ დღეს ქართული ქართულს აღარა ჰგავს. მის ნაცვლათ, რომ ძველი წიგნები გადაიკითხონ, ხალხის სიტყვა-პასუხს ყური დაუგდონ, ენის ხასიათს დაუკვირდენ, მისი გრამატიკული კანონები შეისწავლონ დ̃ ისე სწერონ, ისინი თავის საკუთარი გა-

მონაგონი სიტყვებით და ფრაზებით ნავარდობენ! სიტყვების მნიშვნელობა არ ესმით და აზრს აუკუღმართებენ: „დაბოლოება“ და „ბოლოს მოღება“ ერთი და იგივე ჰგონიათ; „ცხენზე გადავარდას“ მაგიერათ „ცხენიდან გადავარდას“ ხმარობენ; „ფაიტონი დამიძახეო“, „კაცი ვცემეო“, „მე რომ შენი ვიყოო“ (მე რომ შენ ვიყოს მაგიერ), „ეს წიგნი ერთი მანეთი ღირსო“ და სხვანი. თვითონ არ იციან, მაგრამ ამ თავის უმეცრებას ისეთი თავ-მოყვარეობით-კი აფარებენ ხელს, რომ ყოველგვარ შენიშვნას შეურაცხყოფათ მიიღებენ და თავისას მაინც არ იშლიან! ენამ, თუ გინდათ, თქვენი ჭირი წაიღოს, თუ აზრი მაინც რამეა მათ ნაწერში და თუ შემოქმედებითი ძალას მაინც არ არიან მოკლებული? მაგრამ, ვაი, რომ აქ კიდევ უარესი ჭირია! გარდა უხეირო მიმბაძაობისა მათ არა ეტყობათ-რა! აქაო და ერთხელ რუსთველმა ამ შვიდასი წლის წინეთ თქვაო:

„თუ კაცი კაცად არ ვარგა,
ცუდია გვარიშვილობა“-ო —

ახირდებიან დღევანდელი პოეტები და ვითომ ახალ რამეს გვეუბნებიან, როცა იმავე აზრს გადამახინჯებულათ გვიჯღაბნიან:

„რა არის აბა გვარიშვილობა
და დიდ-კაცობა? სულ არაფერი!...
კაცი მაშინ ხარ, თუ გიყვარს გლეხი
და გებრალება საწყალი ერი!“ო.

ამას რომ წაიკითხავენ დღევანდელი კრიტიკოსები, დაიღრიალებენ: „ვაშა! ვაშაო!“, რუსთველზე მაღლა დააყენებენ და ატყდება ერთი განგაში! რაც შეეხება შემოქმედებითი ნიჭს და საკუთარ აზრს, ხშირათ, როგორც თვით მწერლებს, ისე იმათ კრიტიკოსებსაც ობ-

როდობა პოეზია ჰგონიათ: მაგალითად—„დევის ძუძუ მიწოვიაო“, ესე იგი, უბრალოთ რომ ვთქვათ, მთაში ვყოფილვარ და იქ მთის წყალი დამილევიაო; „ცას ფოლაქები აშვენებენო“, ე. ი. ცაზე ვარსკვლავები არიანო, „ცაზე მჭადი მოცურავდაო“—ვითომ მთვარე ამოდიოდაო, „აღმოსავლეთით აინთო თორნეო“—ვითომ მზე უნდა ამოსულიყოო და სხვანი და სხვანი. ესეები ყველა, ჩვენი კრიტიკოსების შეხედულობით, სულ პოეტური მხატვრობა-წარმოდგენა არის და ამტკიცებს უდიდეს შემოქმედებითი ნიჭს! სწორეთ ამნაირათვე აზვიადებენ ჩვენში ყოველ გვარ მოღვაწეს, რა სარბიელზედაც უნდა იყოს, და აწერენ მისთანა რამეს, რომელიც იმათ სრულიადაც არ დაუმსახურებიათ და მხოლოთ პურ-მარილით, ქლესაობითა და დამეხმარე-დაგეხმარებით უშოვნიათ ქვეყნის მოსატყუებლათა და ბრბოს სახელნათ!...

დიდია ამ მატყუარების ცოდვა, მაგრამ ერთი ასათ უფრო უდიდესია იმ მეთაურ პუბლიცისტების დამნაშაობა, რომელნიც ქვეყანას მეთაურობას უწევდენ და კლდეზე-კი მიჰყავდათ გადასაგდებათ!... და მიტომაც ჯერ-ჯერობით ჩვენც არას ვიტყვით სხვა ჩვენ მოღვაწეებზე და პირდაპირ დავიწყებთ პუბლიცისტებიდან.

ჩვენი პუბლიცისტები რომ შორს მჭვრეტელობას მოკლებული არიან და რაც თვალში ძალა-უნებურათ არ ეჩხირებათ, იმას ვერ შენიშვნენ, ეს ვინ არ იცის? მათი ქცევით კიდევაც მოგვაგონებენ ერთ ამბავს: მთავარ-მართებელი მიბრძანდებოდა მარტვილში და მაზრის უფროს უბრძანა: „როცა გამოჩნდეს გზიდან ტაძარი,—მიჩვენეო!“ სანამდი მარტვილში არ მივიდენ, მაზრის უფროს ხმაც არ ამოუღია და რომ მივიდენ, მაშინ გა-

მოეჭიმა უფროსს და მოახსენა: „ეს გახლავთ მარტვილიო!“ გაეცინა მთავარ-მართებელს და უთხრა: „შე ტუტუცო, ახლა ხომ უშენოთაც ვხედავო?“ ამისი არ იყოს, ჩვენი მოწინავე პუბლიცისტები, როცა ეკალი ითესება ცხოვრებაში, მაშინ ხმასაც არ იღებენ, ზოგი მიუხვდომელობით და ზოგიც საპირადო ცბიერობით, რომ არავინ მოიმდურონ. როცა ის თესლი, ეკლათ ამოსული, ქვეყანას ფეხში ეჩხვლიტება, მაშინ-კი დიდი თავმომწონებით იძახიან: „ეკალია და იჩხვლიტებაო!“ სად იყო წინამორბედობა და წინასწარმეტყველება მესამოცე წლების პუბლიცისტებისა მაშინ, როცა ის ითესებოდა, რაც დღეს ხალხის შემაწუხებელ ეკლათ ამოსულა და იჩხვლეტება?! მართალია, ხალხი ამბობს: „ურემი რომ გადაბრუნდება, გზაც მაშინ გამოჩნდებაო“, მაგრამ ამას დაცინებით ამბობს და არა დაუდევრობისა და უგნურების გასამართლებლათ. მაშინაც და დღესაც ჩვენი ვითომდა პუბლიცისტები, თავის თავად ვერაფრის მომხერხებელი, მხოლოთ სხვის სიტყვებს იმეორებდენ ბავშვური მიმბაძაობით!... მოჰკრავდენ ყურს თუ არა, ამა და ამ უცხო მხარეში სადმე ეს და ეს კითხვებია აღძრულიო, ისინიც მაშინვე იმავე საკითხვებს, იმავე საგნების შესახებ გადმოიტანდენ ხოლმე ჩვენში და იმას-კი არ დაგიდევდენ, თუ რამდენათ საჭირო იყო ჩვენთვის და გამოსადეგი ჩვენი ქვეყნისათვის? რომ ცილის წამება არავინ შეგვწამოს, გავიხსენებთ მაგალითებს.

ადრე სომხები, გარდა სარწმუნოებისა, არაფრით არ განსხვავდებოდენ ქართველებისაგან; და ან-კი რას უნდა განესხვავებია, როდესაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში მამა-პაპით და პაპის-პაპით შეუსისხლხორცდენ ქართველობას? მშობლიური ენა შეიქმნა მათთვის ქა-

რთული და ისტორიაც ერთი და იგივე ჰქონდათ. მესამოცე წლებში შემოვიდენ თფილისში ოსმალოსა და სპარსეთის სომხები გადაჰრილი პროგრამით. სხვათა შორის ამტკიცებდენ, რომ ვინც უნდა იყოს სომხის სარწმუნოების აღმსარებელი, რა ერსაც უნდა ეკუთვნოდეს ჩამომავლობით, მაინც სომეხია და სხვა ნაციას არ უნდა ეკუთვნოდესო; დედა ენათაც სომხური ენა უნდა აღიაროს, თორემ ,,უფალო შეგვიწყალე'' თუ სხვა ენაზე თქვა და არა სომხურზე, ეკკლესია არ შეიწყნარებს და უ ,,ტერ ვოღორმიაოთ'' სასუფეველში ველარ შევაო! ამით შეაშინეს ამათ მორწმუნე დაბალი წოდების ხალხი. მაღალ წოდებასაც სხვა იმედები მიცეს და შეუდგენ საქმეს. გამართეს შკოლები, დაიწყეს ქადაგება და არა თუ მარტო თფილისში, სხვა ადგილებშიაც—გორში, სიღნაღში, თელავში, ახალქალაქში, საჩხერეში, ჩხარში და სხვაგან, სადაც ათისა და თორმეტი საუკუნის განმავლობაში ხმა არ ამოღებულა სომხურათ, დაიწყეს ამ ენის შესწავლა. თუ რა პროგრესიულათ მიდიოდა მათი წარმატება საზოგადოთ, ამას „ხოჯივანქის სასაფლაო“ გვიჩვენებს, სადაც მესამოცე წლებამდი საფლავის ქვები მხოლოთ ქართულათ არიან წარწერილი; მერე ათი წლის განმავლობაში თან-და-თან სომხური ეპარება ქართულთან ერთად და შემდეგ-კი სულ სომხურ ენაზეა წარწერა. ენას გარდაც, ნელ-ნელა ყოველ გვარი კავშირი გაწყვიტეს მკვიდრ ქართველებთან და მტრული თვალით შეხედეს. ამ ოცდა ათი წლის მათმა შრომა-მეცადინეობამ უნაყოფოთ არ ჩაიარა და დღეს ისე მაგრათ ჰყავსთ ქართველობა ჩაბოჭვილი, რომ, თუ სტიქიონურმა რამემ არ უშველა, ცუდათ არის მათი საქმე!... უცხოეთიდან გადმოსულმა სომხებმა ისინიც-კი გადიბირეს, რომელნიც, ძირეულათ ჩამომავლობით, ქარ-

თველები იყვნენ და მხოლოთ სომხის სარწმუნოებასა-კი აღიარებდენ, მაგალითად, კახეთის, გორის და ახალციხის მაზრის მცოვრებნი. ეს რომ ასე უნდა მომხდარიყო,— ცხადი იყო, მაგრამ ქართველი პუბლიცისტების უკიდო ლიბერალობამ ვერ დაინახა ეს სულ სხვას გაიძახოდა. მხოლოთ ერთმა მათგანმა ამ ოცდა ათი წლის წინეთ წინ-და-წინვე იწინასწარმეტყველა ყოველივე „დროებაში“, მაგრამ თვითონ ქართველებმა მიაყარეს ქვა და გუნდა შემნიშვნელსაც და რედაქტორსაც. იმ დღიდან აქამდე ხელის შემშლელი აღარა ვინ ჰყოლია სომხების შორ-მჭვრეტელობასა და მეცადინეობას. ხშირათ ისინი, სხვა-და-სხვა გვარი თავზე ხელის მოსმით, ისევე ჩვენებს იხვევდენ გარს მათ საქმეში მომხრეთ. დღეს-კი ხედავენ მესამოცე წლების პუბლიცისტები, მაგრამ იმას უყეფენ, რისთვისაც ამ ორმოცი წლის წინეთ უნდა მიექციათ ყურადღება! და დღეს, რაც ახალი ეკალი ითესება, იმას კიდევ მაინც ვერა ხედვენ და უკანა რიცხვებით მოანგარიშე გამჭრიახობით ამაყობენ! ეს ერთი. მეორე: ბატონ-ყმობის გაყრის დროს, როდესაც მომრიგებელ შუამავლის კავშირობით თავად-აზნაურობა და გლეხობა ისევ გადაბმულათ დარჩა, როგორც იმერეთში, ისე ქართლ-კახეთში, მოხუცებულებმა ითხოვეს: „რადგანაც მთავრობამ გამოიჩინა ჩვენზე მისი მამობრივი მზრუნველობა და ბატონ-ყმები გაგვყარა, უმჯობესია ამ თავითვე სულ გავშორდეთ ერთმანეთს; რაც მოგვივა, მოგვივიდეს, მხოლოთ-კი ვიცოდეთ: ან ჩვენი რა არის და ან მათი, თორემ ეს სააპეკუნო შუამავლობა, საქმეს გაამწვავებს ჩვენ შორის და მტრობა თავს იჩენსო!“ იმათ ინსტიქტიურათ იგრძვნეს ის, რაც მართლა მოსალოდნელი იყო

და მაშინდელი ინტელიგენცია-კი მარტო უგალობდა წუნ დაუდებლათ იმ დიდებულ აქტს.

ამ გვარადვე მოიქცა ჩვენი პუბლიცისტკა სხვა-დასხვა რეფორმების შემოღების დროს. ოღონდ-კი ძველი გადავარდნილიყო, და მის სამაგიეროთ როგორიც უნდა შემოეღოთ,—სულ ერთი იყო. ახალი სამართალი ცოტა გადასხვაფერებულათ შემოიღეს ჩვენში ადგილობრივი მთავრობის მეცადინეობით. და სწორეთ მისი ბრალი შეიქნა, თუ ის ნაყოფი ველარ მოუტანა ჩვენს ხალხს სამსჯავროებმა, რომელიც მოსალოდნელი იყო. მაგალითად, რუსეთში მომრიგებელ მოსამართლესთან მიდის პირდაპირ მომჩივანი და სიტყვიერათ ეუბნება მსაჯულს საქმის გარემოებას; მსაჯულიც მოუსმენს და მაშინვე ხელათ უჭრის სამართალს. ჩვენში-კი სიტყვიერი საჩივარი შეუძლებელია. უნდა წერილობით განაცხადოს იმ ენაზე, რომელიც მას არ ესმის და, ცხადია, თავისი მაგიერი უნდა მონახოს ვინმე. საწყალ ხალხს იმდენი შეძლება არა აქვს, რომ ნაფიცი ვექილი აიყვანოს და ხელში უვარდება იაფ, გაიძვერა სოფლის „აბლაკატს", რომელიც იქით გადიწევს, საიდანაც მეტს აიღებს. თვითონ მსაჯულებიც იძულებული არიან, რომ ფორმას, გარეგნობას მისდიონ და მიტომაც ახალმა სამსჯავრო წეს-წყობილებამ ველარ მოიტანა ჯეროვანი ნაყოფი. დიდ განსაცდელში არის ჩავარდნილი ქვეყანა!... ერთად ერთი ხსნა მხოლოდ-ღა ერობის შემოღებაშია და ნაფიცი მსაჯულების განწესებაში, რომელზედაც დღეს ბევრს ლაპარაკობენ და ზოგან კიდეც ამტკიცებ, რომ ჯერ-ჯერობით უდროვოა ვითომ ჩვენი ხალხისათვის ამათი შემოღება.—„განა შეიძლება იქ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი, სადაც აქაური მკვიდრნი თავისიანებს,

გინდ ავაზაკი იყოს, ხელს აფარებენო?!“ ამას, რასაკვირველია, უმეცრება ალაპარაკებთ, თორემ არასოდეს ჩვენი ხალხისაგან ქვეყნის ორგულობა და ცუდ-კაცობა შეწყნარებული არ ყოფილა და არც იქნება.

დღეს რომ ჩვენი ერი ზნეობრივათ დაცემულია და სარწმუნოებაზედაც გაგულგრილებული, ეს მხოლოთ ახალი გარემოების ბრალია. ამ გარემოების გასწორება მხოლოთ ერთად-ერთს ერობას და ნაფიც-მსაჯულების შემოღებას შეუძლია.—„როგორ შეიძლება იმ ხალხისითვის ამ უფლების მინიჭება, სადაც ცრუ ფიცი არად მიაჩნიათ და თვით ავაზაკებსაც ხელს აფარებენო?!“—ყვირიან ზოგიერთები, მაგრამ ისინი ვერ იცნობენ ქვეყანას, არ არიან ხალხის გულში ჩახედული და მიტომ უთითებენ კალთიდან გამოშვერილ მამლის ბოლოს და თვითონ მამალი-კი, კალთაში გამოხვეული და დამალული, ავიწყდებათ! ძირეულ მიზეზსა მხარს უქცევენ და იძულებით გამოწვეულ შედეგს-კი მიზეზათ აღიარებენ!... აბა მოისპოს ქვეყნის შეუფერებელი მიზეზები, თუ შედეგიც თავის-თავად არ გაჰქრეს! მართალია, ზოგჯერ მომხდარა, რომ სოფელს ესა თუ ის გავარდნილი ავაზაკი არ გაეთქვას, არ გაეცეს, მაგრამ ეს მოსვლია შიშით და არა ცუდ-კაცობის მომხრეობით. ბევრი მაგალითი ყოფილა ჩვენში, რომ თვით სამსჯავროში, როდესაც ნაფიც მოწმეს მართალი უჩვენებია, დამნაშავეს დაეძახოს მისთვის: „მაშ კარგი! ხომ გამამხილე და ნახავ, რაც მოგივაო!“ მართლაც რამდენიმე ხნის შემდეგ მიპარულა, მიჰრილა მის სახლში, ციმბირიდან გამოქცეული, დაბრუნებული ავაზაკი, და აუკლია!... გავარდნილებმა, რომელთაც პოლიცია დასაჭერათ დასდევდა განა ცოტა მოკლეს და გააფუჭეს ჩვენში: რათ

გაგვეცით და აცნობეთ პოლიციას ჩვენი აქ ყოფნაო? აჭარელმა თქვა: „ვიცი მამი ჩემის მკვლელი არ ცხონდება, მაგრამ მე რაი, მამას ვინღა გამიცოცხლებსო?“ ამისი არ იყოს, ერთხელაც იქნება, ავაზაკს თავის გადახდება, მაგრამ რა ეშველებათ და რა ნუგეში ეძლევათ მისგან დაღუპულებს? ამას ყოლიფერს ხედავს ხალხი და არა თუ ვეღარ დევნის ავაზაკებსა და ცუდ კაცებს, პირ იქით, შეშინებული, იძულებული ხდება, იმათ ნებასურვილზე იაროს!... ესეები ყველა დაფარულია უცხოებისათვის და მათი რეფერატები და მსჯელობაც წარმოდგენილი, ოცნებითი ზღაპარია! სად არიან ჩვენი პუბლიცისტები, რომ ჩვენი ქვეყნის ავსა და კარგს არ გამოააშკარავებენ და სიმრთელეს ფეხს არ მოაკიდებიებენ ცხოვრებაში?! სად არიან და თავისთვის კაბინეთში და ან იმ სადილ-ვახშამზე, რომელსაც მეგობრები მათ უკეთებენ და „ვაშა-ვაშას“ ძახილით შეჰყვირიან: „იცოცხლეთ, დიდებულო მოღვაწეებოო!“

## ცხოვრება

ეს ცხოვრება ისე ვიცი,
როგორც ჩემი ხუთი თითი;
ბევრი ვნახე საგულისხმო—
სიავ-კარგის მაგალითი.

სისხლხორცობაც, მეგობრობაც,
სიყვარულიც ტყუილია,
თუ შეძლება მას სარჩულათ
და არშიათ არ ავლია!...

რისი თავი?! რისი გული?!
რასი ჭკუა?! რასი გრძნობა?!
ეს სულ სიტყვის მასალაა,
მითქმა-მოთქმა და უბნობა!

კუჭი გრძნობს და კუჭი ჰფიქრობს,
ჭახრაკია ქვეყნიური!
კუჭზე არის გამობმული
ქვეყნის თვალი, ქვეყნის ყური!...

ჯიბე არის მეკავშირე
ერთობის და მეგობრობის,
იგივეა გზა და ხიდი
სიყვარულის და ცოლ-ქრმობის!...

—

ხალხი მიდის მაღლის კვალზე:
თუ ასვი და თუ აჭამე,
კუდის ქნევით გიწუწკუნებს
და შენთვის ჰყეფს დღე და ღამე!...

—

თუ ვერა და—მის სამსხვერპლოთ
გინდა დადნე, ვით სანთელი,
ყურადღებას არ მოგაქცევს,
თანა-გრძნობას ნუ მოელი!...

—

თვით იესო მაცხოვარმა
ქვეყნათ რა არ ჩაიდინა?
კიდით-კიდე სასწაული
მიაფინა, მოაფინა:

—

ხალხს ჰკურნავდა, მკვდარს აღდგენდა,
ზღვა და ხმელი დაიმონა,
მაგრამ ბრმა და ყრუ ქვეყანა,
ვერაფრით ვერ შეაგონა!...

—

ვერც ძალით, ვერც სასწაულით
ვერაფერი ვერ გააწყო,
სანამ ერთხელ უდაბნოში
მშიერები არ გაძლო!...

—

მაშინ კი თქვეს: «მესიაა!»
ახრიალდენ ყველა ერთად;
დაიჯერეს სასწაული
და იწამეს ღმერთი ღმერთად!...

# სამი ლექცია „ვეფხვის-ტყაოსანზე“.

## II

### „ვეფხვის-ტყაოსნის“ ტიპების ხასიათები.

მრავალ ფეროვან და საგულისხმო ქართულ ანდაზებში ერთი ახირებული და გულსაწყვეტი ანდაზაც გვირევია: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. და ეს ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია რუსთველსა და მის „ვეფხვის-ტყაოსანზე.“ ამ უკანასკნელ დროს, როდესაც ყოველ გვარ მშობლიურ რამეებზე გავგულგრილდით, რუსთველზედაც, რასაკვირველია, გული ავიყარეთ. თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ დღეს ათასში ხუთი თუ მოიპოვება, რომ „ვეფხვის-ტყაოსანი“ გადაკითხული ჰქონდეს; და იმ რჩეულ ხუთ-ხუთისაგან შემდგარ ათასში—კიდევ ხუთი, რომ მისი დედა აზრი გაგებული ჰქონდეს.

ერთმა ახალგაზდა ცნობის მოყვარე ქართველმა ინატრა: „ნეტავი სპარსული ენა ვიცოდე, რომ მისი გამოჩენილი პოეტები—ჰაფის და ფირდუსი დედანში წავიკითხო, განსაკუთრებით მინდა შევიტყო, თუ რა არის შაჰ-ნამე, ე. ი. წიგნი მეფეთა, რომელსაც ასე აქებენო.“ განა როსტომიანი არ წაგიკითხავს-მეთქი?—ვკითხე მე.—„ის არის შაჰ-ნამე ქართულათ ნათარგმნი და როსტომიანი დაურქმევიათ მისთვის, რომ შაჰ-ნამეს გმირს ჰქვიან როსთემ ანუ როსტომ-მეთქი“. ჩემდა გასაკვირველათ შევიტყვე, რომ იმ ყმაწვილს არც კი სცოდნოდა, თუ ძველთაგან რუსთაველს გარდა სხვა წიგნი რამე დაგვრჩენია!—„და-

ლოცვილო, „ვეფხვის-ტყავოსანში„ რომ მოხსენებული არიან: „ვისრამიანი“, „ამირან-დარეჯანიანი“, „დილარიანი“ და სხვანი, ესენი მაინც როგორ დაგავიწყდენმეთქი?!“ გამოდგა, რომ, თურმე, რუსთველიც არ წაუკითხავს, თურმე გაგონებით სცოდნია და ბოდიშს ამითი იხდიდა, რომ რამდენჯერმე დავაპირე წაკითხვა, მაგრამ შიგა-და-შიგ უცნობმა სიტყვებმა გამიძნელეს საქმე და ხელი ამაღებინესო.—„დალოცვილო, თუ კი სპარსული ენის სწავლას ეპირები, რომლისაც არც ერთი სიტყვა არ იცი, უადვილესი და უმჯობესი არ იქნებოდა, რომ ის რამოდენიმე სიტყვა ამოგეწერა, შეგესწავლა და მერე ადვილათ წაგეკითხა „ვეფხვის-ტყაოსანი“-მეთქი?“ სიცილით მიპასუხა: „განა არ იცი, რომ შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო?“ დღეს ეს შენდობის უქონლობა ძალიან ატყვია „ვეფხვის-ტყავოსანს“, მაშინ, როდესაც ის წინა საუკუნოებში ბრმათ სათაყვანო იყო საზოგადოთ ქართველებისათვის. ძვირათ სადმე მოინახებოდა მისთანა ვინმე, რომ წაკითხული არ ჰქონებოდეს; განსაკუთრებით დედათ სქესში უმრავლესობამ თავიდან ბოლომდი ზეპირათაც იცოდა და მათ რიცხვში მისთანები ერიენ, რომელთაც არც წერა იცოდენ და არც კითხვა. „ვეფხვის-ტყავოსნის“ წყალობით დიდ ოჯახებში სკოლა იყო გამართული: როდესაც ერთი ვინმე ხმა-მაღლა დაიწყებდა „ვეფხვის-ტყავოსნის“ კითხვას, იმ დროს, ვინც კი მოცლილი იყო—დიდი, პატარა, შინაური, გარეშე, ბატონი თუ მსახური—ირგვლივ ეხვევოდენ მკითხველს, უგდებდენ ყურს გულ-მოდგინეთ და „ვეფხვის-ტყავოსნის“ ტკბილი სიტყვები ღრმათ ებეჭდებოდათ გულის ფიცარზე. ეს კიდევ ცოტაა. მისგან აღტაცებაში მოყვანილ ხალხს „ვეფხვის-ტყავოსანი“ მიაჩნდა რაღაც დი-

დებულ და საკვირველ განძათ, უმისოთ დიდებული ოჯახი დიდებულათ არ იწოდებოდა, რაც უნდა სიმდიდრით სავსე ყოფილიყო; ის ქორწილი საქებრათ არ ჩაითვლებოდა და ის მზითვი მზითვათ არ იხსენიებოდა, თუ რომ მზითვის სიაში პირველათ „ვეფხვის-ტყაოსანი“ არ იქნებოდა მოხსენებული. მოვიყვან ორ მაგალითს:

ა) თქმულობაა, რომ ამ რამოდენიმე საუკუნის წინეთ ერთმა გამოჩენილმა, სახელ განთქმულმა რაინდმა — ქველმა წერეთელმა — თხოვა ქალი არგვეთის თავადს, მორჭმულსა და სახელოვან კაცს და იმან ასე მოსწერა სიძეობის მძებნელს: „ალმომავალო მნათობო, ვიცი რომ განთქმული ხარ ხალხში, საყვარელი ერის და ერთგული მეფის (მაშინ მეფის ერთგულება ნიშნავდა ხალხის ერთგულებას). თუმცა შენისთანა კაცს ქალი არ დაეჭირვება, მაგრამ შენი დაუდევრობა უარზე მიწვევს. საღმრთო წერილი ბრძანებს: „ორთა უფალთა სამსახური არ ჯერ არსო“. კაცი რომ ოჯახობას შეუდგება და ცოლშვილს მოეკიდება, იმან უნდა დაუდევრობაზე ხელი აიღოს, რომ საოჯახო რამ მოიმომჭირნოს, მოიხვეჭოს და შენ კი ამაებს ყველას არ დასდევ! აბა სადა გვაქვს ციხე, რომ გაჭივრების დროს თავი შეიფარო? სადა გაქვს მონასტერი, სასაფლავო, მკვდრის სულის საოხებლათ ꝺ ცოცხლის სალოცავათ? როგორ იხსენიოს შენი ოჯახი დიდებულათ, რომ „ვეფხვის-ტყაოსანიც“ არ გაქვს?!...

გულ ნატკენმა სასიძომ პასუხათ შეუთვალა: „სანამ ჩემი მარჯვენა მაგრათა მაქვს და გულ-მკერდი არ გამტეხია, — მე სხვა ციხე არ მეჭირვებაო. ჩემი წმიდა ტაძარი ჩემი გული და სვინიდისიაო; და რაც შეეხება სასაფლავოს, ყოველი კუთხე ჩემი სამშობლოსი, ტყე იქნება თუ ველი, მთა თუ მინდორი, სადაც

კი ჩემი მამულის შვილები წამებულან და მათი სისხლი დანთხეულაო — ყველგან სასურველი და ღირსეული სამარხი იქნება ჩემი, სხვა საჭირო აღარ არისო. ამ ორში მიუგო პასუხი, მაგრამ მესამემ-კი ძალიან დააფიქრა და შეუთვალა იმაზე: „რაც შეეხება „ვეფხვის-ტყაოსანს“, მართალია, არა მიქვს, ჯერ ახალშენი ვარ, მაგრამ იმასაც უეჭველათ შევიძენო“.

მეორე მაგალითი: ერთ თავადს გაუთხოვებია ქალი, მზითევში გაუტანებია „ვეფხვის-ტყაოსანი“, მაგრამ სიძეს უკანვე დაუბრუნებია მისთვის. ამ შემთხვევას ისე გაუკვირვებია სიმამრი, რომ საარაკოთ დაუწერია ქვაზე ამბავი ამ გვარათ:

„ქალი მუვანდა ედემს ზრდილი, ოქრო ხუჭუჭ თმოსანი,
გავათხოვე, მზითვათ მივეც ჩემი „ვეფხვის-ტყაოსანი“,
მაგრამ ისევ დამიბრუნა, თურმე იყო სვანოსანი“! დ̃ სხვა.

სვანოსანიო, ესე იგი უმეცარი, უსწავლელი, გაუგებარი სვანივითო, ისე როგორც ახლა ვიტყვით ხოლმე ყრუ გადამთიელი, ან მთიულიო.

ეს ორი მაგალითი სრულიად საკმაოა, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა სათაყვანო ყოფილა ხალხისათვის „ვეფხვის-ტყაოსანი“; მაგრამ ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ეს თაყვანისცემა ყოფილა რაღაც უნებური, ბრმა. ამას გვიმტკიცებს უწარჩინებულესი ჩვენი ხალხის წარმომადგენლები.

ვახტანგ მეფე, დიდი შესანიშნავი ისტორიული პირი, კაცი ბრძენი და განვითარებული მწიგნობარი, გულდაწყვეტილია „ვეფხვის-ტყაოსანზე“, რომ მისი აზრი ხალხმა ვერ გაიგოვო და მით მასზე ცუდი ზედ-მოქმედება აქვსო. ფატმანისაგან გატაცებულმა ქალებმა ფერუმარილის ხმარება ისწავლეს და კეკლუცობას მიჰყვეს

ხელი და საზოგადოთ ხალხმა ტრფიალების მოედანზე ძალიან თამამათ დაიწყო ნავარდიო. და ეს სულ მითი მოსდით, რომ ნამდვილი აზრი „ვეფხვის-ტყაოსანისა“ მათთვის გაუგებარი რჩებაო. მოუნდომებია თვითონ ახსნა „ვეფხვის-ტყაოსნისა“ საღმრთო მეტყველების კვალობაზე და მისთან-მისთანა დასკვნა გამოჰყავს, რომელიც რუსთველს აზრათაც არ მოსვლიია!

ანტონ პირველმა, კათოლიკოსმა, არა ნაკლებ ვახტანგზე გამოჩენილმა პირმა, ისე ურიგოთ დაინახა „ვეფხვის-ტყაოსანი“, რომ მოაგროვებინა ხელ-ნაწერები, შეაჩვენა, დაწვა და თავის „წყობილ-სიტყვაობაში“ ასე ამბობს: „რუსთველი, ის დიდი პიიტიკოსი, ტყვილათ დაშვრა ამაოთათვის, ღმერთო შეუნდევ, ნუ მოჰკითხავ ამ დიდ ცოდვასაო“.

მეფე არჩილ თავის თხზულებაში მოლექსობაში აჯიბრებს ერთმანეთს რუსთველს და თეიმურაზ პირველს, იმ თეიმურაზს, რომელიც, მართალია, კარგი პოეტთაგანი იყო, მაგრამ რუსთაველის აჩრდილათაც არ ჩავარდებოდა. ამ ორ პოეტს განძრახ აბაასებს ერთმანეთთან და ძლევას არჩენს მეფე თეიმურაზს და ამ უპირატესობას აძლევს, ანტონ კათალიკოსისა არ იყოს, არა მისთვის, რომ რუსთველის ლექსთა-წყობას სხვისი ვისიმე ჯობდეს, არა, საგანს უწუნებს. მართალია ბევრი ქომაგიცა ჰყავდა მის პოემის საგანს, მაგრამ ვაი იმისთანა ქომაგობას!... მაგალითად, ციციშვილმა მანუჩამ ანუ ნანუჩამ გადააფარა თავის მოწყალების კალთა „ვეფხვის-ტყაოსანს“, მოუალერსა, როგორც საყვარელ შვილს, მოუნდომა გაშალაშინება და შიგა-და-შიგ, სადაც აზრები ვერ ნახა ნათლად გამოთქმულათ, ვითომ თავისი აზრით გააშვენიერა „ვეფხვის-ტყაოსანი“ მით,

რომ შიგა-და-შიგ თავისი საკუთარი ლექსები ჩაუმარ-გალიტა, რითაც ძალიან აწყენია ხალხს ძველათ და დღესაც დიდ გაჭირვებას აყენებს „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამრჩევლებს. მხოლოთ ერთი გამოჩენილი მწერალთაგა-ნი—დავით გურამიშვილი—იხსენიებს რუსთველს მო-წიწებით: „რუსთველი სიბრძნის ზღვა არის, მას ვერვინ შეე-დრებათ“.

აქ უნდა მოვიხსენიოთ სხვათა შორის, რომ „ვეფ-ხვის-ტყაოსანს“ ორ გვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე; ერთი მხრით, მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თან-და-თან მტკიცდე-ბოდა ხალხში და მეორე მხრით—საკუთრათ პოეზია-ზე რაღაც ბატონური, მავნებელი გავლენა ჰქონდა. მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტე-ბი ისე ბრმათ გატაცებული იყვენ რუსთველისგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ველარც-კი წარმო-უდგენათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა, თუ არ თექვსმეტ მარცლოვან და ოთხ ტაეპიან შაირისა. მიდიოდენ რუსთველისაგან ერთხელვე გათე-ლილ გზაზე, უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხ-მარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარე-ბით რუსთველის მსვლელობასთან, კოჭლობა იყო.

პირველი მწერალი, რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა იყო დავით გურამიშვილი. ჯერ ისიც დიდ ხანს მის-დევდა რუსთველს, ბოლოს მიხვდა, რომ მაჩანჩალა იყო მისი და სხვა არაფერი და მაშინ-კი თქვა, „რუს-თველი სიბრძნის ზღვა არის, მას სხვა ვერ შეედრებაო“, იკადრა გადახვევა და დაიწყო იმ გვარ ლექსების წერა,

როგორიც არიან მისი „ქაცვია მწყემსი“ და მისი სახალხო „ელ-მელ“-ები.

ახლა ერთი ესეც უნდა ვიკითხოთ, თუ მართლა ისე გაუგებარი იყო, როგორც ხალხისა, ისე მწერლებისათვისაც „ვეფხვის-ტყაოსნის“ დედა აზრი, მაშ რისი ბრალია, რომ საყოველთაოდ ისეთი მიმზიდველი და გამტაცი ძალა ჰქონდა და აქვს? ნუ თუ ის გატაცება და ხალხის აღტაცება უბრალო შემთხვევის ბრალი იყო? ნუ თუ ამ გვარი რამე უბრალო ხმის აყოლით მოდა ანუ წამხედურობა იყო? არა! მოდა ანუ წამხედურობა დროებითი, ფეხ მოკლე მოვლინებაა; იმას ხანგრძლივობა არა აქვს. მართალია, ხარბი თვალი, უბრალო რამით მიტაცებული, გულს იტყუებს, მაგრამ ამ გვარი რამ მალე ჰქრება: ხარბი თვალი მალე ძღება, გულს ის უსაფუძვლო ახირებულობა მალე ჰყირჭდება და ის შეცდომა მეორეთ აღარ იჩენს ძალას, აღარ მეორდება. „ვეფხვის-ტყაოსნის“ თაყვანისცემა-კი მრავალ საუკუნოებითია და მასთან ისეთი ბედი, როგორც „ვეფხვის-ტყაოსანს“, არც ერთი ხალხის კლასიკურ თხზულებებს არა ჰქონია. მაგალითად, ავიღოთ უკვდავი შექსპირის თხზულებები:—რამდენიმე საუკუნის განმავლობაში ხალხისათვის გაუგებარი იყო. აგრეთვე სხვების, ერთ დროში რომ ქება-დიდებაში ყოფილან, ის დრო წასულიათ, ქება-დიდება გათავებიათ და დავიწყებაში მიცემულან; მასთანაც ყოველი წრისაგან ერთნაირათ მოწონებაში არა ყოფილან. „ვეფხვის-ტყაოსანი“ კი, დაიწერა თუ არა, ავტორის თქმის არ იყოს, მაშინვე გახდა ხელის-ხელ საგოგმანებელ, ობოლ მარგალიტათ და მას შემდეგ, მრავალ საუკუნოების განმავლობაში დგმიდან-დგმაზე გადადის საყოველთაოდ,

საამურათ და სათაყვანოთ. ეს იმის ბრალია, რომ „ვეფხვის-ტყავოსნის“ შესაყვარებლათ მისი თავიდან ბოლომდი შესწავლა და დედა აზრის გაგება საჭირო აღარ არის. რაგინდ ბუნდში იყოს და შავი ღრუბელი ფარავდეს თვითონ მზის ბურთს, რა კი ერთხელ ამოვა—მისი შუქი მაინც გვინათებს; ღამით, ჩასული იგივე მზე, შორიდან ნატყორც სხივებით ნათელს აძლევს მთვარეს და მთვარეც იმ ნარეკლ, უკუ-ქცეულ სხივებით ჩვენც ნათელს გვაძლევს და თვითონაც ბრწყინვალეთ გვეჩვენება. რუსთველისთანა გენიოსები სწორეთ იმ მზის გვარათ ანათებენ ხალხის ჭკუა-გონებას. ამ გვარ გენიოსებს წვრილმან პლანეტებივით ახვევიან გარშემო პატარ-პატარა ნიჭის პატრონები, თვით იღებენ მისგან ძალას და მერე თავის თავად გვინაწილებენ ჩვენ. კარგათ ამბობს დავით გურამიშვილი: რუსთველი სიბრძნისა და პოეზიის ზღვა არისო. შეიძლება, რომ ჩვენ ზღვა თვალითაც არ გვენახოს, მაგრამ მისი წყალობით გამონადენი წყაროები და მდინარეები გვაგრილებდენ, ნაყოფს გვაძლევდენ, წყურვილს გვიკლავდენ და გვასიცოცხლებდენ. სწორეთ ამ პატარ-პატარა მდინარეებისა და წყაროების მსგავსათ შიგ „ვეფხვის-ტყავოსანში“ გაბნეული არიან ადგილები, რომელთაც შეუძლიანთ მარტო თავის თავადაც, მიუხედავათ მთელი თხზულებისა, შეაყვარონ მკითხველს და სათაყვანოთ გაუხადონ მთელი თხზულება. „ვეფხვის-ტყავოსანში“ რა წოდებისაც უნდა იყოს კაცი, რა სქესისაც, რა მდგომარეობაშიაც და რა ხანშიაც—მისთანა რამ გულის საპასუხოს იპოვის, რომ იმ პატარა ნაწყვეტიდან გატაცებული შეიქნება და ბრმათ დაემორჩილება მთელ თხზულებას ისე, როგორც პატარა შავი თვალებისაგან გატაცებული აშიყი სათა-

ყვანოთ და სატრფიალოთ იხდის იმ თვალების პატრონს მანდილოსანს. მაგალითებრ:

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი,
მისგან გასწორდეს ყოველი—სუსტი და ძალ-გულოვანი,
ბოლოს შეჰყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მცხოვანი,
სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი“.

ნეტა თუ იყოს იმისთანა ქართველი, რომ ეს წაიკითხოს და რაღაც უცნაური გრძნობა არ გაემსჭვალოს გულში და სასიამოვნო ჟრუანტელმა არ დაუაროს ტანში?! და ეს მიტომ, რომ ამ რამდენიმე სიტყვაში იხატება მთელი საქართველოს თავ-გადასავალი! ეს იყო ჩვენი ძველების ახსარება და მათი ფარ-ხმალი. დედები ამ სიტყვებით უდებდენ თავის შვილებს პირველ ძუძუს პირში, ამ სიტყვებში ადგმევინებდენ ენას, ამ გრძნობით ამღერემდენ და ამ სასოებით ალოცებდენ. მრავალ საუკუნოების განმავლობაში, დგმიდან დგმაზე, რჯულის კანონათ გადასულიყო ეს ჩვეულება, ძლიერათ გაუჯდა ქართველს ძვალ-რბილში და დღესაც, როგორც წინეთ მოვიხსენეთ, ეს ძველი თანშობილი სიკეთე მიძინებული აქვს ჩვენს ხალხს, მაგრამ დრო-და-დრო ამ გვარი ძლიერი ლახვარის ძგერებით, როგორც ეს სიტყვები არიან, ძალა-უნებურათ იღვიძებენ ხოლმე. ნაპოლეონმა თქვა ერთ ხალხზე: „ცოტა გაფხიკე და თათარი ამოჰყოფს თავსაო“. აგრეთვე შეგვიძლია დღევანდელ ქართველებზედაც ვთქვათ: ცოტა რომ გავფხიკოთ—იგივე ძველი ქართველი გამოჰყოფს თავს. მართალია, დროთა-ვითარების გამო, ის წმინდა ადგილები დაჰფარვია დღეს ქართველს გარედან შემოტანილი ტალახის წყალობით და ხანგრძლივი მუშაობაცაა საჭირო, რომ ის გაიფხიკოს, მაგრამ რუსთველის სიტ-

ყვები-კი, ნესტარივით სამკურნალოთ, ადვილათ წვდე-ბიან იმ წმინდა დაფარულ ადგილს, ჩხვლეტენ და აღ-ვიძებენ. აი, რის გამოა რუსთველი ყველასათვის საყვა-რელი! ვიმეორებ, რომ მის თგზულებაში ყველა ჰპოუ-ლობს მისი წყლულის წამალს, მის სანუგეშო მალამოს. იქ დედათ სქესს შეუძლია იპოვოს თავისი სიმართლე მით, რომ რუსთველი „ვეფხვის-ტყაოსანში“ გამოყვანილ ქალებს აძლევს არათუ თანასწორ ღირსებებს და მნი-შვნელობას მამაკაცებთან, თითქმის უმთავრეს მოქმე-დების მიზეზათ ისინი გამოჰყავს. განა შეუძლია ქალს, რომ ეს ლექსი წაიკითხოს და გული მადლობით არ აევსოს ავტორისადმი:

„თუმცა ქალია ხელმწიფეთ, მართ ღვთისა დანაბადია;
ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

აქ მეგობრობის მოსურნე ნახავს უმაღლეს მაგა-ლითს მეგობრობისას ტარიელის, ავთანდილის და ფრი-დონის ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და სურვილს გაიმტკიცებს შემდეგი ლექსებით:

„ჭხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდათ,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზათ და ხიდათ.“

განა შეუძლია გრძნობა მორეულ ახალგაზდას, რომ ჭეშმარიტი აღტაცებით არ მიიღოს ეს სიტყვები:

„გული, ცნობა და გონება ერთმანეთზედან ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა წავლენ და მისკენ მიდიან,
უგულო კაცი ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდიან“.

ჭკუა დამჯდარი, ჭირ-ნახული და სისხლ მოკლე-ბული, დარბაისელი მოხუცი განა ისე შეიძლებს ამ ლე-ქსების წაკითხვას, რომ სიამოვნებით თანხმობის ნიშნათ თავი არ გაიქნიოს და ჭაღარაზე ხელი არ დაისვას:

„რა ექიმი დასნეულდეს, რაზომ გინა საქებარი,
მან სხვა იხმოს მკურნალი და მაჯისაც შემტყობარი,
მას უამბოს, რაცა სჭირდეს სენი ცეცხლთა მომდებარი,
სხვამან სხვისი უკეთ იცის სასარგებლო საუბარი".

და ანუ ეს ადგილი:

„გული კრულია კაცისა ხარბი და გაუძღომელი,
გული ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ღხინთა მდომელი,
გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა პატრონობს სიკვდილი, ვერცა მეფეა რომელი".

ჭირში და უბედურებაში მყოფ კაცს, როგორ სანუგეშოთ არ დარჩეს ეს ჭეშმარიტება:

„საწუთრო კაცსა ყოველსა, ვითა ტაროსი უხდების,
ზოგჯერ მზეა და ოდესმე ცა რისხვით მოუქუხდების".

განა სანუგეშოთ ᲓᲐ გასამხნევებელათ არ მოხვდება გულში არა დიდ ჩამომავლობის კაცს შემდეგი ჭეშმარიტება:

„ფილოსოფოსნი შემოკრბენ, ამაზედ ჰქონდათ ცილობა:
ბატონი კაცსა ასაქმებს და ჭკუასი გამოცდილება;
ათასად კაცი დაფასდა, ათი ათასად ზდილობა,
თუ კაცი თავათ არ ვარგა, ცუდია გვარის შვილობა".

არა თუ ამ გვარი რამეები, თვით უსიამო და უსამართლო რამეც საამურათ და სამართლიანათ გამოხატული ჰყავს რუსთველს „ვეფხვის-ტყაოსანში". მაგალითად, რა იქნება ბატონ-ყმობაზე უსაძაგლესი და უუსამართლოესი, სადაც ერთი მხრით უსამართლო უფლება და ძლიერებაა ᲓᲐ მეორე მხრით-კი დაჩაგრული სისუსტე და მონობა? მაგრამ ესეც კი ისე საყვარლათ და სასიამოთ გამოუხატავს რუსთველს, რომ უკეთესი აღარ შეიძლება! ამას ვხედავთ ჩვენ როსტევან მეფის ავთანდილთან, ავთანდილის შერმადინთან და ნესტან დარეჯანის ასმათთან ერთმანეთთან დამოკიდებულებაში და კიდევ ბევრგან სხვაგანაც.

ესეც კი უნდა ვთქვათ, რომ ამ გვარი რამეები თავის-თავად სამაგალითოდ არ შეუთხზავს რუსთველს; იმან მხოლოდ ის აიღო და გამოგვიხატა, რასაც ხალხში ხედავდა. და მართლადაც, ამ უკანასკნელ დრომდი ბატონ-ყმობას ისეთი ხასიათი არ ჰქონია საქართველოში, როგორც სხვაგან; ის იყო მხოლოთ ძმური, ერთმანეთთან უმფროს-უმცროსული დამოკიდებულება. გავარჩიოთ ეს კარგათ.

ბატონი მეგრულათ პატონია და ჭანურათ პატრონი. ცხადია, რომ აქ მხოლოთ ორი ასო „ტ“ და „რ“ არიან გადასმულ-გადმოსმული, თორემ ეს სიტყვები ერთად ნიშნავენ მზრუნველი, მფარველიო და არაუფალი. აგრეთვე ჩვენი ძირეული სიტყვა „ყმა“ არ ნიშნავს მონას. ყმა, ე. ი. ყმაწვილი ანუ ახალ გაზდა. რუსთველი ხშირათ ყმას ეძახის თვით ტარიელსა და ავთანდილსაც. ამ ნაირათ ბატონ-ყმობა ნიშნავდა თანასწორ, ძმურ უფროს-უმცროსულ დამოკიდებულებას, განაწილებას და არა ნაძალადევ ბრძანებლობას. და რუსთველსაც სწორეთ ამ გვარადა აქვს გამოსახული. ამ ზემო მოყვანილ ნაწყვეტ-ნაწყვეტ პირებიდან, რომლებიც აქ სამინუშოთ მოგვყავს, შეგვიძლია დავრწმუნდეთ, რომ „ვეფხვის-ტყაოსანის“ დედა აზრის გაუგებლობა მის სიყვარულს ბევრს ვეღარას უშლიდა. ამ გზის დაბნევაში და სინამდვილის გაუგებლობაში, ცოტა არ იყოს, თვითონ რუსთველსაცა აქვს ბრალი, რადგანაც თვითონვე უთქვამს ერთგან შემდეგი:

„ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები,
ვით მარგალიტი ობოლი, ხელის-ხელ საგოგმანები,
ვპოვე და ლექსად გარდავთქვი, საქმე ვქმენ საჭოჭმანები“ და სხ.

ამაზე ვახტანგ მეფე, რომელმაც ზედ-მიწევნით იცოდა სპარსული მწერლობა, ამბობს, რომ მთლად გადავიკითხე, რაც კი რამ იყო სპარსულათ დაწერილი და ამ ამბავს-კი ვერსად შევხვდიო. ამასაც რომ არ ეთქვა, ისეც ცხადია, რომ ეს არ არის მართალი და რუსთველი იძულებული ყოფილა ტყუილი ეთქვა. მართალია, მაშინ ცენზურა და ცენზორი არ ყოფილა, მაგრამ აზრის ყლაპიები-კი მაშინაც, უეჭველია, იქნებოდენ. ხალხის უმეცარი უმეტესობა მეტათ თავ-მოყვარეა და არ იფერებს, არ ტყდება თავის უმეცრებაში და ყოველივეს თავისებურად ხსნის, რასაკვირველია, სრულიად წინააღმდეგ სიმართლისა და მომქმედის განძრახვისა. ბევრნი დღესაც-კი ამტკიცებენ, რომ რუსთველმა მისი და თამარ მეფის სიყვარული აწერაო და მაშინ, რასაკვირველია, ამას უფროც იტყოდენ. აი, რას მოერიდა ავტორი და მით გადაასხვაფერა! მართალია, თვითონ რუსთველი ამბობს:

„ჩემი აწ სცანით ყველამან, მას ვაქებ, ვინცა მიქია,
ესე მიჩნს დიდად საქებრად, თავი არ გამიქიქია“-ო.

და ან ეს:

„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვსთქვენით ქებანი ვისნიმე, არ ავად გამორჩეული.“

მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს რუსთველისაგან თამარის შეყვარებას და მის სასიყვარულო ქებას. ხალხში, როდესაც საქებარი რამ გახდება, ის ყოველთვის საზოგადოთ მის წარმომადგენელს მიეწერება ხოლმე საქებათ. მაგალითად, თამარ მეფის დროს სახელოვანმა მოძღვართ უხუცესებმა ააგეს ტაძრები, რომელნიც სახსოვრათ და სადიდებლათ თამარისა დარჩენ. მხედარი ცდილობდა მისვე ასამაღლებლათ გამარჯვებას,—მაგალითად, ზაქარია არღუთაშვილმა შორსა და შორს გადააწვდინა

თავისი ძლევა-მოსილი მკლავი, რისთვისაც თვითონ მიიღო მხარ-გრძელის წოდება და ადიდა თამარის სახელი. აგრეევე მწერლებმაც იჩინეს თავი და მათ რიცხვში რუსთველიც გრძნობდა, რომ მისი „ვეფხვის-ტყაოსნით“ ის აქებდა და ადიდებდა თამარ მეფეს. არა, მისი საგანი სულ სხვა იყო. იმას სურდა, რომ „ვეფხვისტყაოსანში“ დაეხატა მთელი საქართველოს სურათი და გამოეყვანა მისი საიდეალო გმირი, როგორც მამაკაცის, ისე დედა-კაცისაც. საქართველო რომ გაშლილი და თანასწორ ბუნებიანი იყოს, მაშინ ის ერთ პირს აიღებდა გმირათ, მაგრამ რადგანაც, როგრც წინეთ ვნახეთ, ის სხვა და სხვა ბუნებიანია და ხალხებიც სხვა-და-სხვა ხასიათების მექონი, ამისათვის იმან საჭიროთ დაინახა, ერთი გმირის მაგიერ აეღო სამი, გადაეკავშირებია ერთმანეთთან, ერთი მეორით შეევსო და ისე წარმოედგინა ჩვენთვის. ამ აზრით იმან აიყვანა ამერიდან ტარიელ, იმერიდან ავთანდილ და შავი ზღვის პირიდან ფრიდონ და მათი შეერთებით დაგვიხატა ერთი სრული გმირი მთელი საქართველოისა. ამას თვითონვე აღიარებს შემდეგით:

„აწ ენა მინდა გამოთქმათ, გული და ხელოვანება,
ძალი მომეც და შეწევნა, შენგნით მაქვს მივსცე გონება;
მით შევეწივნეთ ტარიელს, ტურფასდცა უნდა ხსენება,
მით სამთა გმირთა მნათობთა სჭირსთ ერთმანეთის მონება.“

ამ ლექსებით ცხადათ ჩანს, რომ რუსთველს უძნელდება ამ სამი გმირის ერთმანეთის დამონება; ერთს მეორეზე უპირატესობას არ აძლევს, სამივე თანასწორათ მოწონს მათი სხვა და სხვა ხასიათებით და მიტომაც იმეორებს: „სამთა ფერთა საქებელთა, ღამის ლექსთა უნდა ლევათ“.

არჩევანში რომ შევიყვანოთ ქართველები ამ სამი გმირის შესახებ, უეჭველია, ქართლელები ტარიელზე მიგვითითებენ, იმერლები ავთანდილს აირჩევენ და საზოგადოთ შავიზღვის პირელები ფრიდონს მოიწონებენ. ეს მისი ბრალია, რომ ის განსაკუთრებითი ხასიათები, რომლებიც ამ სხვა და სხვა კუთხის საქართველოს ხალხს ერთმანეთისაგან განასხვავებენ, რის შესახებაც შევნიშნეთ წინა ლექციაშიც, ამ გმირებში იხატება და თვითეული კუთხე თავის საკუთარ, ახალ ნაცნობს ხედავს იმათში. განსხვავება მხოლოთ იმაშია, რომ ახლა, როგორც პირველ ლექციაში ვამტკიცებდით, ცუდათ ხმარობენ ხასიათებს და მაშინ-კი კეთილისაკენ ჰქონდათ მიქცეული.

ტარიელ რაღაც უცნაური ძალის მქონი გმირია! მის სურვილს ტყვილა ნურავინ ეწინააღმდეგება! რასაც კი თვალს მოჰკრავს და ხელს მოავლებს, პირდაპირ მიიწევს მასზე დ̃ დაუმსხვრეველ-გაუსრესელს არ გაუშვებს— ის ქარიშხალივით გააბნ-გამოაბნევს!... ყოველთვის და ყოველგან პირდაპირია. იცნობს მხოლოთ თავის საკუთარგულს, მისი ამყოლია ისა რწამს, იმას ემსახურება და უმისოთ ქვეყანა ჩალათ უჩანს. ეტირება—მოურიდებლათ ტირის მოთქმით და თუ ეცინება—იცინის. ერთი სიტყვით, ხილული ქვეყანა მისი სათამაშო ბურთია. მაგრამ, როცა გონების ძალ-ღონეზე დგება საქმე, მაშინ კი ცოტათი აკლდება ფერი მის გმირობას.

სულ ამის წინააღმდეგია ავთანდილი. ნაკლე ძალღონის არც ის არის, თუმცა სანდომიანობა-კი აკლია მის გმირობას. ეს მისი ბრალია, რომ ყოველთვის და ყოველგან გული დამონებული ჰყავს თავით. მისთანას არას იზამს, რომ ჯერ თავს არ დაეკითხოს; ასჯერ გა-

ზომავს და მერე ერთხელ გამოჭრის. თავის თავს გარდა იმას სხვებიც ჰყავს ხოლმე სახეში და ამისთვის გულს უდროვოთ და უადგილოთ გათამაშების ნებას არ აძლევს. იმასაც, ტარიელივით, გული გაუმეფებია, მაგრამ ვეზირათ მიუჩენია მისთვის თავი და უმისოთ არ ამოქმედებს. ჭირში თუ ლხინში, ყოველგან ზომიერია. „კაცი უნდა სერხი იყოს, გაჰქონდეს და გამოჰქონდესო“ — ამბობს და ამის გამო საძნელოსა და საბოლოოვოთ შეუძლებელსა ვერსად ხედავს, გულს არაფრით არ იტეხს. „ცისა და ღვთისგან ნაბძანებიაო“ — ამას ამბობს, როდესაც ის ნესტან-დარეჯანის საძებნათ მიდის. მაშინ, როდესაც ტარიელი-კი გულ-გატეხილი მოთქვამს, ტირის, თავს იკლავს და ამბობს: უგანგებოთ არა იქნება რაო და ტყულა ჩემგან მისი ბრძოლა წინააღმდეგობააო! ავთანდილ ჭკუა-გონების გმირია და ღირსეულადაც აფასებს თავის თავს, იცის, ვინც არის.

„მე ის ვარ, ვინცა სოფლად არა მოჰკრებს კიტრსა პერადო!“

მართალია ეს ორი გმირი ერთი ერთმანეთის ტოლები არიან, როგორც სხეულის, ისე ჭკუის ძალითაც, მაგრამ ჩვენ კი უპირატესობას სხეულის ძალაში ტარიელს ვაძლევთ ძალა უნებურათ და გონებისაში-კი ავთანდილსა. ტარიელი, თუმცა დიდ ჭკუა-გონების პატრონია, მაგრამ მუდამ გულის გადაყოლა უფარავს ამ ჭკუას და ხშირათ თავ-ხედათ გამოჰყავს; მაგალითად ნესტან-დარეჯანის დაკარგვა მისივე წინ დაუხედაობის ბრალია და ამით მისი ბუნებითი ჭკუა ჩვენს თვალში ფასს იკლებს. ავთანდილი თუ არ მეტი—ნაკლები გოლიათი არ არის ტარიელზე, მაგრამ, როგორც ზემოთა ვთქვით, მის ვაშკაცობას მიმზიდველობა აკლია და ეს მისი ბრალია, რომ გამოზომილ-გამოანგარიშებულათ იბრძვის. ტა-

რიელს გული აბრკოლებს, ავთანდილს თავი. და თანაგრძნობას-კი გული უფრო იზიდავს თავზე. მართლაც, ავიღოთ ამათი გადანახადი ჩხუბები და ერთმანეთს შევუწონოთ.

ტარიელი რომ ხატაველებზე მიდის საომრათ,—ისე თავხედათ იქცევა, რომ ერთი ათასზე მიჰყავს. თვითონაც იქითკენ მიიწევს, სადაც მეტი ჯარია და ისეთ ნაირათ იბრძვის, რომ ზარსა ჰცემს მოწინააღმდეგეს: ყვირილითა და ვაჟკაცური შეძახებით აბრუებს!... უთვალავ გარე შემორტყმულ ჯარში ლომივითა ტრიალებს!... ისე გამხნევებულია, რომ იმ დროს ომის მეტი აღარა ახსოვს რა და განსაცდელს არ ერიდება! გეშინია იმ დროს, რომ არა მოუვიდეს რა მარცხი ტარიელს და ეჰ, მართლაც შუბი გაუტყდა, გადაემტვრა!... მაგრამ კიდევ არა უშავს რა: აქა აქვს მისი ხმალი, ახლა იმას მიჰყო ხელი და უარეს საქმეს შვრება: ჰფლეთავს, ჰგლეჯავს, ცხენს და კაცს შუა აპობს, ზოგს მანდიკურათ გადაჰკიდებს ხოლმე, ცხენ-კაცის გორასა დგამს და ბოლოს ძლევაც რჩება!.. მისი ხმლის ბასრობა თვითონაც კი მოწონს და შეჰკივის: „ვაქებ, ხმალო, ვინცა გლესო!“ ბრძოლის ეშხით აღტაცებულია!... ის თვითონ ზეგარდმო შთაგონებით იბრძვის. სრული პოეტური სურათი გვეხატება მის ბრძოლაში, იტაცებს ჩვენს გრძნობას... შიშით ერთს წამს თვალს ვერ ვაშორებთ და როცა გამარჯვება რჩება, ჩვენი გულიც დამშვიდებულია და ერთი ორათ თანავუგრძნობთ მის ვაჟკაცობას. მისი ბრძოლა პოეტურია, ლირიკული, თუ კი შეიძლება კაცის ჟლეტა-კვლაზე ასე ითქვას,—გული, გული და გული!...

ახლა ავიღოთ ავთანდილის ომი მეკობრეებთან ზღვაში. ის რაღაც მშვიდობიანათ და გულ-გრილათ ემზადება საომრათ. იარაღსაც ახირებულს ჰკიდებენ ხელს: რკინას და კეტს! ვაჭრებს ეუბნება: „თქვენ აქ თუ რამეს დამიშლით, თორემ მოხმარებით ვერ მომეხმარებითო! თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ და ომის უჩვეველნი, გასწით, დაიმალენით, ძირს ჩადით და ომი მე დამაცადეთ, მარტოც ვეყოფი იმათო! და აი, იმართება ომი!... მეკობრეებმა მოუახლოვეს ნავი და უნდათ რკინის ცხვირით თავისი ნავი ატაკონ ავთანდილის ნავს და დაამარცხონ, მაგრამ ავთანდილი ჯერ მშვიდობიანათ დგას და ხმასაც არ იღებს. ბოლოს, მოახლოვდენ თუ არა, უცბათ, დევივით, რკინის კეტს მოუხვედრებს და მეკობრეების ნავის ცხვირს ამტვრევს, მარილის ქვიშივით ფშვნის (აი, თურმე, რისთვის უნდოდა ის რკინის კეტი)! ბოლოს საბელით აჩერებს მტრის ნავს, გადაუხტება და, ვაი, მეკობრეების ბრალი: შავ დღეს აყენებს, ვეღარავინ გადაურჩება მის მარჯვენას! ეს ბრძოლა მართლა რაღაც ზღაპრული, დევ-გმირულია, მაგრამ ჩვენ-კი მაინც ისე არ გვატყუებს, როგორც ტარიელის ომი!... და ეს მისი ბრალია, რომ აქ წინდაწინვე ვიცოდით, — ავთანდილი გაიმარჯვებდა. იმას გამოანგარიშებული ჰქონდა, რაც მოხდებოდა. ჩვენი გულიც დამშვიდებული იყო. რაც ადრევე ვიცოდით, ის მოხდა. ჩვენი გული არაფერს შეუშფოთებია, მოულოდნელს არას გაუკვირვებივართ.

ტარიელის ომში გული ბრძანებლობდა, აქ კი, ავთანდილისაში—თავი. ის თუ აღტაცებული, პოეტური, ლირიკული ბრძოლა იყო, ეს დამჯდარი, კრიტიკულია და მიტომ უფრო საყვარლათ ხვდება პირველი ჩვენს

გულს და გვიტყუებს ტარიელისაკენ. ახლა მივმართოთ მესამე გმირს—ფრიდონს.

ის ამ ორ გმირს ცოტათი ჩამორჩება. არც ტარიელის ოდენი გული აქვს და არც ავთანდილის სწორი თავი. ის არის საყვარელი გუნების მექონი: უშიშარი, მხნე, ღონიერი, ქეიფის მოყვარე და ტოლ-ამხანაგისათვის თავ-განწირული. უკანასკნელს არას დაიშურებს მეგობრისათვის! სიყვარულს მაინცა და მაინც ძალიან არ გადაჰყვება. ის უფრო ქორ-მიმინოს და მწევარ-მეძებარს ეტანება. ქეიფობს თავისთვის. ზღვა და ხმელეთი მისი სანადირო, საქეიფო მოედანია. თავის თავათ მოქმედება არ შეუძლია, მაგრამ მხარის მიცემა კი უკეთესი არ იქნება. ამას ამტკიცებს ის მისი თანამოზიარობით და მომხრობით ნესტანის გამოხსნის დროს. ის, ქაჯეთის ციხეზე მიმდგარი, თოკით გადასვლას ეპირება, მხოლოთ საბელის გაგდებას ევედრება. მასთანაც ის მასალის მძლეველია. თუ მისი მასალებით ხელი არ შეეწყოთ, შორს ვერ წავიდოდენ ვერც ტარიელი ა ვერც ავთანდილი. ჯარი მისი წაიყვანეს, იარაღი მისი, ნავი მისი; ტარიელის შავი ტაიჭიც მისეულია, ერთი სიტყვით, უმცროსი, მაგრამ საჭირო და გამოსადეგი არის, უმისობა არ მოხერხდება, უთუოთ ჭირშიაც და ლხინშიაც თანამოზიარე უნდა იყოს. რადგანაც, თუმცა მცირეთ-კი, მაგრამ მაინც ორივეს ჩამოჰგავს ფრიდონი, როგორც ავთანდილს, ისე ტრიელსაც, ამისათვის ცალკე იმაზე ბევრ ლაპარაკს მაინცა და მაინც აღარა ვხადით საჭიროთ. ჩვენ მხოლოთ შევადარებთ ერთმანეთს იმ ორ გმირს—ამერელ ტარიელს და იმერელ ავთანდილს, ისე, როგორც რუსთველი აგვიწერს. მაშინ დავინახავთ,

თუ რა განსხვავებაა მათს მოქმედებაში ერთსა და იმავე საქმეში, რა გვარიც უნდა იყოს ეს საქმე.

ნუ დავივიწყებთ, რომ ორივეს, როგორც ტარიელს, ისე ავთანდილსაც, სიყვარული ამოქმედებს. პირველს უყვარს ინდო მეფის ფარსადანის ქალი—ნესტან-დარეჯანი და მეორეს—თინათინ, როსტევან არაბთა მეფის ქალი.

## III

დავიწყოთ სიყვარულიდან. ტარიელი არის ინდოეთის მეფის ფარსადანის ამირბარი და ამირ-სპასალარი, თვითონაც მეფის შვილი ő შვილივით შეყვარებული მეფე-დედოფლისაგან, რომელთაც ერთი ქალის მეტი არა გაჩნიათ რა. ამ ქალს ეწოდება ნესტან-დარეჯანი. ერთხელ, როდესაც მეფე ბრუნდება ნადირობიდან, ტარიელს უბრძანებს—„მინდა ჩემი ქალი ვნახო და შენ ეგ ერთი ასხმა დურაჯები თან წამოიღე, მივუტანოთო". ქალი მზეთ უნახავათ იზრდება: საკუთარი კოშკია მისთვის აგებული და იქა ზის, არავის არ ეჩვენება, გარდა ნათესავებისა; მას ერთი ასმათ ჰყავს მოახლეთ მიჩენილი. შედის მეფე თავის ქალთან, ტარიელი-კი გარეთ რჩება. მეფე ასმათს უბრძანებს, რომ გარეთ მყოფ ტარიელს, რომელსაც ნება არა მქვს მზეთ უნახავთან შემოსვლის, დურაჯები ჩამოართვას და შემოუტანოს ნესტან-დარეჯანს. ასმათ რომ გამოდიოდა, რაღაც უნებურათ იმგვარათ აუხია ფარდას პირი, რომ ტარიელმა მოჰკრა თვალი შვენიერ ნესტან-დარეჯანს და გარეტიანდა: მოხვდა გულში ტრფიალების ისარი და მოედო სიყვარულის ცეცხლი... მაშინვე დააბნდა და უსულოთ დაეცა იქვე!... სამი დღის განმავლობაში გონს არ მო-

სულა. შეძრწუნდენ მეფე-დედოფალი, შეიძრა სასახ-ლე!... არ იციან, რას უნდა მიაწერონ ამგვარი უცები ავათმყოფობა!... მოასხეს ყოველი კუთხით მკურნალები. ახვრეტენ სხვა-და-სხვა სასმელებს. მუყრნი (მოლლები) შეშინებულისას ულოცვენ. ზოგი ამბობს ბელზებელს შეჰყრია, ე. ი. ეშმაკეულობისაგან არისო; ზოგი სენს აბ-რალებს, ზოგი სევდას და ზოგი რას! ბოლოს მკლა-ვიც გაუხსნეს, მაგრამ არა ეშველა-რა. მართალია, თუმ-ცა ცოტა-კი მოიხედა, მაგრამ, მორჩენა-განკურნება-კი ძნელია!... მისი მკურნალი მხოლოთ მისი უნებურათ და უეცრათ მკვლელი ნესტან-დარეჯანია. და, აი, ის კი-დევაც უგზავნის ასმათის ხელით სამკურნალოს: ატყო-ბინებს, რომ თავს რათ იკლავ—მეც მიყვარხარო!... ამ სიტყვამ უეცრათ გაჰკურნა ტარიელ, ახლა აღარა ტკი-ვა რა... ის ისევ გამთელდა, გალომგულდა!... მზათ არის, რომ ქვეყანას შეებრძოლოს!... ქეიფობს, ლხინობს ტოლ-ამხანაგებში სვამს და ამგვარათ ზრდის მის ნესტანისადმი სიყვარულს. ბოლოს ხედავს თავის სატრფოს, და ტყო-ბილობს მის სურვილსაც. ნესტან უბძანებს:

„ბედითი ბნედა, სიკვდილი, რა მეჯნურობა გგონია?
სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“.

თუ რომ გინდა ჩემი შენდამი სიყვარული გამტ-კიცდეს და ჩემი ღირსი შეიქნე, ჯერ სახელი რამ მოი-პოვე, თავი იჩინე, მამულს ემსახურე: წადი, შეები ხატაველთ და მათი ჯინი ამოგვაყრევინეო. ტარიელს ერთი თქმის მეტი აღარ დაჭირვებია. რწამს ნესტანის ნათქვამი, ეჭვი აღარა აქვს მის სიყვარულზე და სულ-წასული, მოუთმენლად გაიჭრება ხატაველებზე და ომს გა-მოუცხადებს.

ავთანდილიც არაბთა მეფის — როსტევანის — სპასპეტია, მის სამეფოში პირველი კაცია. იმას მისი პატრონის — როსტევანის — ქალი თინათინი უყვარს... ეს სიყვარული ღრმათ აქვს გამჯდარი, მაგრამ ტარიელისავით-კი ვერ რევს ხელს. უყვარს, იტანჯება ჩუმათ, თავისთვის და ელის მარჯვე დროს. აი, როგორ აგვიწერს რუსთველი ამ სიყვარულს:

„გულსა მისსა მიჯნურობა მისი ჰქონდა დამალულად,
რა მოშორდის, ვერ მჭვრეტელმან, ვარდი შექმნის ფერ ნაკლულად.
ნახის, ცეცხლნი გაუახლდის, წყლული გახდის უფრო წყლულად,
საბრალოა, სიყვარული, კაცსა შეიქმს გულ-ნაკლულად“.

გრძნობს, ითმენს სიყვარულს ავთანდილ, ტარიელივით არა ბნდება, დროს მოელის და, აჰა, ბედი იმ დროსაც, იმ შემთხვევასაც აძლევს: როსტევან მეფე სიცოცხლეშივე უპირობს თავის ასულს თინათინს გამეფებას და რჩევას ჰკითხავს დარბაისლებს: ქალი რომ არის მიმძიმსო. ეს რომ ესმა ავთანდილს, იმედი გაუმართლდა გულში, მაინშვე გამოიანგარიშა, რომ რალაი თინათინ მეფეთ იქნება, მე როგორც სპასპეტი და პარველი კაცი ვალდებული ვიქნები ხშირათ ვიახლო ხოლმე, ხშირათ წარვდგები ხოლმე ჩემი სატრფოს წინ დ მაშინ ადვილათ შესაძლებელია ჩემ სიყვარულს რამე მოუხერხდესო. და ამ აზრით პირველი მედასტურე შეიქნა მეფის; სხვებიც აიყოლია. აი, როგორ გვიწერს ამას რუსთაველი.:

„რა მეფედ დასმა მეფემან ბრძანა მისისა ქალისა,
ავთანდილს მიხვდა სიამე, ვნება სჭირს მისო ქალისა;
თქვა: ზედი-ზედა მომხდების ნახვა მის ბროლ ფიქალისა,
ნუ თუ მით ვპოვო წამალი მე ჩემი ფერ-გამქრალისა!“

ამ აზრით წახალისებული და გულდაშოშმინებული, ის ზრდის თინათინის სიყვარულს, მაგრამ ისე არა, როგორც ტარიელი სახალხოთ, აღტაცებით და სმა-შექცევით. როდესაც პირველათ ცნობა მიუვიდა ნესტან-დარეჯანისაგან, მაშინ ტარიელ ქეიფობდა ტოლ-ამხანაგებში დ̃ სმას ეძლეოდა. ავთანდილი-კი მარტოობას ეძებს... სიყვარული იმას დიდ საიდუმლოთ მიაჩნია, იმაზე ფიქრი და ლოცვა—ერთი და იგივეა. როგორც ლოცვის დროს საჭიროა მარტოობა და მხოლოთ სალოცავზე ფიქრი, ისე აქაც, სიყვარულის გრძნობის დროს, საჭიროა მარტოობა, რომ სხვა რამემ გონება არ გადიყოლიოს. და, აი, ავთანდილიც მარტო ზის ოთახში, იგონებს თავის საყვარელს, ხელში უჭირავს საკრავი და დაჰღიღინებს ზედ, გრძნობით ავსილი. ამ ყოფაში ხედავს იმას თინათინის მიგზავნილი კაცი, რომელიც ეუბნება: მისგან დაბარებული ხარო.

„ავთანდილ სჯდა მარტო საწოლს, ეცვა ოდენ მართ პერანგი,
იმღერდა და იხარებდა, წინა ედგა ერთი ჩანგი;
შემოვიდა მის წინაშე თინათინის მონა ზანგი,
მოახსენა: „გიბძანებსთ ტანი ალვა, პირი მანგი."

ავთანდილ მხიარული მიდის თინათინთან და იქ ტყობილობს მისგან, რომ იმასაც ჰყვარებია დ̃ მის მეტს არავის დაასაკუთრებს თავს, მაგრამ ჯერ-კი, როგორც ნესტანმა ტარიელს, ისე უდებს ესეც პირობას, მაგრამ სულ სხვა გვარს. „წადი, ჯერ ის მოძებნე, ვილაც უცხო მოყმე რომ გინახავსთ შენ დ̃ მამა ჩემს, შეიტყვე ხორციელი იყო ვინმე თუ უსულოო, ადამიანი, მიწის შვილი თუ ეშმაკეული რამე, ციდან ჩამოვარდნილიო".
სამ წელიწადს აძლევს დროს ვადათ, მერე-კი მოდი, მე ისევ ასე უფრჭკვნილათ დ̃ დაუჭკნობლათ დაგიხვდე-

ბიო და შენც „შეგეყრები, შემეყარეო“. მოხვდა ამით ავთანდილს სიამე. რწამს ესები ყველა, მაგრამ ტარიელივით შლეგათ არ გარბის მაინც. იცის, რომ ქვეყანა ცვალებადია; კაცის გული მალე გადატრიალდება ხოლმე და ამისთვის საიმედო ნიშანს რამესა თხოვს საყვარელს დასამტკიცებლათ:

„მესმა თქვენი ნაუბარი, გავიგონე, რაცა ბრძანე,
ვარდსა ქაცვი მოაშოეს, ეკალთამცა რად ვეფხანე,
მაგრამ, მზეო, თავი მზესა ჩემთვის სრულად დააგვანე,
სიცოცხლისა საიმედო ნიშანი რამ წამატანე“.

ასე ეუბნება, ხატზე აფიცებს, თვითონ ეფიცება, საბუთს ჰკიდებს ხელს და მერე მიდის ბრაძების ასასრულებლათ; ტარიელივით უეჭვოთ, უცბათ არ გარბის.

ახლა როგორ ასრულებენ ისინი მათ მათ მინდობილებას? ტარიელს, როგორც-კი მიუახლოვდა ხატაეთს—ბრძოლის სურვილი აენთო. წინ ხატაველთა ხანის მოციქულები მიეგებენ და თხოვეს, რომ ბევრი ჯარით ნუ მოხვალ, და ნუ აგვავოხრებთო; ჩვენ მზათა ვართ უბრძოლველათ დაგმორჩილდეთო. ამაზე ვაზირები ურჩევენ ტარიელს: ნუ დაუჯერებთ, ისინი მოღალატენი არიან და მოტყუებას გიპირებენო. ამასთან, მართლა, მთხრობელიც მოუვიდა ტარიელს, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის, სული მიუდის, ცოტა ჯარით გარბის და უნდა მალე აასრულოს მისი საყვარლის სურვილი. იმაზე-კი აღარ ჰფიქრობს, რომ შეიძლება ადვილათ ფათერაკს გადაეკიდოს, მისი აჩქარებით და გულის აყოლით შეიძლება ისიც გააფუჭონ, ჯარი დაუმცირონ, მეფეც შეარცხვინოს და საყვარელსაც გული მოუკლას, მაგრამ ის რას დასდევს ამაებს!... ან სიკვდილი ან ძლევა!... თავს იმეტებს, საეჭვოში ვარდება, მაშინ, როდესაც აუჩქარებლათ და

გაუქირვლათ, მთელი ჯარით რომ მივიდეს, შიში და ეჭვი არარაფრის იქნება.

ავთანდილ აუჩქარებლათ კვალში უდგია მის-და მინდობილ საგანს; დადის, დაეძებს გულ მოდგინეთ. აჰა, ერთი თვე-და დარჩენილა ბოლ-ჯამდი! ეს უკლავს გულს!... შედის ერთ უდაბურ ად-გილში, სადაც მონადირე ქურდებს წაატყდება მოულოდ-ნელათ და მათგან გაიგებს, რომ ის ვიღაც უცხო მო-ყმე, შავ ცხენიანი, აგერ მიდისო. გამოუდგება და დაინა-ხავს თვითონაც. ტარიელი რომ ყოფილიყო, პირ და-პირ, ჯიქურ მივარდებოდა ამ თავის საძებარ საგანს, მაგრამ ავთანდილ-კი შეჩერდა და არ შეუტია, არ შეეჯახა და ეს არა მიტომ, რომ ვითომც შემკრთალიყოს და შე-შინებოდეს. არა! მაშინვე ეს განიძრახა: ეს ვიღაც არის, მეტათ შლეგი და ახარებული ვინმეა, ადამიანს ერი-დება, ეკრძალება, ამის მაგალითი გვირჩვენა ადრევაც ნადირობის დროს, ახლაც ეს ქურდები მათრახით უცნაურათ შეუმწიფებია! რომ მივიდე პირდაპირ და შევებრძო-ლო ან იმან უნდა მომკლას და ან მე და რათა? ის, რისიც შეტყობა მინდა, რისათვისაც გადმოვჭრილვარ საძებრათ და ამდენი დრო დამიკარგავს მაინც გაუგება-რი დამირჩება, და მისი ამბავი დაიკარგვის საუკუნოდო!

,,რადგან ისი არის რადმე უცნობო და ისე რეტად,
რომე კაცსა არ მიუშვებს საუბრად და მისად ჭვრეტად,
მე ვეწევი, შევიყრებით ერთმანეთის ცემა-ჟლეტად,
ანუ მომკლავს, ანუ მოვკლავ, დაიმალვის მეტის-მეტად.‘‘

—

რაცაღა არის, არა არის, თუცა არ ეგნეს ბუდენი,
სადაცა მივა, მივიდეს, რამცა მოვლიდეს ზღუდენი,
მენიდგან ვძებნო დონენი ჩემნი არ დასამრუდენი*.

აი, რა მიზეზით არ უნდა შეტაკება ავთანდილს ტარიელის და მართლაც აუჩქარებლათ, აჩრდილივით მიდევს შეუნიშნავათ ტარიელს, თვალს არ აშორებს. ორი დღე და ღამე იარეს ამ გვარათ; მესამე დღეს, საღამო ჟამს ერთი შამბნარი გაიარეს, წყლის პირათ ქვაბი გამოჩნდა და იქით მიემართა ტარიელი. ახლა-კი მიხვდა ავთანდილი, რომ ის არის მისი ბინა და ბუდე. შეჩერდა, მეტს აღარ მიჰყვება, თავს არიდებს. ცხენი ძირს მიაბა, თვითონ გავიდა მაღალ ხეზე და იქედან ათვალიერებს, თუ რა ამბავიაო. ტარიელ გადახტა ცხენიდან, გამოეგება შავით მოსილი ქალი—ასმათ, ერთმანეთს გადაეხვიენ, მიატირეს... ცოტა ხანი დაჰყო ტარიელმა და ბოლოს ისევე გაუდგა თავის გზას, მარტო დააგდო ასმათი. ამას ყველას უყურებდა ავთანდილ და უკვირდა. ეხლა-კი ჩამოვიდა ხიდან, წყნარათ მივიდა ქვაბში, შეიპყრა გაკვირვებული ასმათი და მოინდომა მისგან შეეტყო ტარიელის ამბავი. აღარაფერი ღონე არ დაუზოგავს, მუხლიც მოუყარა და ყელ-გამოწევით ეხვეწებოდა, მაგრამ მაინც ვეღარას გახდა. ბოლოს თმით წამოზიდა და მოკვლა დაუპირა, რომ შეეშინებიაო, მაგრამ ასმათმა უთხრა—„მომკალ, მე სიკვდილი კიდეც მენატრება და შენ მაინც ვერას შეიტყობო!“ ტარიელი რომ ყოფილიყო, ამდენს ვეღარ მოითმენდა და ისე დაანარცხებდა მიწაზე უსულოთ, როგორც ის ვეფხვი, ნესტანს რომ შეადარა. მაგრამ ავთანდილი-კი თავისას არ იშლის. იცის, რომ აქ რაღაც საიდუმლოა და უთუოთ სიყვარულის ამბავი რამ იქნებაო. მიჯდა თვალთ-მაქცურათ კუთხეში და დაიწყო ტირილი მოთქმით... ბოდიშს თხოვს, რომ გაგარისხეო, მაგრამ რა ვქნა სიყვარულისაგან გამხეცებული ვარ, ცეცხლი მეკიდება და

მაპატიველ, მიჯნური მტერსაც-კი შეებრალებაო... ამ გვარი სიტყვებით გული მოუბრუნა ასმათს, ანკესივით წამოაგო ზედ მისი გული; შეირიგა და დაიდობილა ისე, რომ იმის შუამდგომლობით ტარიელს თავი გააცნო და ისიც გაიცნო; მაინც შეიტყო, რასაც ეძებდა და დაკმაყოფილებული წაემართა საყვარლისაკენ.

ტარიელმა ძებნა ერთხანათ მისი საყვარელი და რომ ვერსად შეხვდა,—გაიტეხა გული, დაეცა სულით და სრულიად გამხეცდა: ცხოვრობს ქვაბში, ასმათის მეტს არავის იახლებს, მოთქვამს და ტირის... ოცნებათ არის გადაქცეული, უდაბურ ადგილებს ეძებს და ადამიანს ერიდება! მაშ, როგორ და უნდა გაიგოს საყვარლის ამბავი?! ავთანდილი-კი ისეთს ადგილებს ირჩევს, სადაც ხალხი მეტია. შეიტყო თუ არა, ამა და ამ ადგილას ზღვის ხელმწიფის სამფლობელოა, სადაც ყოველი კუთხით თავს იყრიან ხმელეთიდან თუ ზღვითაო, — იქით მიაშურა. რადგანაც იცის, რომ იქ ვაჭრული ქალაქია და ვაჭრების ქვეყანა, თვითონაც ვაჭრულათ ირთვება, „რა ქვეყანაშიაც მიხვიდე, იმ ქვეყნის ქუდი დაიხურეო“—ჰფიქრობს. აქ ერთ დიაცს გადაატყდება, ფატმან ხათუნს, ვაჭართ უხუცესის ცოლს, რომელიც პირდაპირ აშიყობას დაუწყებს ავთანდილს და იწვევს თავისკენ. ჯერ უკვირს ავთანდილს, როგორ შემომბედა და რა ჩემი საშიყოო! ბოლოს დაფიქრდება და ამბობს: ის ქალი ბევრის მნახველი იქნება, ბევრი რამ საიდუმლოებიც ეცოდინებაო, აქ ისეთი ადგილია, რომ მგზავრი არ გამოეპარებაო; მოდი ერთი მივჰყვები ნებას, თავს მოვაჩვენებ შეყვარებულათ და მაშინ მისგან ბევრ საიდუმლოებს გავიგებ, რადგანაც დედა-კაცებს ზნეთა აქვთ, საყვარელს ყოლიფერს, რაც-კი იციან, გაუმჟღავნებენ

ხოლმეო და ვინ იცის, ეგება ზოგი საძებარი საქმისაც რამ გავიგოვო.

„ისი დიაცი აქა ზის, კაცთა მნახავი მრავალთა,
მოსადგურე და მოყვარე მგზავრთა, ყოველგნით მავალთა,
მივყვე, მიამბობს ყველასა, რაზომცა ცეცხლი მწვავს ალთა,
ნუ თუ რა მარგო მე მისი, გარდახდა ჩემგან ვსცნო ვალთა".

—

„სთქვა: დიაცსა ვინცა უყვარს, გაექვსის და მისცემს გულსა,
აუგი და მოყივნება არად შესწონს ყოვლად კრულსა,
რაცა იცის, გაუცხადებს, ხვაშიადსა უთხრობს სრულსა,
მიჯობს, მივჰყვე გან-და სადმე ვსცნობ საქმესა დამალულსა".

ამას გადაწყვეტს, წერს პასუხს და, მართლაც, უცნაური შემთხვევით ტყობილობს საძებარ ამბავს. წიგნს მიაწერინებს ფატმანს ქაჯეთში ნესტან-დარეჯანისაკენ, პასუხსაც ჩაიგდებს ხელში და მიუტანს ტარიელს. ამ გვარათ, ტარიელს ხელიდან წაუვიდა მისი სატრფო. ფრიდონმაც ნახა ერთხელ ზღვის პირათ, რომ ნავით გამოიტანეს ხანგებმა, მიაშურა მისი ცხენით, მაგრამ გაასწრეს და ვერას გახდა-რა. ავთანდილს-კი თვალითაც არ უნახავს, მაგრამ გონების თვალის შემწეობით შეიტყო, სადაც იყო. ქაჯეთის ციხეზედაც მიმდგარი სამივე მეგობრები, თავ-თავის ხასიათის შესაფერათ თათბირობენ. ფრიდონ საბელით ქურდულათ გადაპარვას აპირობს, ავთანდილ ვაჭრულათ, მოტყუებით შესვლას და ტარიელ-კი პირდაპირობაზედა დგას. ამ გვარათ ჩვენ ვხედავთ, რომ ტარიელი მოქმედობს გულის აყოლით და ავთანდილი-კი თავს ეკითხება. თუ გავიხსენებთ წინა ლექციას, როდესაც ამერლების, იმერლების დ შავი ზღვის პირელების ხასიათების განსხვავებაზე ვლაპარაკობდით, მაშინ ნათლად დავინახავთ, რომ ტარიელში იხატება

ქართლელების ხასიათი და ზნე, ავთანდილში იმერლების და ფრიდონში შავი ზღვის პირელების. მაშასადამე, ჩვენი შენიშვნაც რუსთველის სურვილის შესახებ საფუძვლიანი ყოფილა.

რაც აქ კაცების შესახებ ვთქვით და დავინახეთ, იგივე ითქმის ქალების შესახებაც. ნესტანი იმერია და თინათინ იმერი. რადგანაც წინა ლექციებში, საზოგადო ხასიათების გარჩევის დროს, ჩვენ ქართველ ქალებზე არა გვითქვამს-რა, ამისათვის საჭიროთ დავინახეთ, რომ ახლა აქ, სანამ ნესტანზე და თინათინზე ვიტყოდეთ რამეს, მოვიხსენიოთ ისინიც. იმ თავითვე გაგონილი ჰქონდა და კიდევაც რწამდა ქართველ ხალხს, რომ, როდესაც მოციქულებმა წილი ჰყარეს მაზედ, თუ ვის რომელ ქვეყანაში ექადაგნა სიტყვა ქრისტესი, მღვთის-მშობელმაც მოინდომა მონაწილეობის მიღება და წილათ ხვდა საქართველო. სხვათა შორის, ჩემი აზრით, ამის ბრალიც იყო, რომ სხვა ქვეყნებში ისეთი ნდობა და თავისუფლება არა ჰქონდათ ქალებს, როგორიც ჩვენს ქვეყანაში. უნდა გამოვტყდეთ, რომ ეს პატივი ღირსეულათაც შეიფერეს ჩვენმა დედებმა. პირველათ ანდრია მოციქული მოვიდა საქართველოში საქადაგებლათ კოლხიდით, დაასო ჯვარი ენგურის პირათ (დღესაც იმ ადგილს ჯვარი ჰქვია), მაგრამ ვერას გახდა, მაშინ, როდესაც ნინო მოციქულთა სწორმა, ნანა დედოფლის, მირიანის მეუღლის, შემწეობით-კი მთელს საქართველოს მოსდო ქრისტიანობა. არც ერთ მეფის დროს ისე არ განთქმულა საქართველო, როგორც თამარ მეფის დროს, თუმცა ქალი-კი იყო; არც ერთ მოწამეთაგანს იმდენი ტანჯვა არ მიუღია რჯულისა და ქვეყნისათვის და მისთანა მაგალითი არ უჩვენებია ხალ-

ხისათვის, როგორც ქეთევან დედოფალმა. საქართველოს ისტორიის შესწავლა თვალ-და-თვალ დაგვანახვებს ჩვენ, რომ ჩვენს წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი მიუძღვის დედათა სქესს. ჭირში თუ ლხინში, შინ თუ გარეთ ცხოვრების მანქანა მათ ხელში ყოფილა და ჯარაც მათ უტრიალებიათ. სამშობლოსათვის თავის განწირვა, უბრალო რამ, ჩვეულებრივი ყოფილა. ათას და ათი ათას მაგალითებიდან ერთიც რომ მოვიყვანოთ, საკმაო იქნება. მარაბდის ომში, სადაც ცხრა ძმა ხერხეულიძე მედროშენი ერთს დღეს მოიკლა, უკანასკნელ შვილს, მომაკვდავს, ჩამოართვა ხელიდან ბაირაღი მოხუცმა დედამ... იმ დროს სძლია ქართველმა ქალმა დედობას და თვითონ წაუძღვა წინ ქართველ ჯარს!... ჩვენში მაშინ ივდითებიც ცოტანი არ ყოფილან და, მართალია, ეგება ბიბლიურ ივდითივით ქვეყნის გამოსახსნელათ თავი არ მოუჭრიათ ონოფრეებისათვის, მაგრამ საქართველოს დასაღუპავათ შახებში და სულთნებში აღძრულ სურვილებისითვის-კი ბევრჯელ მოუკვეციათ თავი მათი საკუთარი თავ-გაწირვით. არა თუ ხორცით, სულითაც-კი ემსხვერპლებოდენ ხოლმე მამულის სიყვარულს: რჯულზე ხელს იღებდენ... და ცოლებათ მიჰყვებოდენ უსიამო შახებსა და სულთნებს, ოღონ და სამშობლოს შესახებ მათი გული მოეგოთ!... დღეს, ამ საზოგადო ზნეობით დაცემის დროს, ხასიათების მრუდობა, თუ არ უმეტესათ, ნაკლეთ მაინც არ ატყვიათ ქალებს კაცებზე. მაგრამ ეს-კი უნდა ვთქვათ, რომ მომავლისათვის საიმედო ნიშნები ქალებში უფრო იხედება. ორმოცდაათი წელიწადია, რაც ვაჟებს გზა ეძლევათ, მიდიან სხვაგან და სხვაგან სწავლა-განათლების მისაღებათ; მერე მოდიან აქ და წინ სამუშაო ბევრი

რამ უხვდებათ. მართალია, ჩვენ მისი თანახმა არა ვართ, რომ ვითომც ამ ხალხს არა გაეკეთებოის-რა. ბევრი გააკეთეს. მართალია, ციხე დარბაზები არ აუგიათ, ვერც თავის კეთილ-დღეობა წაუყვანიათ კარგათ, მაგრამ აქ სულ სხვა მიზეზებია. ვისაც სურს მათი შრომის და ნაყოფის დანახვა და მათი აწონ-დაფასება, თვითონაც უნდა გონების თვალი გამოახილოს და მაშინ უეჭველია აზრს გამოიცვლის მათ შესახებ. არა, ბევრი გაუკეთებიათ ამ ვაჟებს, მაგრამ იმათ ადგილზე ქალები რომ ყოფილიყვენ, იმათაც რომ იმდენი დრო და საშუალება ჰქონოდათ, ეჭვი არ არის, მეტ სარგებლობას მოუტანდენ ჩვენს ქვეყანას თავის თავად და ვაჟებსაც აღძრავდენ ენერგიულათ კეთილ-სამუშაოთ. ეს მომავალი და წარსული დროს დედები უცნაურათ და საკვირველათ გამოუხატავს რუსთველს თავის უკვდავ „ვეფხვისტყაოსანში“. ამგვართაგანი არიან ნესტანდარეჯან და თინათინ. პირველი ამერთა ქალია და მეორე იმერთა. ერთი მათგანი ძალიან ემზგავსება ხასიათებით ტარიელს და მეორე ავთანდილს. აქ ისინიც შევადაროთ ერთმანეთს.

ნესტან-დარეჯანმაც, ნახა თუ არა ტარიელ, მაშინვე შეუყვარდა და ისე გადაჰყვა გულს, რომ ველარ მოახერხა დაფარვა: არა თუ ასმათს გამოუტყდა, თვითონ ტარიელსაც წიგნსა წერს და საბუთს უგდებს ხელს, სიყვარულის სენით გამსჭვალულებისათვის იმ სამკურნალო მალამოს, რომელიც ხშირათ ბოლოს სამსალათ გადაიქცევა ხოლმე. მაგრამ ამეებზე, აღარა ჰფიქრობს ნესტან. პირველათ რომ შეიყვანა სანახავათ ტარიელ,— რაღაც უცნაური რამ მოუვიდა.. კრძალვა-სირცხვილი და სიყვარულის გრძნობა ორივე ერთად მოაწვა, ააჟრჟოლა და ენა დაუბა... ბოლოს ძლივს მოიბრუნა სუ-

ლი, მოიხმო ასმათ და ყურში ჩაუჩურჩულა: „მოახსენე ამირბარს, რომ წავიდეს, მეტი აღარ შემიძლია-თქო".

„დიდ ხანს ვსდეგ და არა მითხრა სიტყვა მისსა მონასურსა,
ოდენ ტკბილათ შემომხედის, ვითამცა რა შინაურსა;
ასმათ უხმო, მოუბნესა, ქალი მოსდგა, მითხრა ყურსა:
„აწ წადიო, ვერას გითხრობს! შე კვლავ მიმცა ალმასნ მურსა"

რა დიდებული გრძნობაა და რა მდიდარი სურათია გამოსახული ამ რამდენიმე სიტყვაში!... ნესტან-დარეჯან, მისი ატაცებული სიყვარულით, მისი უნებური და უმანკო კეკლუცობით და მისი ყმაწვილური კრძალვა-ახირებულობით უცნაურათ იზიდავს ჩვენს გულს, ჩვენს თანაგრძნობას და მზათ ვართ სულში ჩავიძვრინოთ. აწ-ლა ვნახოთ ესევე ნესტან-დარეჯანი, როდესაც შეიტყო, რომ ხორასნელ მეფის შვილს აძლევენ. რჩევა ჰქონიათ, ტარიელი იქ ყოფილა და დათანხმებია! ეს პატარა, მორცხვი, მშვიდობიანი გვრიტი უეცრათ იზრდება ჩვენ თვალ წინ და როდესაც თავის სიმართლისა და სურვილის დაჩაგვრასა ხედავს,—ვეფხვათ გადაქცეულია და ზარ-დამცემათ მრისხანეობს. სადღა არის ადრინდელი უმანკო, ნაზი და გამოუცდელი პატარა ნესტანი?!

„ქვე წვა, ვით კლდისა ნაპირსა ვეფხვი პირ-გამეხებული;
არცა მზე ჰგვანდა, არც მთვარე, ხე ალვა ედემს ხებული.
ასმათმან დამსვა შორს გვარად გულსა მე ლახვარ ხებული;
მერე წამოჯდა წარბ-შერჭმით, გამწყრალი, განრისხებული."

—

„მიბრძანა: მიკვირს რად მოხველ, მშლელი პირისა მტკიცისა,
გამწირავი და მუხთალი შენ გამტეხელი ფიცისა,
მაგრამ ნაცვალსა პასუხსა, მოგცემსო ზენა მის ცისა".

ეს კიდევ ცოტაა, მარტო ამას არ აჯერებს და ემუქრება:

„რადგან დამთმე, მეცა დაგთმობ, ვინძი უფრო დაზიანდეს!“

და

ცოცხალ ვიყო, შენ ინდოეთს, ღმერთო, ხანი ვერა დავჰყო,
თუ ეცადო დაყოფასა, ხორცთა შენთა სული გაჰყო,
სხვა ჩემებრივ ვერა ჰპოვო, ცათამდისცა ხელი აჰყო!“.

სწორედ ამ დღიდან ჩაეხატა ტარიელს ნესტანი ვეფხვის მზგავსათ და ამიტომ იცვამს ვეფხვის ტყავს. მართლა, რომ გასაოცარი სანახავია! ახლა ეს ის აღარ არის, როდესაც ჩვენ გვიყვარდა და სულში ჩაძვრენას ვუპირებდით. არა, აქ ძლიერი ვინმეა! იქ თუ ტკბილი გრძნობით გვიმონებდა, აქ გამწვარებული გრძნობის ძალით გვაკვირვებს და უსიტყვოთ გვიმონებს... ახლა სულში ჩაძვრენას-კი ვეღარ ვუბედავთ,—გვინდა, რომ თაყვანი ვსცეთ და ფეხთ ვემთხვიოთ მას!... ესეც ქალთა შორის ტარიელია—ძლიერი და გამბედავი. მაგრამ, როგორც გულის ამყოლი, იმასავითვე უთანასწორო თავის მოქმედებაში. ცოტა რამ ამაღლებს ცამდი და ცოტა რამვე დაჰცემს ხოლმე. მაგალითად, ამისთანა ძლიერი ხასიათის მქონე უსიტყვოთ ემორჩილება მამიდა მის დავარს! დავარ უმოწყალოთ ჰცემს, ლანძღავს უშვერი სიტყვებით, ბოლოს კუბოში ამწყვდევს, ისტუმრებს დასაკარგავათ და ნესტანი არა თუ ვერ ეწინააღმდეგება, ერთ „მიშველესაც“ ვერ იძახის!... იმდენი გზა გაიარა—ზღვახმელეთი, ბოლოს ფატმანის ხელშიაც ჩავარდა... ისე დაცემულა სულით, რომ ხმას არ იღებს, მხოლოთ ტირის და მოთქვამს!... ისიც ტარიელსავით გარეტიანებულია.. დარწმუნებული უნდა ვიყოთ, იმან რომ თავის ვინაობა და მდგომარეობა გაამჟღავნოს, ზღვის მეფე იმას შეიბრალებს და სურვილს აუსრულებს, მაგრამ ნესტან-კი გულს ვეღარ ერევა და მხოლოთ ტირილს უნ-

დება. გზაშიაც, მერე, გაპარვის შემდეგ, რათ არ იფარავს სახეს?! რატომ განგებ არ იცვლის სახეს და მიდის და მიანათებს თავისი საკუთარი სახით ბ მით ყველას ყურადღებას იქცევს და უვარდება ხელში ქაჯეთის მეფის მეკობრეებს?! მიტომ, რომ ყოველთვის და ყოველგან, როგორც არის, ისე უჩვენებს თავს!... პირდაპირია ტარიელივით. ქაჯეთში, შეპყრობილი კოშკში, ის სულ მუდამ ტარიელზე ჰფიქრობს და განძრახვაც აქვს, როცა მეფის ძე დაბრუნდება ქაჯეთში და მოინდომებს მის ცოლათ შერთვას, ის მაშინვე გადავარდება მაღლიდან, დაეხეთქება კლდეს, თავს მოიკლავს და საიქიოს პირნათლად ,შეხვდება მის საყვარელს,—არ უღალატებს. აქაც ყველგან—გული, გული და გული!...

სულ სხვა გვარია თინათინ. ის, ავთანდილის არ იყოს, გულის ამყოლია იმდენათ, რამოდენათაც თავი ნებას აძლევს. იმას უყვარს ავთანდილი, მაგრამ ამ სიყვარულს დრომდე გულში იმალავს და არავის არ შეამჩნევინებს. ასე გასინჯეთ, რომ მამასთანაც აღარ შევიდა, მისი უგუნებობა რომ გაიგო; ყოველთვის და ყოველგან მარჯვე დროს ეძებს. აი ახლაც, როდესაც გამეფდა და ნება აქვს—ვინც უნდა ნახოს, იბარებს ავთანდილს. იცის, რომ ავთანდილს ის უყვარს, მოწონს და ამიტომ კეკლუცათ მიიღო, ვითომ უბრალოთ, მოურთველათ: ახირებულათ ჩაცმული დაუხვდა, მაგრამ ის მორთულობა ნაანგარიშები და საკეკლუცო იყო.

„გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასის თქმად გასაჭირონი,
შვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი
მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად თმანი, არ უხშირონი.“

უბრძანა წყნარათ დაჯდომა, უთხრა, რომ ვიცი

ჩემი შენგან სიყვარულიო, შეგატყვეო, მაგრამ ახლა ერთი რამე მსურს და ჯერ ის ამისრულეო: შეიტყვე, ის ყმა ვინ იყო და მერე იცოდე შენი ვარ, შეგეყრები და შემეყარეო.

„ასრე გითხრა ,სამსახური ჩემი გმართებს ამად ორად:
პირველ ყმა ხარ, ხორციელი არვინა გვყავს შენად სწორად,
მერე ჩემი მიჯნური ხარ, დასტურია არ ნაჭორად,
წადი, იგი მოუმე სძებნე, ახლოს იყოს, თუნდა შორად“.

ამას დაასაქმებს მშვიდობიანათ, წყნარათ და მერე, მხოლოთ მერე, ამის ასრულების შემდეგ უსრულებს პირობას და მაშინ მხოლოთ აძლევს კადნიერების ნებას ავთანდილს და ესიყვარულება. ერთი სიტყვით, გულ-დამშვიდებით, გამოზომილათ და გამოანგარიშებულათ მოქმედებს ავთანდილივით. აქ უნდა ვთქვათ, რომ, როგორც ტარიელში ამერთა და ავთანდილში იმერთა კაცები, ზნე და ხასიათი იხატება, ისე ნესტანში ამერთ და თინათინში იმერთ ქალების ხასიათები.

ახლა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა დანარჩენ პირებზედაც —ფატმანხათუნზე და ასმათზე. ფატმან ხათუნ ქვეყანაში გამოსული ქალია, უმისოთ არც ავი იქნება და არც კარ-გი, არც მომსვლელი და არც წამსვლელი არ გამო-ეპარება. ვაჭართ უხუცესის ჰუსეინის ცოლია. სიმ-დიდრე-ქონებისაგან სულ გალაღებულია, გასუქებულია და სიმსუქნე უხიცინებს. ის ქეიფობს ხან ერთთან, ხან მეორესთან. სასახლეში შესულია ისე, რომ იმას მიპა-ტიჟებაც არ უნდა; იქ შინაურია: თვითონ, როცა უნ-და, შედის და დანიშნულ დროზე სხვის ცოლებსაც წაასხამს ხოლმე. სასახლეში ამბების შემტან-გამომტანი და მაჭანკალი ის არის; უმისოთ ძვირათ თუ რამე სა-ქმე გარიგდება. ქმარი ჰყავს უხეირო რამ, მაჩანჩალა,

ნეზვი, როგორც თვითონ ეძახის. საბრალო სწორეთ ცოლის ყურ-მოჭრილი ყმაა, მაგრამ როგორ რამეს გაბედავს, რომ ცოლის წყალობით სასახლეში მიღებულია პატივ-ცემული და გაკეთებული! ესენი ისე აფასებენ სასახლის სალამს, რომ ყოველიფერს ჩაიდენენ მისი გულისათვის. თავის ქვეყნის ბედსა და საიდუმლოს ისე შესწირვენ ერთ უბრალო ალერსიან სიტყვის გულისათვის, როგორც ჰუსეინმა შესწირა სასახლეს ნესტან-დარეჯანი. ამ გვარი ქალები ყოველთვის და ყოველგან არიან დ͠, რასაკვირველია, საქართველოშიაც, ქართველი ქალებიც, ზღვის პირათ, ბოლოზ ადგილებზე გამოერეოდენ ხოლმე. მაგრამ ამისთანა კარგ დროს, საზოგადო ბედნიერების დროს, ისინიც საკეთილოთ მოსახმარნი არიან დ͠ გამოყიენებს კაცი ისე, როგორც ავთანდილმა გამოიყენა. ქვეყნის დაცემის დროს-კი ფატმანები, საძაგლები არიან დ͠ ქვეყანას ბევრ ვნებას აძლევენ. დღეს უფრო ვრცლათ ლაპარაკი ფატმანებზე მოუხერხებელია, რადგანაც... რადგანაც... თვითონ მიხვდებით რადგანაც... მისთვის, რომ საკვირველი სარკე და სასწორია ზოგიერთებისათვის... ასმათ გვიხატავს ერთ იმ პირთაგანს, რომელნიც დღეს აღარ არიან, მაგრამ ძველათ-კი იყვენ. როგორც წინეთ მოგახსენეთ, ჩვენში ბატონ-ყმობას არ ჰქონია ისეთი ხასიათი, როგორც სხვა ქვეყნებში. სხვაგან მონა ყოველთვის მონათ რჩებოდა, ჩვენში-კი არა. მოსამსახურე ქალს, ჯერ, სანამ პატარა იყო, გოგოს ეძახდენ, რომ წამოიზრდებოდა მოახლობას მიიღებდა, ე. ი. დაუახლოვდებოდა შინაურებს, და მერე გამდლობას იგდებდა ხელში. ის თითქმის პირველი პირი იყო. ოჯახის შვილებს ისა ზრდიდა და უმისოთ არა იქნებოდა-რა იმ ოჯახის შესახები. თუმცა სისხლ-ხორცით ვერა, მაგ-

რამ სულითა და გულით-კი ის გახდებოდა ხოლმე ოჯახის ნათესავი. დღეს ამ გვარ რამეს ვეღარა ვხე-დავთ ჩვენში. დღეს ასე, ამ გვარათ ჩვენ დავინახეთ, რომ „ვეფხვის-ტყაოსანში“ გამოხატული ტიპები, როგორც კაცები, ისე ქალები ნამდვილი ქართველები არიან, სხვა და-სხვა კუთხეებიდან აღებული. მაგრამ მარტო ეს მნიშვნელობა არა აქვს ჩვენთვის რუსთველის „ვეფხვის-ტყაოსანს“. აქ ჩვენ ვხედავთ დიდ წინასწარმეტყველობას ჩვენი სამშობლოს შესახებ: ნესტან-დარეჯანი არის ჩვე-ნი ქვეყნის მდგომარეობა. აქ, რასაკვირველია, თქვენც მიხვ-დებით, რომ მე ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ და ზნეო-ბითი მდგომარეობაზე მოგახსენებთ, იმის გაუმჯობესობა, გამოხსნა მარტო ტარიელს, რაგინდ რომ უცნაუ-რი ძალისაც იყოს, არ შეუძლია მისი პირ და პირობით, თუ იმას ავთანდილიც არ მიეხმარა თავის წინდახედლუ-ლი მიხვევ-მოხვეულობით და თუ ფრიდონმაც მასა-ლები და ხელ-საწყოები არ მოუმზადა და არ მოეხმა-რა.

წინა ლექციაში მოგახსენეთ, რომ დღეს ჩვენი ქვე-ყნის ყოველი კუთხე იღვიძებს და საჭირო არის ჩვენც მათ-მათი შესაფერი მასალები და იარაღები მოვუმზადოთ მეთქი. რა მასალებია ეს მასალები? ის მასალები, რო-მლის წყალობითაც ჩვენს ქვეყანას შეუძლია დაიბრუნოს ძველებური ზნე და შეინახოს სხვა-და-სხვა მის კუთხეში, ერთმანეთთან გადაკავშირებული და ერთი მიზნის მიმ-დევარი ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონები, რომელ-თაც ამხნევებდენ მომავალი თინათინები და ეუბნებო-დენ: „წადით, ჯერ ქვეყანას ემსახურეთ, გვიჩვენეთ ჩვე-ნცა საქმენი საგმირონი და მაშინ მოდით, პირნათლათ შეგვეყარეთ ჲ შეგეყრებითო!“ დასასრულ, ბოდიშს ვი-

ხდი თქვენთან: თქვენ რომ გესიამოვნებათ, ისე ვერ მოვახერხე ტკბილ-ქართულობა და, ეგება, თქვენ რომ მოელოდით, მისთანა აზრების წამოთქმაც ვერ მოვახერხე, მაგრამ ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ ხანგრძლივი მუნჯობის შემდეგ ეს თითქმის პირველათ არის დედა ენაზე სახალხო ხმის ამოღება. ეს მარჯვე შემთხვევა არ მინდოდა დამეკარგა და თქვენც ჩემ გამბედაობას, იმედი მაქვს, სასტიკათ და მკაცრათ არ მოეკიდებით.

# სიყვარული

ყველამ ვიცით სიყვარული,
ყველასა გვაქვს გამოცდილი,
მას შემდეგ, რომ ევამ ადამს
შეაჭამა უცხო ხილი...

—

იმავ დღიდან აქამომდე
უკუღმართად გვიცემს გული:
რაც ჩვენია, მოგვწყენია,
გვენატრება აღკრძალული!...

—

და მიტომაც კაცს ყოველთვის,
მზეთ უნახავ ცოლის პატრონს,
გინდ მახინჯი რამეც იყოს,
სხვისი ცოლი უფრო მოჰწონს!...

—

და ქალებმაც, მაშ, რაღა ჰქნან,
რომ ქმარს თავი შეაყვარონ,
თუ იმათაც წრფელი გულით
სხვის ცოლობა არ ინატრონ?!..

# თორნიკე ერისთავი

ისტორიული პოემა

# თორნიკე ერისთავი

(ისტორიული პოემა)

ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა
და ან ცაში ვარსკვლავები?
ვინ შეამკოს ღირსეულად
ქართველ გმირთა მხარ-მკლავები?
ვინ მოგვითხრას მათი საქმე
უთვალავი, საგმირონი
და ან მათზე გადმოსული
მადლი ღვთისა და მირონი?
ნაშთი ძველი დიდებისა
არ გამქრალა ჯერაც ყველა...
დღესაც მისი შარავანდით
ნიშანს გვაძლევს ცისარტყელა!...
შვიდ სამთავროს მოგვაგონებს
მოელვარე ის, შვიდ ფერი
და გვამღერებს: „არ მომკვდარა,
გაიღვიძებს ისევ ერი!"

# კარი პირველი.

## I

მეფე დავით კურაპალატს
ჰქონდა ერთხელ წვეულება —
მშვიდობის დროს ჩვენ მეფეებს
ჰქონიათ ეს ჩვეულება.
საქართველოს ყოველ კუთხით
მოეყარა თავი ერსა,
ილხენდენ და გაჰკიოდენ
ერთხმათ „მრავალ-ჟამიერსა.“
და, მართლადაც, რომ შვენოდათ
მაშინ იმათ ეს მოლხენა,
რადგან იმ დროს გადმოსული
იყო ქართლზე მადლი ზენა:
გარე მტერი, დათრგუნვილი,
შუღლს მათ ვეღარ უბედავდა
და შინაგან მშვიდობასაც
ვინ იყო, რომ ვერ ხედავდა?
ამით გული უხაროდათ
ბატონს და ყმას, ყველას ერთად,
კაცსა კაცათ აფასებდენ,
ადიდებდენ ღმერთსა ღმერთად;
საქმის დროზე მუშაობდენ,
უქმე დღეზე მოილხენდენ,
მეფე ხალხს და ხალხი მეფეს
სიამესა გულს მოჰფენდენ.
მთვრალობა და „სადღეგრძელო“

სათვითოო არ იცოდენ,
ჩვენი ღხინი რომ ენახათ,
სირცხვილითაც დაიწვოდენ.
პირველ სმაზე ახსენებდენ
საქართველოს და უფალსა,
დღეგრძელობით თაყვანს სცემდენ
მეფესა და დედოფალსა;
ბოლოს გმირებს იგონებდენ,
მამულისთვის ომებში მკვდარს
და მღვდელ-მთავრის კურთხევითა
სვამდენ იმათ შესანდობარს.
სულ ამითი თავდებოდა
მაშინდელი სადღეგრძელო,
თუმცა მათში მეტი იყო
საქმები და სასახელო.
ამ გვარივე იყო იმ დღეს
ზომიერი ჭამა და სმა;
მოილხინეს, გაშაირდენ
და ერთმანეთს ტყორცეს მათ ზმა.
ორ აზროვან სიტყვებისა
გაიმართა გამოცანა,
ყველას მეფის ხუმარა ჯობს,
არ ვინ არის იმისთანა!
მაგრამ ბოლოს ორბელიძე
მოსწრებულათ, გალექსულათ,
ცალფეხ ზმების საპასუხოთ,
ეუბნება ორ-ლესულათ:
— „მაღლით წვიმა მოდიოდა,
ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან

ფეხებამდე მ ა ს ხ ა რ ა ო!“
ხუმარამ თქვა: „გიჟობნია,
თითს მოვკაკვავ მორჩილადო,
მაგრამ ერთს კი მოგახსენებ
მოწიწებით და ფრთხილადო:
—„ხუმარათაც ვარგებულხარ,
ვაშკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას,
თუმც მის ადგილს ს უ ლ ე ლ ი ო!“
აქ თორნიკეს ხსენებაზე
მეფე შეკრთა და ეს ბრძანა:
—„თქვი, ხუმარავ, თუ რას ნიშნავს
ებე შენი გამოცანა?
რა არის, რომ დღეს ჩემ გვერდით
დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო!...
მომიკვდა, თუ დასნეულდა?—
თქვი, ტყუილს ნუ მიბედავო!“
—მოახსენა: „არ მომკვდარა,
არც სენი რამ აწუხებსო,
მაგრამ ქვეყნის სამსახურზე
დღეიდ:ნ-კი ხელს იღებსო...
თვით ვერ ბედავს მოხსენებას,
მოციქულობს ვერც სხვაო,
რადგან უნდათ აიცილონ
თქვენი წყრომა და რისხვაო.
აწ გავბედე მოხსენება
ზმებითა და გადაკვრითო
და ნუ მრისხავ კადნიერსა,
გევედრები ცრემლის ღვრითო!“
—მეფემ ბრძანა: „არ გიწყრები,

გმადლობ, ვფიცავ ჩემსა მზესო,
მაგრამ ვნახავ ერისთავსა,
გამოკჰკითხავ მას მიზეზსო."
სახლთ-უხუცესს დაუძახა:
„ხვალ თორნიკე მომგვარეთო,
მომინახეთ, სადაც იყოს,
შინ დაგიხვდესთ, თუ გარეთო!"
ეს ბრძანა და ზე წამოდგა,
ნადიმიცა მით გათავდა
და ხვალისთვის დაიბარა
სადარბაზოთ, ვინც იქ ჰყავდა.

## II

გამართულია დარბაზი,
ერიც სამსჯავროთ შეყრილი;
წინ დგას თორნიკე პირ ნათლათ,
წარბიც არა აქვს შეხრილი!...
თავი ჩაიგდო სამსჯავროთ,
მიჰყვა საერო ნებასა,
ჯერ ელის მისგან ბრალ-დებას
და მერე განჩინებასა.
აბრძანდა მეფე ბრალ-მდებლათ,
ამას კანონი ითხოვდა,
და თაყვანი სცა კრებულსა,
სანამდი სიტყვას იტყოდა.
თვალ ამღვრეულათ შეხედა
თორნიკეს, მრავალ-წლიანსა,
სიტყვები ყელში ეჩრება,
უმისოთ სიტყვა წყლიანსა.

ბრძანებს და მისსა სიტყვასა
ყურს უგდებს მთელი კრებული;
კრძალვით მოისმენს თორნიკეც,
სხვა გვარათ ჩაფიქრებული.
ამბობს: „მბრუნავი ქვეყანა,
ვიცით, რომ ცვალებადია,
ვისაც მაანდობს, გაწირავს,
მისთვის მახე და ბადია;
მოყვარეს გადაამტერებს,
მტერსა გაუხდის მოყვრადა,
დღევანდელ ლხენა-სიცილსა
ხვალ გადაუქცევს ოხვრადა...
კაცობრიობის დიდება
მას მიაჩნია ჩალადა
და შეუქმნივართ ჩვენ მხოლოთ
ამ სოფლის მაჩანჩალადა!...
შემცდარი არის, ვინც ჰფიქრობს
მქლიდურ უეჭველობით!
ან ერთი — რა ვართ ამ სოფლათ
უსუსურ ჭიანჭველობით?!
თუმცა ესე ჭრის გონება,
რომელიც უტყუარია,
მაგრამ ადამის სისხლმა-კი
ჩვენი ცხოვრება არია.
გული, მეურჩე თავისა,
ცხოვრების წინამძღვარია
და ამის გამო ჩვენს საქმეს
და სიტყვას შუა ზღვარია.
ხშირათ მონურათ ვასრულებთ
დღეს, რაც რიგი და წესია,

და იმას ვიმკით კანონათ,
რაც ძველ დროს დაუთესია!...
მეცა ადამის შვილი ვარ,
თქვენსავით შვილი ქართლისა,
თავ-დადებული ქვეყნისთვის,
მეძიებელი მართლისა,
მაგრამ მეფე ვარ დღეს თქვენი,
ხელთა მაქვს მეთაურობა,
საქმის დროს საქმე შემშვენის
და ხუმრობის დროს — ხუმრობა.
გუშინ რომ გული მილხენდა,
თქვენც ლხინათ, მუავდით წვეული
და დღეს კი გიწვევთ სამსჯავროთ
გულზედა სისხლ-მოთხეული...
ერთ კაცის ნდობა ძნელია,
გინდა კადიქცეს გონებათ,
და შეუმცდარი ამ ქვეყნათ
მეფეცა ნუ გეგონებათ!...
ჩვენი წინაპრის გონებას
ადრევე გადუწყვეტია,
რომ სამსჯავროში ისა ჯობს,
მსაჯული რაც რომ მეტია.
და, აჰა, მეცა შეკუარეთ
სამსჯავროთ, როგორც წესია,
თქვენ ჰსაჯეთ და მე ავირჩევ,
რომელიც უკეთესია.
თორნიკე მხედართ-მთავარი,
თითქოს ხახვს გვაჭრის უურზედა,
მოულოდნელათ ხელს იღებს
საერო სამსახურზედა!...

გვიწუნებს გმირი სარდლობას,
აზირებს მოსვენებასა,
არც დადევს მეფის სურვილსა,
არც ითხოვს ხალხის ნებასა!...
დიდ მამულის შვილს ურჩობა
ქვეყნის არ შეეფერება!
ვერ მიხვდი, მეტათ მაკვირვებს
ამ გვარი კადნიერება!...
სწორეთ აქვს რამე მიზეზი,
შესაწუნარ-ზატივ-სადები,
თქვენგან არ დასაფარავი,
საეროთ გასაცხადები.
და უნდა გვითხრას სახალხოთ,
მისთვის მუავს მოწოდებული,
რომ არვინ დარჩეს ჩვენგანი
ხალხისგან ბრალ-დადებული.
თორემ, ხომ იცით, ქვეყანა
უბრალოთ დამძრახველია:
განაგონებით გადაწყვეტს,
რისიცა არ მნახველია!“
ეს თქვა და ტახტზე დაბრძანდა
მეფურათ მეფე სვიანი,
გვერდით მოუსხდენ მსაჯულათ
მოხუც-ჭადარა-თმიანნი.
მერე სხვებიცა ჩამოჯდნენ,
დასხდენ რიგ-რიგათ ყველანი;
მდივანს მზათა აქვს ქაღალდი,
საწერ-კალამი, მელანი.
აქ ჩამოვარდა სიჩუმე,
პასუხს ელიან სარდლისას,

წრფელ-სინიდისის მქონის
და მასთან სიტყვა მართლისას.

## III

ახოვანი, შვენიერი,
თეთრ-წვერა და თეთრ თმიანი,
წინ წამოდგა სასაუბროთ
მოწიწებით — ტკბილ-ხმიანი.
თაყვანი სცა პირველ მეფეს,
მერე კრებულს ორივ მხრითა,
გულზე ჯვარათ ხელებს იწყობს,
თავ-დახრილი, ცრემლის დგრითა!...
წვერ-ულვაშზე მარგალიტებრ
ცრემლი ცრემლზე ეკიდება,
მწარი ოხვრით ვერ იქარვებს,
გულს რომ ცეცხლი ეკიდება...
უკვირს, რომ ამ სამსჯავროში
უმიზეზოთ ის ჩავარდა
და რომ მასზე გულს იყრიან
ისინი, ვინც მას უყვარდა...
გულ-ნატკენათ რომ უყურებს
სხვებს, თვითონაც გული წყდება,
მაგრამ თავის პირადობა
აღარ ახსოვს, ავიწყდება...
და საერო ნება-სურვილს
მორჩილებით აძლევს პასუხს
და თან და-თან მისი სიტყვა
შეუპოვრათ ჰკქავს და ჰქუხს:
— „ვფიცავ იმ პირველ მიზეზსა,

ყოველ მიზეზის მიზეზსო,
ვიფიცავ საქართველოსა
და მერე, მეფევ, თქვენს მზესო,
რომ მართალი ვარ იმაში,
რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო, —
დაბლა ეს გული მიმოწმებს
და მაღლა — ღმერთი ზენაო.
მართალი არის, ღდეიდან
რომ ვტოვებ სამსახურსაო,
თუმც გული ჩემი, ერთგული,
ძველებურადვე ხურსაო.
თქვენ რომ გშორდებით, მით ვკარგავ
ხორციელ ნეტარებასო...
ვერ ხედავთ გულ დაწყვეტილი
მოხუცის მდუღარებასო?
მაგრამ მივჰყვები საგანს
აწ უფრო უდიდესსაო,
ის მარღვევინებს გაბედვით
ჩვენს ჩვეულებრივ წესსაო:
დრომ მოითხოვა აწ ჩემგან
სხვა გვარი სამსახურიო
და რომ უარვჰყო, დავრჩები
ძველზედაც უმადურიო...
ეჰ, მეფევ, ბრალს რათ მადებდი
შენს ერთგულს, ფეხთა მტვერსაო,
რომ სამსჯავროში მაგდებდი,
ვით ორგულს... ქვეყნის მტერსაო?!
იძულებით ვარ აწ მთქმელი
ყოვლის ფრის უნაკლულოდო,
რაც გულმა გადამიწყვიტა

მხოლოთ მე საიდუმლოდო.
თქვენი ნება... მონა ვარ
მე თქვენის სურვილისაო!
სიტყვაა მხოლოთ წამალი
გულის თქმის, სურვილისაო!“
მოხუცმა ამ სიტყვების დროს
ცრემლები ჰღვარა მრავალი
და უნებურათ დაიწყო
თვისი თავ-გადასავალი.

## IV

„მწარ წარსულის მოგონებით,
თქვენ წინ მთქმელი ვარ ამისა,
რომ მომსწრე ვარ საქართველოს
შავი დღის და ვარამისა...
ბევრს თქვენგანს ის არც კი ახსოვს,
იქნებოდით მაშინ ბალღი,
მაგრამ მე კი დღესაც გულზე
მაშინდელი მაზის დაღი!...
ცამან რისხვით მოგვიქუხა,
საქართველოს ადგა ბუნდი,
მონავრულათ გვესეოდა
ყოველი მხრით მტრისა გუნდი!...
მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასანთქმელათ...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელათ...
ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,

გადიწერა რა პირჯვარი,
გაფოლადდა და გასალდა!...
მოხუცი, თუ ახალ-გაზდა,
ერის კაცი, თუ სამღვდელო,
ყველა ერთ მხრივ მიიწევდა,
ერთი ჰქონდათ ყველას ღელო!
სადღა იყო განსხვავება?
რის ბატონი?! ან ვისი ყმა?!
ყველა ერთად შეკავშირდა,
ერთი ჰქონდათ მათ გულის თქმა:
რომ გულწრფელათ მოეხადათ
ქართლის შვილებს მათი ვალი
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!...
მამა-პაპის განთქმულ ფარ-ხმალს
უმატებდა შვილი ფასსა
იმითი, რომ ლომ-კაცურათ
შეებმოდა ერთი ასსა!...
„ჰკა მაგის“ ხმა ყოველის მხრივ
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეცოთ მთა და ბარი.
სისხლით მორწყეს ტყე და ველი,
შეიღება წითლად მდელო...
აღდგომის კვერცხს დაემზგავსა
ჭირ-ნახული საქართველო!...
განახევრდა ქართველობა...
მაგრამ მტერს კი ჰძლიეს მათ ღვთით
და თამამად დაიძახეს:
„საქართველო აღდგა მკვდრეთით!“

და მართლაც, რომ გამოიხსნეს
განწირული, სულთა მბრძოლი
და გადმოცეს შვილი შვილთა
მარგალიტი, ვით ობოლი!...
მხედართ-მთავარ-უხუცესათ
იყო მაშინ იოანე,
შემდეგში რომ ბერათ შედგა,
დღეს ულუმბოს აქვს სავანე.
სანამ მტერი გარს გვეხვია,
მძვინვარებდა, ვითა ლომი,
გოლიათის შებმას ჰგავდა
მისი ბრძოლა, მისი ომი!
მტრისა ისრით გამხვრეტელი,
ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა;
ხშირათ მამა-პაპის სისხლზე
თავისსაც ზე ანთხევდა!...
ჯოჯოხეთის რისხვა იყო
მისი რისხვა, მისი ვნება!...
სანამდი კი მტერს ჰხედავდა,
არ იცოდა მოსვენება.
მაგრამ, როცა საქართველო
ნახა გმირმა დამშვიდებით,
სხვა მაღალ მთას მიაშურა
გალობით და ღვთის დიდებით.
მან ფარ-ხმალი აიყარა,
მოურიდლათ, თვისი ნებით
და თავსაც ვერ იმართლებდა
ის, ჩემსავით, მხცოვანებით.
მხოლოთ უთხრა დარაზმულ ჯარს:
„უქმია აწ ფარ-ხმალიო!

აწ სხვა მმართებს სამსახური
და მიმიწვევს სხვა ვალით!"
დამლოცა და მისი ხმალი
გადამკიდა მისგან რჩეულს;
თაყვანი ვეც მორჩილებით,
როგორც მამას, მეც კურთხეულს.
მიიახრა: „— თორნიკ, ჰა, შენ გქონდეს
სარდლობა და ჩემი ხმალი,
ვინძლო, ღირსათ აასრულო
მომავალში შენი ვალი!"
ამ სიტყვებმა მომიძატეს
მე სიმხნე და ერთგულება,
გულმა იწყო ფოლადობა
და სულმაცა ამაღლება!
თუმცა ამ გვარ დიდებისა
უღირსათ თავს ვიგულებდი,
მაგრამ მაინც უნებურათ
დღემდი ჩემს ვალს ვასრულებდი.
ავათ იყო ის, თუ კარგათ,
თქვენს ხელთ არის დაფასება;
მე არ მფერობს ჩემი თავის
არც გინება და არც ქება!
ვიტყვი მხოლოთ: ხმა ისმოდა
თქვენგან ჩემი პირველობის
და მე მხოლოთ ვთავ-კაცობდი,
შემწირველი დიდ მადლობის.
მეფისა და ს ა მ შ ო ბ ლ ო ს წინ,
მართალია, მიძღვის ღვაწლი,
მაგრამ, მეფევ, სხვას დავუთმობ
აწ სამსახურს, სხვას დავაცლი!

ამიტომ, რომ აღარა ვარ,
რაც ვიყავი ადრე... ძველათ:
ჩემ სისუსტეს გული გრძნობს და
გონება წყვეტს უეჭველათ.
მართალია, ეს ჭაღარა
სიყვარულს და სურვილს ვერ ჰკლავს,
მაგრამ ღონის წახმარება
აღარ ძალ უძს მუხლსა და მკლავს!
იდრინდულათ მუხლს არ მერჩის,
აღარ მიჭრის არცა თვალი...
და ვით შევძლო, მაშ, სარდლობა,
როცა ატყდეს ბრძოლის ალი?
ვისაც ხედავ აქ—სუყველა
არის ჩემგან გამოზრდილი,
ათასჯერ და ათას გვარათ
ბრძოლის ველზე გამოცდილი
რაც მე ვიცი რაზმთა წყობა
და სამხედრო წესი სრული,
მაგათაც აქვსთ ჩემგანავე
ახსნილი და გასწავლული.
ჩემზე მეტიც შეუძლიათ,
უკეთ გაჰკვეთს მათი ხმალი,
და ჩემსავით სიბერითა
არ უმტყუნებსთ ომში თვალი.
ბევრია, რომ ჩემზე უფრო,
დღეს შეშვენის მას სარდლობა
და რათ დახვდეს ღობე-ყორეთ
იმათ ჩემი პირველობა?
რომ ამხადო პირველობა,
მეფევ, შენ ეს არ შეგშვენის:

უმადურათ ჩაითვლება,
გქონდეს რიდი ქვეყნის ენის.
და, რომ ჩემი წარსულითა
დღესაც კიდევ ვისარგებლო,
მოღალატე შევიქნები...
მეძულება მე სამშობლო!...
აი, მეფევ, თუ რათ ვბედავ
თქვენს წინაშე დღეს ურჩობას
და, სულ სხვა გზით მიმავალი,
გილოცავ თქვენ გამარჯობას!...
იოანეს მივაშურებ,
შევუდგები მეც მის კვალსა
და, თქვენისვე ნება-დართვით,
სხვას გადავცემ ამ ჩემ ხმალსა! -
ესა თქვა და მისი ხმალი
ორბელიძეს გაუშვირა
და ამ გვარმა მისმა სიტყვამ
გულში ბევრი აატირა...

## V

ხმალზე უფრო ძლიერათ ჭრის
პატარა და რბილი ენა,
გაჰკვეთს ხვანჯსა უგნურების,
მისი ტყვეა ხშირათ სმენა!
ხან გონება, გამოცდილი,
მას მოიქნევს მრავალ გვარათ,
ხან, მფარავი ხვაშიადის,
გულს აგებს გრძნობის ფარათ.
დროზე უნდა მოხმარება,

მხმარებელიც გონიერი,
რომ ხან ნაღვლით გაილესოს,
ხან ძირ-ტკბილით ენის წვერი.
თორნიკემაც ნაღველ-თაფლად
გრძნობა გულში ჩაიყენა
და სიმართლის ხელით მასში
ამოუწო მისი ენა!
მით მოხიბლა, როგორც მეფე,
ისე უველა მსაჯულიცა
და იმათი თანხმობითა
სურვილი მან გაიმტკიცა.
ჩამობრძანდა მეფე ტახტით,
ვედარაფრის ვერა მთქმელი,
მავიდა და მოხუცებულს
გადაჰხვია ძმურათ ხელი.
უთხრა: „თორნიკ, როგორც მეფემ,
მოგისმანე საუბარი
თანახმა ვარ და აწ გეტყვი,
როგორც ძმა და მეგობარი,
რომ ჯერ კიდევ ქვეყნისათვის
საჭირო სარ, დიდი მარგი
და უდროვოთ აგილია
საიმქვეყნო საგზალ-ბარგი!...
უცხო მხარეს გადაკარგვა,
ვფიცავ შენი მიმძიმდება!..
ნუ თუ ჩვენი ქვეყნის ტაძრებს
არ აქვს იგივ ძალ-დიდება?“
მოახსენა: —„ვიცი, მაგრამ
ქართლშივე რომ მიგულებენ
ჩემი გაზრდილ-ერთგულები,

რომ არ მნახონ, ვერ გაძლებენ.
მეცა გული არ გამიძლებს,
ვერც მე დავთმობ იმათ ნახვას
და ცოდვილ სულს ბევრს დავკლებ,
გადავჭყვები სოფლის ზრახვას...
იქ კი არვინ მეყოლება
შემაცდენი უცხო მხარეს,
დღე უღამ და ღამე წამსა
ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს.
და ვითხოვ, რომ ღმერთმა, მეფევ,
გადიდოს და გადღეგრძელოს,
და წყალობა არ მოაკლოს
ჩვენს პატარა საქართველოს!"

## VI

ათონის მაღალ მთაზედა,
მთა-წმინდათ სახელ-დებულსა,
სადაცა უდაბნოებსა
და ტაძრებს წმინდათ გებულსა,
რიცხვი არა აქვსთ, იქ ლავრა,
დაუდებელი ფასისა,
ყველაზე პირველი არის
დიდისა ათანასისა.
გინდ დარი იყოს საამო,
გინდა ავდარ, საზარი,—
სამოთხის სადგურს გვაგონებს,
მაღლობზე მდგომი ტაძარი!
ხან, ღრუბლით შემობურვილი,
გარშემო ირტყამს ელვასა

და გადაჰყურებს შორის ზღვის
ტალღების გროვა-ღელვასა;
ხან ისარივით სხივები
დილის მზის ეტყორცებიან,
თვითქოს იმ საღრთო ნათელსა
ნათლითა ეხორცებიან!
ხან ღამით მთვარე გავსილი,
თვითქოს მისვლილი იქ ბინათ,
თავზე ედგმება წმინდასა
წმინდა დიდებულ გვირგვინათ.
და ვარსკვლავებიც იმავ დროს
დაჰფეთქენ, დაწიკწიკობენ
და ამ კალობით ძალთა-ძალს
ამაღლებულსა ამკობენ...
წინ უძევს ბაღი ხეხილის,
ზელოვნათ შენაკაზმისა,
და იქვე წყარო ჩუხჩუხებს
წმინდისა აიაზმისა.
მთა მწვანე ზეთის ხილისა
და ყვავილები ველისა,
საკვირისად აღმომფშვენელნი
ბუნებით საკმეველისა,
ჰაერსა შეაზავებენ
სამკურნალოთ და მარგადა
და სასულ-დგმულოთ ცხოველთა
მიანიჭებენ ხარკადა!...
მეუდაბნოეთ მიდიან
საქრისტიანოს ყოველ მხრით
და იქ იხენენ სავანეს
სასოებით და ცრემლის ღვრით.

წიაღ გახსნილი უდაბნო
უჩენს, ვინც მივა, ბინასა
და მორწმუნეთა იზიდავს,
ვით ანდამატი რკინასა.
აქვე მოსულა უდუმბოთ
ითანეცა ქართველი
და მორჩილობის დროსავე
გათქმია დიდი სახელი.
დღეს მოძღვარია ნეტარი
ბერისა მრავალ-ასისა
და მეგობარი იმავ დროს
წინამძღვრის ათანასისა.
დიდი ხანია სამშობლო
მან დაუტევა ნებითა,
მაგრამ გული კი ისევე
უდელავს ხოლმე ვნებითა,
როდესაც მოაგონდება
მისი სამშობლო მამული
და, გატაცებულს ოცნებით,
არევით უცემს მას გული!...
და მაშინ ცდილობს მიეცეს
მარტოობასა შორს სადმე,
ბუნების ჭვრეტით გაერთოს
და გულს მიჰფინოს სიამე.

## VII

ერთხელ დილას ითანე
შემდგარიყო მაღალ სერზე
და ცრემლები ნეტარების

ეცემოდა სპეტაკ წვერზე.
ზღვა და ხმელი იმის თვალთ წინ
იშლებოდა ედემურათ
და სამოთხის სიამესა
გაემსჭვალა უნებურათ...
დიდ ხანს, გრძნობა მორეული,
ვეღარაფრის იყო მთქმელი,
მხოლოთ ნიშნათ ნეტარების
მას აეპყრა მაღლა ხელი,
თვითქოს მაშინ მას უნდოდა
ცა და ქვეყნის შემყარება,
რომ ამითი წუთიერი
განგრძობოდა ნეტარება!...
ამ დროს მის წინ, ვით ჩვენება,
გამოცხადდა მგზავრი მწირი,
დაემხო და თაყვანი სცა,
მოარიდა განძრახ პირი.
შეკრთა უცბათ იოანე
და უთხრა მას ბერძნულ ენით:
—„ვინ ხარ, შვილო, ან რასა მთხოვ?
მიპასუხე გამოჩენით!“
—„შენსა ლოცვა-კურთხევასა
მამაშვილურ მეგობრულად!“
უპასუხა იოანეს
მაშინ მწირმა ტკბილ-ქართულად.
ქართულ ლექსის გაგონებამ
იოანე ააჩქარა,
ტანში რაღაც უნებურმა
ჟრუანტელმა დაუარა...
მივარდა და ხელი სტაცა,

აავენა აჩქარებით;
რომ შეხედა, უფრო შეკრთა,
მიაჩერდა გაშტერებით...
აკვირვებდა უღონელი
ჩვენება და სანახავი:
იმ გლახაკის სამოსელში
იცნო თორნიკ ერისთავი!...

# კარი მეორე.

## II

ვინ სცა ბოლომდე ამ სოფლის
სიტკბოებისა ფიალი?
ვის არ უნახავს მის ბედის
წაღმა-უკუღმა ტრიალი?
ბერძნებსაც ჰქონდათ ერთი დრო,—
საქვეყნოთ იყვნენ ქებული,
სწავლით და მეცნიერებით
ბევრ გვარათ აყვავებული.
ცხოვრების კანონს უდებდენ
სხვა-და-სხვა ქვეყნის ერებსა,
საუპატიოს ართმევდენ
მათზე ცუდ-მძრახველ მტერებსა
ვინ იფიქრებდა იმ დროში
ამ ხალხის დამცირებასა
ისე, რომ მით მოღებოდა
ბოლო მათ ნეტარებასა?
ერთ ჭირსა, კარზე მომდგარსა,
სხვაც ბევრი წაეკიდება!
სხვა-და-სხვა ჭირმა ბერძნების
დაცარა ძველი დიდება!
და არ თუ გარეშე მტერი,
შინაურებიც ბრიყვობენ:
ჰგლეჯენ მას ნაწილ-ნაწილათ
და ერთმანერთში იყოფენ!
ბოლოს კი ერთმა მათგანმა
სულ ერთად მოხვია ხელი...
ის იყო სპარსთა მმართველი,

სკლიაროს ერქვა სახელი.
თითქმის ბრუსამდე მოადგა,
ხმელეთით გზების შემკვრელი,
და კონსტანტინეს ქალაქის
არის ადების მსურველი!...
წინ ველარავინ უდგება
მოჯანყის ძლიერებასა
და ელის დედა-ქალაქიც
იმისგან აოხრებასა.
იჩაგვრის მცირე წლოვანი
კონსტანტინე და ბასილი;
დედა მათი თეოფანიას
ჭმუნვით აქვს გული ავსილი...
დადონდა პარაკიმომენ,
კარის კაცებში პირველი,
და ერთად დედოფალთანა
ბიზანტიისა მმართველი.
დარბაისლებიც შეყრილან,
გადუწყვეტია ყველასა,
რომ თვითონ თავს ვერ იხსნიან
და არც ელიან შველასა!
და უპირებენ ისევე
სკლიაროსს შევედრებასა,
რომ ნუ ინებებს ამ ქვეყნის
უწყალოთ აოხრებასა.
მაგრამ წამოდგა ამა დროს
მოხუცი სევისტოფორი,
რომელსაც დარბაისლებში
არ ჰყავდა ჭკუით თანსწორი.
მით ყურადღება კრებულის
მიიპყრო ანაზდეულათ

და მოჰყვა, რასაც ჰფიქრობდა,
მჭევრ-მეტყველებით ჩვეულად.

## II

—„ზეცა დაჰყურებს ქვეყანას
თვალითა ლმობიერითა,
გამოცდის, გამოაბრძმედებს
ჭირითა მრავალ-ფერითა.
და ამისათვის არ გვმართებს
წარკვეთა სასოებისა,
კუბოს კარამდე მძებნელი
ჩვენ უნდა ვიყოთ შვებისა!
გულ-გატეხილი ყოველი
მოღალატეა თავისა,
უარმყოფელი რჯულისა,
მისივე საესავისა.
მაკვირვებს, დარბაისლებო,
დაცემა ჩვენი სულისა!
აბა, რა ვნახეთ ნიშანი
სამეფოს დასასრულისა?!
როგორ დაანგრევს აწ ღმერთი
ქრისტიანობის ბუდესა
ისე, რომ საბოლოოთაც
აღარ აძლევდეს ზღუდესა?!
თუ ბიზანტია აქამდე
სხვა ქვეყნებს სცემდა ნათელსა,
არ დავიჯერებ, რომ ახლა
თვითონ ჩავარდეს ის ბნელსა!...
ბევრი შესწირა მან მსხვერპლი
ქრისტიანობის სახელსა

და ვერ გასწორავს მას ღმერთი,
გამოუგზავნის დამხსნელსა!
მეტყვით: სად არის? ვინ არის?
რომელი კუთხე ქვეყნისა,
რომ გვქონდეს მისგან იმედი
დახმარების და დახსნისა?
თქვენც იცით, არის ქვეყანა
მფყრობელი ქრისტეს სჯულისა
საქვეყნოთ დამნახვებელი
ქვეყნიურ სასწაულისა.
მოყვრულათ მოყვრის მიმღები
მტრის დამცემი ზარისა,
პირველ მეომრათ ცნობილი
დღეს ქრისტეს წმიდა ჯვარისა.
საქართველოს ეს მხარე,
წილ-ხვედრი ღვთისა დედისა!..
ჭირში მაგარსა, არ უყვარს
სუსტათ მოდრეკა ქედისა!...
იმ ქვეყნის მეფეს მივმართოთ
დიდ დავითს კურატ-პალატსა
და ის გადუხდის საკლიაროსს
ამ აჯანყება-ღალატსა!“
როგორც რომ ბნელსა ღამესა
მთვარე გამოჩნდეს უეცრათ
და გაანათლოს მიდამო
სხივების ფენით ვერცხლის ფრათ,
ისე ქართლისა ხსენებამ
გამოაფხიზლა კრებული
და აუბეჭდა იმედით
მათ სახე შეწუხებული.

და მოახსენეს დედოფას:
—„ერთხმად თანახმა ვხდებითო:
მიმართეთ ქართველ მეფესა
და ნუდა შეწუხდებითო!..
ისეთი წიგნი მისწერეთ,
რომ მით მოულბოთ გულიო
და საკადრისიც გაგზავნეთ
იმასთან მოციქულიო,
რომ ჩვენი ქვეყნის ცოდნაში
ის იყოს უკეთესიო
და თანაც კარგათ ესმოდეს
ამას საქართველოს წესიო!“
ასე არჩიეს და ერთხმად
მიჰმართეს სევისტოფორსა,
მაგრამ ის ამ გვარ არჩევანს
გულ-წრფელათ იჭერდა შორსა,
რადგან მას ეგულებოდა
სხვა ვინმე საუკეთესო
და შეევედრა კრებულსა;
„—გთხოვთ მომისმინოთ აწ ესო:
ათონის მთაზე ააგეს
ტაძარი ნათლის მცემლისა,
იქ ორი წმიდა ბერია
მთხოველი წმინდა ცრემლისა;
ულუმბოსავე გაითქვა
მათი სიწმინდის სახელი;
არ ასვენებდენ: დღითი-დღე
ემატებოდათ მნახველი.
მაშინ მიმართეს მთა-წმიდას,
დაავდეს ძველი სავანე;

ერთია თ ო რ ნ ი კ ქ ა რ თ ვ ე ლ ი,
მეორე—დიდ იოვანე.
ერის კაცობის დროსავე
ყოფილან სახელ-განთქმულნი
და ჯერაც არ იქნებიან
მათ მხარეს დავიწყებულნი.
მოვიხმოთ ერთი მათგანი,
ვაკისროთ მოციქულობა,
რომ მეფეს სრულათ გადასცეს
ეს ჩვენი ჭირ-ნახულობა;
რომ თქვენსა ბრძნულსა წერილსა
სიტყვითაც ბევრი დაურთოს
და ქრისტეს ერის გამოხსნის
სურვილი გულში აუნთოს.
მალე გავგზავნოთ, სიჩქარით,
რომ დღე და ღამე იაროს
და მანამ, როგორც იქნება,
ჩვენ გაუმკლავდეთ სკლიაროს!"
ეს რჩევა ერთხმად მიიღეს,
მთქმელსა სწირავდენ ქებასა
და მაშინათვე შეუდგენ
ამ საქმის ასრულებასა.

## III

ხმა გავარდნილა მთელ ქართლში:
ჯარებს აგროვებს მეფეო,
ბერძნების მისაშველებლათ,
სიკეთე მოიეფეო.
ათონით დაბრუნებული,
თორნიკე მოციქულობსო

და „ორივ ხელით იჭმება
ქადა, თუ გული გულობსო."
დღეს გამოჩნდება, ვინც არის
ვაჟკაცი ჩვენთაგანიო,
ამაზე კარგი რათ გინდა
ბურთი და მეიდანიო?
ისარ-კაპარჭი მომართეს
ხმალს ლესენ, ფარსა ჰფერავენ;
მათთვის სამგზავროთ ქალები
ტანისამოსებს ჰკერავენ...
ჯოჯიკ მთავარის თანხმობით,
ეს უთქვამს გამრეკელსაო:
„თორნიკე თუ არ გვესარდლა,
ხმალს არ მოვჰკიდებთ ხელსაო!...
წაგვიძღვეს ძველი არწივი,
ჩვენ მივჰყვეთ შევარდნულადო,
ფიცხელი ომი ავტეხოთ,
საქები ადრინდულადო!"
ხალხიც ამ აზრზე დამდგარა,
მასვე თხოვს კურატ-პალატსა
და, ვინც იურჩებს, იცოდეს,
მას შესწამებენ ღალატსა.
მაგრამ თვითონვე თორნიკე
გაკერპდა, რადგან ბერია,
ეს არჩევანი როგორღაც
მეტათ შორს დაუჭერია.
თვითონ სარდლებიც მისულან
იმასთან მეფის თანხმობით
და უთხოვნიათ სარდლობა
ამხანაგობით და ძმობით.

მოხუციც ამის მნახველი,
თუმცა კი აღელვებულა,
მაგრამ შეუკრავს გრძნობები
და ისევ გასალებულა!
ორბელიძე და ჯოჯიკი
ორივე გაანბილაო
და გამრეკელსაც ეს უთხრა:
„ძმაო, ნუ მირჩევ ტუვილაო:
ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,
გულ-მკვდარი ვამბობ ვარსაო,
აწ ვეღარ გავცვლი ფარ-ხმალზე
ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!
აღთქმას ნუ გამატეხინებთ,
ნუ მაქნევინებთ აკსაო;
ეკლესიისგან შეკრული,
თვით ვერ ავიხსნი თავსაო
და მღვდელ-მთავარი თუ ამხსნის,
იქნება მისი ნებაო,
მაშინ ეგ თქვენი სურვილი
ჩემ გულშიც აიგზნებაო!“
არსენი იყო იმა დროს
ქართველთა ქათალიკოსი,
პატივ-ცემული ყველასგან,
ბრძენი და პიიტიკოსი.
გაბრძნილი საღმრთო მადლითა,
საეროთ გაბრწყინვებული,
მწიგნობართ უხუცესობა
მას ჰქონდა მინიჭებული.
ოქროპირობდა მჭევრობით
ძლიერი მქადაგებელი

და მწვალებელთა მრავალთა
მზა-მეტყველ-პასუხ-მგებელი.
ამას მიჰმართეს საერთოდ,
ამისი ჰქონდათ იმედი,
რადგან თორნიკეს ვერავინ
შეაგონებდა მის მეტი.

## IV

— „შედი, მარტოა ქათალიკოსი,
ნუ ეგუდები იქ დიდ კრებასა,
ჩვეულებრივათ ცრემლით მლოცველი,
ეძლევა საღმრთო ნეტარებასა.
ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიდო,
მარტო შენთან ჰსურს დღეს საუბარი!“
ეს უთხრა ერთ ბერს სახლთ-უხუცესმა
და შესავალი უჩვენა კარი.
შევიდა ბერი ფეხ-აკრეფილი,
მორჩილებითა და დიდი კრძალვით;
იქ დახვდა არსენ ტახტზე მჯდომარე,
გატაცებული ფიქრით და ხალვით.
პირველ შესვლაზე ვერ დაინახა
კრძალვით მისული მასთან სტუმარი
ბოლოს შენიშნა... აკურთხა მაღლით
და გადასახა ხელ-გაშლით ჯვარი.
წინ წადგა ბერი, ჯერ უამბორა,
ფერ-დაკარგულსა გული უძგერდა,
მერე ჩამოდგა და შორი ახლოს
ის თავ-დახრილი, კრძალვით გაჩერდა.
ქათალიკოსმა შეხედა მაშინ
ღმობიერებით და გაიცინა:

—„დიდ აარს მხოლოთ ღმერთი-უფალი
აქ, ქვეყანაზე, და ცათა შინა!...
რისთვის მკრძალვი, მომიახლოვდი
დამიჯექ გვერდით, ვით მეგობარი.
დღეს ისევე მსურს შენთან განვაგრძო
ადრე რომ გვქონდა, ის საუბარი.
შენზე არა ჭრის სხვისი სურვილი,
არცა ვედრება და არც მუქარა,
მაგრამ შენ-თავათ რა გადაწყვიტე?
ასრულებ ქვეყნის წადილს, თუ არა?
„—არ შემიძლია, ყოვლად-სამღვდელოვ!
ვერ ვუღალატებ მაღალ-მცნებასა
და ვერ უარ ვჰყოფ მსოფლიო კრების
დაკანონებულ სურვილ-ნებასა!..
რაკი ერთხელვე ესე სოფელი
დავივიწყე და უარი ვყავი,
ვერ გავტეხ აღთქმას: ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი!
მღვდელ-მონაზონსა საიქიოსკენ
უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი!...
აღარ შემშვენის, რომ ხელ-მეორეთ
სისხლით შევღებო ჩემი ფარ-ხმალი!
ღმერთმა ხომ იცის, რომ მთაწმინდიდან
არ მდომებია ფეხის გადმოდგმა!
შვიდ დღეს მირჩევდენ წმიდა მამები
და ვერ შეცვალეს ჩემი გულის-თქმა.
თვით წინამძღვარი და იოანეც
ამაოდ დაშვრენ, ვიდექ უარზე,
სანამ ბრძანებით, როგორც მორჩილი,
არ გამომგზავნეს სასახლის კარზე.

და მწვალებელთა მრავალთა
მზა-მეტყველ-პასუხ-მგებელი.
ამას მიჰმართეს საერთოდ,
ამისი ჰქონდათ იმედი,
რადგან თორნიკეს ვერავინ
შეაგონებდა მის მეტი.

## IV

—,,შედი, მარტოა ქათალიკოსი.
ნუ ეგულები იქ დიდ კრებასა,
ჩვეულებრივათ ცრემლით მლოცველი,
ეძლევა საღმრთო ნეტარებასა.
ნაბრძანები მაქვს, სხვა არ მივიდო,
მარტო შენთან ჰსურს დღეს საუბარი!"
ეს უთხრა ერთ ბერს სახლთ-უხუცესმა
და შესავალი უჩვენა კარი.
შევიდა ბერი ფეხ-აკრეფილი,
მორჩილებითა და დიდი კრძალვით;
იქ დახვდა არსენ ტახტზე მჯდომარე,
გატაცებული ფიქრით და ხალვით.
პირველ შესვლაზე ვერ დაინახა
კრძალვით მისული მასთან სტუმარი
ბოლოს შენიშნა... აკურთხა მადლით
და გადასახა ხელ-გაშლით ჯვარი.
წინ წადგა ბერი, ჯერ უამბორა,
ფერ-დაკარგულსა გული უძგერდა,
მერე ჩამოდგა და შორი ახლოს
ის თავ-დახრილი, კრძალვით გაჩერდა.
ქათალიკოსმა შეხედა მაშინ
ღმობიერებით და გაიცინა:

—„დიდ აარს მხოლოთ ღმერთი-უფალი
აქ, ქვეყანაზე, და ცათა შინა!...
რისთვის მეკრძალვი, მომიახლოვდი
დამიჯექ გვერდით, ვით მეგობარი.
დღეს ისევე მსურს შენთან განვაგრძო
ადრე რომ გვქონდა, ის საუბარი.
შენზე არა ჭრის სხვისი სურვილი,
არცა ვედრება და არც მუქარა,
მაგრამ შენ-თავათ რა გადაწყვიტე?
ასრულებ ქვეყნის წადილს, თუ არა?
„—არ შემიძლია, ყოვლად-სამღვდელოვ!
ვერ ვუღალატებ მაღალ-მცნებასა
და ვერ უარ ვჰყოფ მსოფლიო კრების
დაკანონებულ სურვილ-ნებასა!..
რაკი ერთხელვე ესე სოფელი
დავივიწყე და უარი ვყავი,
ვერ გავტეხ აღთქმას: ზეცას ეკუთვნის
ცოდვილი სული და ჩემი თავი!
მღვდელ-მონაზონსა საიქიოსკენ
უნდა ეჭიროს ყოველთვის თვალი!..
აღარ შემშვენის, რომ ხელ-მეორეთ
სისხლით შევღებო ჩემი ფარ-ხმალი!
ღმერთმა ხომ იცის, რომ მთაწმინდიდან
არ მდომებია ფეხის გადმოდგმა!
შვიდ დღეს მირჩევდენ წმიდა მამები
და ვერ შეცვალეს ჩემი გულის-თქმა.
თვით წინამძღვარი და იოანეც
ამაოდ დაშვრენ, ვიდექ უარზე,
სანამ ბრძანებით, როგორც მორჩილი,
არ გამომგზავნეს სასახლის კარზე.

იქ დედოფალი დარბაისლებით
ვნახე სულ ერთად შეწუხებული...
საქრისტიანო სკლიაროსისგან
წაბილწული და აოხრებული!...
მხოლოთ-და ქართლზე მათ დარჩენიათ
ერთი ნუგეში, ერთი იმედი!
დღეს ჩვენ ხელშია იმათი შველა,
რომ დავუბრუნოთ წადმავე ბედი!
მიბრძანეს მეფის მოციქულობა,
არ გამივიდა მათთან უარი!
ტახტს ასველებდა დედოფლისაგან
ჩამონათხევი ცრემლისა დვარი...
სამაგიეროთ ქართლს ჰპირდებიან
ზემო ქვეყნების დამონებასა;
მხოლოთ ამისთვის მე დავეთანხმე
იმათ სურვილს და იმათ ნებასა.
ეხლა კი ისევ უნდა გავბრუნდე,
ამას მოითხოვს ჩემი ღირსება,
თუმც ვერ დავფარავ, რომ სოფლის ძრახვით
ეს ჩემი გული ივსება.
და რასაც ერთხმად ჩემგან მოითხოვს
დღეს სამსახურსა ქართველთა ერი,
იმას ხომ სხვებიც აასრულებენ?
რა საჭიროა იმისთვის ბერი?
განა ცოტა ჰყავს მეფეს სარდლები?
ერთ იმათთაგანს მიანდოს ჯარი
და მეც, თუ ჰნებავს, თან ვიახლები,
მაგრამ მექმნება კი ხელში ჯვარი
და ხატი ყოვლად-წმიდა დედისა,
როგორც მოძღვარსა და არა სარდალს.

სხვებმა იბრძოლონ და გამარჯვებას
შევთხოვ ცრემლითა მხოლოთ ძალთა ძალს!“
—„კეთილი!—ბრძანა ქათალიკოსმა—
რაც ადრევე თქვი, იმ აზრზევე ხარ!
მაშ, ვით უმცროსმა, უფროსის ნება,
რომ შეასრულო, ამაზეც მზა ხარ?
ვით ქათალიკოსს, შენი ბრძანების,
შენც კარგათ იცი, ხელთა მაქვს ნება,
მაგრამ მე მაინც მსურს შეგაგონო,
რომ შემცდარია შენი გონება:
ნუ თუ შენ მართლა რამე გგონია
ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება?
განა ღვაწლია ხორციელისგან
ამა სოფლისა კრძალვა-რიდება?
და ეს ქვეყანა, შვენებით სავსე,
შემოქმედების გამომხატველი,
ნუ თუ მიტომ გვაქვს მონიჭებული,
რომ ჩვენი ნებით ავიღოთ ხელი?
ვინცა იწუნებს თავ მოყვარებით
ამ მიუწდომელ დიდსა ქმნილებას,
თუ უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნების ყოვლ-გვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა,
საბრალო არის ის და შემცდარი,
რადგან არ იცის, თუ ქვეყნიერათ
რათ მოგვევლინა ჩვენ მაცხოვარი?!“
—„ვითა რეგვენი, ღირსი არა ვარ,
ბატონო, თქვენთან გაბაასების,
მაგრამ რა ვქნა, რომ მეც საპასუხოთ
ცოდვილი გული ურჩად მევსების?

და კიდევ ბჭადრებთ: „ლოცვა კარია
ცოდვილისათვის სინანულისა
და მარტოობა სადმე უდაბნოთ—
გასპეტაკება მადლით სულისა!
ამა სიმართლეს უარს ვერა ჰყოფს,
ვინც ქრისტიანათ ნათელ-დებულა,
ამის მაგალითს ქრისტე მით გვაძლევს,
რომ ორმოცი დღე მან იმარხულა!“
—,,არა, მამაო, მაგ გვარი ახსნა
საცალმოგვოა და შემაცდენი!
მაგითი შუქი დაიჩრდილება,
ჭეშმარიტების გადმონათენი.
ვიცით, რომ ქრისტემ უდაბნოდ დაჰყო
ის ორმოცი დღე ლოცვა-მარხვითა,
მაგრამ ის იმ დროს იმა ლოცვითა
ქვეყნათ საერო საქმებს ძრახვიდა.
და როდის დარჩა მეუდაბნოედ?
განა ამ სოფელს ის უარ ჰყოფდა,
თუ დადიოდა დაბად და სოფლად,
ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა?
თვითონ არ დაჰგმო ფარისეველების
გზა-ჯვარადინზე ლოცვა საქვეყნო
და ნაცვლათ მოგვცა მოკლეთ სათქმელი
საყოველ-დღეო ,,მამაო ჩვენო‘‘?
ასე არ ბრძანა: ,,თვინიერ საქმის,
სიტყვითი ლოცვა, უწყით, მკვდარ არსო“
და ,,მრავალისა მეტყველებითა
ვერ ვინ გაიღებს სამოთხის კარსო!‘‘
საქმეა მხოლოთ, საქმე, საჭირო
გულიცა წმინდათ დაბადებული

და ქვეყნიერი კეთილ ძრახვებით
სული სიწრფელით გაახლებული!...
ეს არის მხოლოთ ქრისტეს მოძღვრება,
საქრისტიანო ეს არის ვალი
და ვინც ამატებს ამაზე სხვებსაც,
დაბნეული აქვს მას გზა და კვალი!"
— „ეგ ყველა კარგი, მაგრამ ამ სოფლათ
შესრულებული ვისაც აქვს ვალი
და რომ განაგრძოს კიდევ რამ, მისთვის
არ დარჩენია ღონე და ძალი?!
ნუ თუ არა ჯობს უქმათ ყოფნას,
გადგეს უდაბნოდ მმარხველ-მლოცველათ
და არ გაუხდეს სხვებს ამა სოფლათ
ურგებ ტვირთად და ხელის შემშლელათ?
განა ეს ჩემი უარის ყოფა
კერპობა არის და უმეცრება?
მეც კარგათ მესმის, რომ ქვეყნიურის
შრომით ეძლევა სულს ნეტარება!
ადრევაც მითქვამს და ეხლაც ვამბობ,
რომ მე თვითონ ვგრძნობ ჩემ უძლურებას;
დღეს, შედარებით ბევრი მჯობია,
სახალხოთ ვამბობ ამ ახსარებას.
— „არა! „ხმა ღვთისა — ხმა ერისაო",
ხომ კარგათ იცი ეს შენც, მამაო?
დღეს ერი გირჩევს ერთ-ხმად წინამძღვრათ
და უარის თქმა არის ამაო!
როდესაც ასე დარწმუნებული
არის რაზედმე ერთ პირად ერი,
მაშინ ის არის გულით და სულით
ამაღლებული გმირი-ძლიერი!

დღეს ქართველები შენი სარდლობით
ჰფიქრობენ მტერზე გამარჯვებასა
და უნდა მივჰყვეთ ჩვენც იმათ სურვილს
და მოხიბლულსა მათსა ნებასა.
ჩემი სიტყვები რომ იგულისხმო,
ხალხის ღაღადსაც დაუგდე ყური.
ნუ თუ გამოხსნა ქრისტიანობის
არ იყოს იგივ ღვთის სამსახური?
გასავრცელებლათ ქრისტიანობის
საკმაო არის, დიახაც, ჯვარი,
მაგრამ მის მტრების მოსაგერებლათ
ხშირათ გვჭირდება ხმალი და ფარი!...
როგორც გვირგვინსა მისის ქმნილების,
მისთვის გვნიშნავდა განგება ქვეყნათ,
რომ მივემსხვერპლოთ, თავი შევწიროთ
მისსა დიდებას საკურთხად და ძღვნათ.
და ეს ძღვენია კეთილი საქმე,
ქრისტიანობის სვეტი ცხოველი,
და შენც, თორნიკე, ამის სახელით
ისევე ფარ-ხმალს მოჰკიდე ხელი!
შეიბ მახვილი, და გარეგნობით,
დროს შესაწონათ, იცვალე ფერი
და გამოიხსენ განსაცდელისგან
ქრისტეს მმოსავი ბერძენთა ერი!“
თქვა მღვდელ-მთავარმა და გადასახა
მადლ-მონიჭებით მოხუცსა ჯვარი.
და მეორე დღეს თორნიკ-სარდალმა
კიდეც შეჰყარა საომრათ ჯარი.

# კარი მესამე

## I

— „თავ-გასულია სკლიაროს
მთავარი ბარდაველიო:
ბერძნების სისხლით შეჭდება
ურჯულომ მთა და ველიო!...
ორად გააპო სამეფო,
აოხრებს ნახევარსაო,
სპარსელები და სომხები
შემოხვევიან გარსაო!
გრიგოლ და ბაგრატ თანა ჰყავს,
ორი ძმა თარონელიო,
მათ მიუციათ მომხრებათ
მოჯანყისათვის ხელიო!
მოქის თავადიც აქ არის,
აფრანიკ, სომეხთ გმირიო,
და სალალატოთ შეუკრავთ
სუყველას ერთათ პირიო!
გაულეწიათ ბერძნები,
იჩაგვრის ძველი ლომიო,
მაგრამ ჩვენ უნდა ვუჩვენოთ
აწ-და სხვა გვარი ომიო.
შორის ქვეყნით ვართ მოსული,
რჯულისთვის მეომარიო,
ხელში გვიჭირავს ფარ-ხმალი,
წინ გვიძღვის ქრისტეს ჯვარიო.
ჩვენ ვართ თორმეტი ათასი—
თვითოს შეგვხვდება ათიო—

მაგრ-მ რა გვიჭირს? ადრევაც
გვინახავს შებმა მათიო!
ჰა ბურთი, ჰა მოედანი,
მობრძანდეს ბარდაველიო
და ამოიგოს მან ჩვენგან
იმისი სისხლი ძველიო!
სიკვდილი ან გამარჯვება,
ვინც თავი დაიშუროსო,
დედა შეირთოს მან ცოლათ,
ლეჩაქი დაიხუროსო!“

## II

მცირე აზიას, ჰალისის პირათ,
ერთი ხანია ბანაკათ მდგარი,
ასე იმღერის გუნდათ და გუნდათ
შეუპოვარი ქართველთა ჯარი.
მათი გუგუნი, მათი კიჟინი
ზე ეფინება ირგვლივ მთა და ბარს,
და ესე ყველა ეკლათ და ისრათ
გულში ესობა სკლიაროსის ჯარს.
კბილებს ილესავს ბრაზ-მორეული,
არც დღე, არც ღამე აღარ აქვს ძილი,
მაგრამ რას იზამს? მარჯვე დროს ეძებს
მათ შესაბმელათ სკლიაროს ფრთხილი.
ქართველი ჯარის ვაგლახათ შებმას
გამოცდილება სარდალს აფიქრებს
და ვეღარ ბედავს თვითონ იერიშს,
დახვდომა უნდა... ამაგრებს საფრებს!
უნდა, რომ ჯარი მან მიიტყუოს

იმ სიმაგრეში და იქ ებრძოლოს;
თუ არ ამ ხერხით, ისე სხვა გვარათ,
ის არ მოელის კეთილსა ბოლოს.
და საკენწლავათ გუნდათ და გუნდათ
წასატუუებლათ აგზავნის ჯარებს
და განძრახულათ თვითონვე აღებს
მტრის შესასვლელათ ბანაკის კარებს.
მაგრამ თორნიკე გამოცდილია,
არ მოტუუვდება ამ გვარი მახით,
მათვე უპირობს გამოტუუებას
სხვა გვარი ხერხით და სულ სხვა სახით.
იქ ქართველებთან ლაშქრათვე იყო
დასავლეთელი ბერძნების ჯარი
და, რომ თორნიკეს ემონებოდენ,
მათ მოდიოდათ ამაზე ჯავრი...
ასე ამბობდენ მისი სარდლები:
„მართლაც რომ ღმერთი ჩვენ გვიწყრებაო:
მთავარ-სარდლობა ქართველს უჭირავს,
ეს არის ბერძნის დამცირებაო!“
ეს სცნო თორნიკემ, ჯერ გაიღიმა,
რადაც სხვა ფიქრმა მას გაუელვა,
მერე შეჭმუხვნა რისხვით წარბები,
აენთო სახე, მთლად აიღელვა...
და თქვა:—„მოვსულვართ შორის ქვეყნიდან
მოსახმარებლათ კეთილად, ძმურათ
და ესენი კი პასუხს გვაძლევენ
ბატონობითა და მედიდურთა?!
დიდი ხანია, რაც ჩემ ბრძანებას
აღარ უგდებენ ბერძნები ყურსა
და არად ხდიან, თქვენც ჰხედავთ, ძმებო,

ჩვენს ერთგულებას და სამსახურსა!
მაშ, თუ ასეა, აღარ გვაქვს ბრალი!
გულთა მხილავო, შენ ხედავ, ღმერთო,
რომ უმიზეზოთ შემომწყრალ ხალხთან,
აღარა გვაქვს-რა აწ ჩვენ საერთო!“
თქვა და უბრძანა ჯარს ამხედრება,
საქართველოსკენ უკან გაბრუნდა.
ამით ბერძნები მარტოთ დაჰყარა
და მიაყარა მათ ქვა და გუნდა...
ეს ამბავი რომ შეიტყვეს მტრებმა,
დაავლეს მყისვე მათი სიმაგრე,
გამოვიდენ და ყოველი მხრითა
ბერძნების ჯარი შემოჰკრეს გარე!...
მისვლის უმალვე ატეხეს ბრძოლა,
რადგან საგულეს ჰქონდათ მათ გული,
მით, რომ ბერძნები ქართველებისგან
დარჩენილ იყვნენ, მიტოვებული!
რაღა გზა ჰქონდათ? მაშინ ბერძნემაც
ფარ-ხმალს მოჰკიდეს საომრათ ხელი,
თუმცა კი გრძნობდენ, რომ გამარჯვება
იმათთვის იყო მეტათ რამ ძნელი.
აღარ უნდოდათ შერცხვენილიყვნენ:
თავი შეწირეს, ბრძოდენ გმირულათ,
ასე რომ ურიცხვმა და უთვალავმა
მტერმა არ სძლია ისინი სრულათ...
დამარცხდენ, თუმც-კი ხელ-ცარიელი
არ დარჩენიან არც ისინი მტრებს:
რიცხვი არა აქვს სპარსელებისა
და თან სომხების დაჭრილებს და მკვდრებს!...
მაგრამ სკლიაროს ამ გამარჯვებას,

რადგანაცა თვლის უკანასკნელათ
და ვერ ვის ხედავს აწ მის სურვილის
მოწინააღმდეგ ხელის შემშლელათ,
დღესასწაულობს; გრძნობს მორეულს
უღროვოთ ათრობს მეტი სიამე
და ლხინს ეძლევა გულ დამშვიდებით
გაუსხლეტელათ ის მთელი ღამე.
ის კი არ იცის, რომ იქვე, სერზე,
დგას თორნიკ, მისგან დავიწყებული,
დამზერს მტრის ბანაკს და სარდლებიცა
იქვე ჰყავს გარე-შემოხვეული.
სხვა-და-სხვა რჩევას აძლევს სარდლებსა,
მათ-მათ შესაფერს თვითოეულად,
და სახვალიოთ ჯარებს ამზადებს
მტრის შესაბმელათ, ჯერ კი ფარულად.
—„ახლა ხომ ხედავთ, თუ რას ნიშნავდა
ბერძნებთან შუღლი და მოშორება?
თუ არ ამ ხერხით, სხვებ არ შეგვეძლო
სომხის სარდლების ჩვენ მოდორება.
არ დაგვედებდნენ საფრებს და ბრძოლას
არ დაგვიწყებდენ ველზე გაშლილათ
და, თუ პირ იქით მივვარდებოდით,
დაგვამარცხებდენ მაშინ ადვილათ!
მაგრამ მადლობა ყოვლის შემძლებელს!
ასრულდა ჩემი განძრახულები:
ვგონებ, რომ ვეღარ გაგვიმაგრდენ ხვალ
ამ გაშლილ ველზე, დაღალულები!“
ასე ამბობდა მოხუცებული,
აწყობდა რაზმებს, ჯარს აფრხილებდა;
სარდლებს სხვა-და-სხვა მხრით აგზავნიდა

და ჯარსაც თვითონ უნაწილებდა.
—„შენგან დავიწყებ ჯერ, ჯავშანიძე,
რომის ველზე ხარ დაბერებული!
გამოცდილი ხარ და, რა თქმა უნდა,
ზომას დაიჭერს ეგ შენი გული.
შენებრ ჭადარა ათასი კაცი
ამოირჩიე, შეკრიბე ჯარი,
მათ წინ წაუძეღ და საიდუმლოთ
მიდი, აიღე მტრების საფარი!
და, როდესაც აქ ომი ატყდება,
თქვენ არ გექნებათ მონაწილობა:
უჩინრათ უნდა იმალებოდეთ...
არვინ გაბედოს მაზე ცილობა!
რაც უნდა მოხდეს აქ, თქვენ მაინც იქ
ჩუმათ იყავით... არვინ აჩქარდეს,
რომ სურვილისგან გატაცებულის
ერთი ისარიც არ გადმოვარდეს!
მხოლოთ, როდესაც, უკუ-ქცეული,
ისევ მოძებნის საფარს მტრის ჯარი,
მოულოდნელათ მაშინ იქ დახვდით
და გრგვინვით მეხათ დაეცით ზარი!
შენვე გაგზავნე ჩუმათ კაცები
ჭალისის პირათ, თუ მოახერხონ,
რაც ხიდებია სუყველა ერთათ
ქვეშიდან ისეთ გვარათ დახერხონ,
რომ ზედ შემდგარი ლაშქრის სიმძიმე
მოშეტებული ვერ აიტანონ,
ჩატყდნენ ჭალისის მდინარე წყალში
და მტრისა ჯარიც თან ჩაიტანონ!...
— აწ, ორბელიძევ, შენ უნდა გითხრა,

მოწინავე ხარ რადგან სარდალი
და სუყოველთვის შენგან ატყდება
ომისა ცეცხლი და ბრძოლის ალი!
ოთხი ათას კაცს, სულ ახალგაზდებს,
თავ-გამეტებულს, წინ წაუძეხი,
გრიგალ-ქარივით ჩამოუქროლე
და შენებურათ დაეცი მეხი!
მემარჯვენე სარდლათ გამრეკელია,
მემარცხნეთ — ლომკაც სავარსამიძე,
თითოს სამ-სამი ათასი კაცი
ახლავთ, არიან ომის სიმტკიცე!
და დანარჩენი ათასი კაცი
აქვე დარჩება ჩემთანა მხლებლათ;
ჯოჯიკი არის მათი უფროსი,
გაჭირვების დროს მოსაშველებლათ.
მეტს არას გეტყვით!.. რა საჭიროა
მომეტებული სიტყვა და რჩევა?
აქ შეგვეწიოსთ წმიდა გიორგი
და მაღლით ღმერთმა მოგვცეთ კურთხევა!“
ეს თქვა თორნიკემ და გაისტუმრა
სარდლები ჯარის მოსამზადებლათ
და თვითონ-კი იქ დარჩა სულ მარტოთ,
მლოცველათ ღვთისა და მადიდებლათ.

III

ვითა ეთერი, მზეთ უნახავი,
საყვარლის მლოდე, თრთის და კანკალებს,
სახეს ვარდის ფრათ იღებავს გრძნობით
და იელვარებს სურვილით თვალებს,

ისე განთიადს ცისკრის ვარსკვლავი
ლაჟვარდ ცაზედა კაშკაშით თრთოდა
და ფერ-მიხდილათ ნათელ-ძლიერი
მზისა ამოსვლას ეშხით შეტრფოდა.
თითქოს ქვეყანაც, მით მოხიბლული,
გამსჭვალულიყო მისი თანაგრძნობით
და უგალობდა „ციურ-ნანინას“
საიდუმლო და უცნაურ-გზობით.
სუნნელთა მფენი დილის ნიავი,
ბალახთ ბიბინი, ფოთოლთ შრიალი,
ბანსა აძლევდენ ღვთიურ ნანინას
და ათანხმებდა მათ ძალთა-ძალი.
ციური ნიჭის მისადებელათ
ვარდმა კოკობმა თავი ახარა;
ცრემლათ დაეცა გულზე მანანა,
აალფერა და გაახარა!...
თურმე ბულბულიც ამას უცდიდა:
თავისებურათ იწყო მან სტვენა,
თითქოს უნდოდა მით მოეტანა
ცოდვილ-ქვეყნისთვის კურთხევა ზენა.
მაგრამ ამა დროს საზარელი ხმით
უცბათ რაღაცამ დაიგრიალა
და მით სიხარბემ ჯოჯოხეთისამ
გამოიჩინა ბოროტი ძალა:
შეიქმნა ბუკის, საყვირის ცემა,
ატყდა ჭიჭყინა ზურნის საზარი...
აჰა, თენდება და ემზადება
სისხლის სათხევლათ ორივე ჯარი!...

## IV.

მაღლით ბრძოლის ველს, როგორც ხელის გულს
ისე დაჰყურებს მთავარ-სარდალი;
წაღმა, უკუღმა, მარჯვნივ თუ მარცხნით
ყოველი მხრისკენ ჰკრის მისი თვალი.
მოწინავე ჯარს, ტურფათ დარაზმულს,
ოთხი ათასსა დაჰყურებს ჭაბუკს,
მხოლოთ იმ წამის მოლოდინესა,
როდესაც დაჰკვრენ ნაღარას და ბუკს.
ფარ-ხმალით ხელში, გახურვებულებს,
ძლივს-და უჭერენ თავს ბედაურებს:
ჭიხვინ-ხვიხვინით, ტორების ცემით,
ძუა-ფაფარ-შლით აცქვეტენ ყურებს,
თითქოს იმათაც სული მიუდისთ,
რომ მიიტანონ თან იერიში
და, როგორც იმათ მხედრების გულში,
ისე არც იმათ გულშია შიში!
თავში უდგია რაზმს ორბელიძე,
ჯერ ახალგაზდა გმირი სარდალი,
და იმან იცის, თუ როდის ატყდეს
ბრძოლისა ცეცხლი და ომის ალი.
შორს მათგან, მარჯვნივ, ქვევითი ჯარით
მოფენილია მთლად ტყე და ველი:
საფარში აჯენს შორ-შორ გაფანტვით,
მტრისა სამიზნოთ მათ გამრეკელი.
და მარცხნივ, სადაც შფოთვით, ღრიალით
მიექანება ჰალის მდინარე,
სავარსამიძის დამდგარა ჯარი,

ფარ-ხმალ, ჯაჭვ-ჯავშან-შუბ მოელვარე.
ჯავშანიძე-კი მხოლოდ-და ერთი
აღარსადა ჩანს, აქ არსად არი:
წინა დამითვე მან საიდუმლოთ
აიღო ჩუმათ მტრისა საფარი.
სკლიაროსიცა ამხედრებულა,
მტრის დასახვედრათ ამხედრებს დიდ ჯარს,
ცხენს მიაჭენებს ხან აქ, თუ ხან იქ
და ჯარსავით დატრიალებს გარს.
მარჯვნივ აყენებს ბაგრატ თარონელს,
მარცხენა მხარეს—მისვე ძმას გრიგოლს
და არ ჰგონიათ, თუ შეხვდებიან
ისინი თავის თანასწორს და ტოლს!
და ორბელიძის საპირდაპიროთ
თვით აფრანიკე გამოსულია...
წვერ-ულვაშს იგლეჯს, მეტი სიფიცხით
ალმური ასდის... გულ მოსულია:
„როგორ თუ ასე მცირე მხედრობით,
ასე თავ-ხედათ ჩემზე მოდისო?!
სიკვდილისაგან ატროებული,
მძებნელი არის სწორეთ ლოდისო!“
წინა ომებში გათამამებულს,
მარჯვე ცხენოსან, სპარსელების ჯარს,
სიტყვით ამხნევებს მოქის თავადი
და თან უქადის მდიდრულ საჩუქარს.
იმათაც ნიშნათ შეუპოვრობის
განთიადისა დაჰკრეს საჰარი,
მაგრამ ქართველთა მის საპასუხოთ
გადუშხუილეს მაღლით ისარი.
ის იყო მარჯვნით გამრეკელისგან

სამოციქულოთ გამონატყორცი;
მას თანვე მოჰყვენ სხვების ისრებიც,
გულის გამპობი და გასოცი.
ააგეს ფარი, მომართეს შვილდი,
პასუხს აძლევენ სომხებიც ისრით
და გაიმართა ძლიერი ბრძოლა
ყოველი კუთხით და ორივე მხრით.
უანგარიშო და უთვალავი
მოდის ისარი, ვით სეტყვა ცისა...
ჯერ სიჩუმეა... მხოლოთ ხანდისხან
კვნესა მოისმის დაჭრილ კაცისა...
გახურდა ბრძოლა, გრძელდება ომი,
ხან აქ და ხან იქ სისხლი იღვრება...
აჰა, ამოდის მხიარულათ მზეც,
მომაკვდავთ კვნესას არ ეყურება!...
თითქოს ეს იყო დანიშნული დრო:
აქ ორბელიძემ იშიშვლა ხმალი,
ჯარს მიუბრუნდა და მხიარულათ
მათ გადაავლო ნუგეშის თვალი.
მიუხვდენ სარდალის გულის პასუხსა
მხედრები, სიტყვა აღარ აცალეს,
იშიშვლეს მათაც ბასრი მახვილი
და მზის სხივებზე ააპრიალეს.
დასძახეს ყველამ ერთხმად: „ჰკა მაგას!“
დეზი ჰკრეს ცხენებს და გააქანეს
პირ-და-პირ ჯიქურ სპარსელებისკენ
და იერიში ზედ მიიტანეს.
მაგრათ დაუხვდა მათ აფრანიკე,
ლომი, სასისხლოთ გააფთრებული,
და შეაგება ცხენოსანთ ჯარი,

ფარ მომართებით მომზადებული.
დასცეს კიჟინა და გაიშალენ
სხელდახელოთ ტრიალ მინდორზე:
ზოგან იბრძვიან ერთად, ჯგუფ-ჯგუფათ,
და ზოგან ერთი მიდის მის სწორზე!
კიჟინა, კვნესა, წუევა, მუქარა
და ჩახა-ჩუხის ხმა გულ საზარი
არეულია და ფეხით გაქვთ
ცხენებს დაჭრილა და ცოცხალ-მკვდარი!...
აგერ მხედარმა, შავით მოსილმა,
გამოახტუნა მერანი მინდვრათ,
შეათამაშა ჭაერში ხმალი
და დაიძახა თან მედიდურათ:
—„სად ხარ? გამოდი, ნუ იმალები,
თუ რომ გულს გერჩის, ორბელიძევ!
აფრანიკ მქვიან, შენისთანები,
იცოდე, ბევრი დავამიწევ!
გამიგონია მეც შენი ქება,
განთქმული არის შენი ხმალიო,
მაგრამ აწ უნდა გასინჯო ჩემიც
სიკასკასე და მკლავის ძალიო!
ჩვენ ორში უნდა ერთი და ერთი
მოკვდეს, გათავდეს მითი ომიო!
ნუღარ გვიანობ, გელი, გამოდი,
თუ ამ პირობის შენც ხარ მდომიო!“
ხმალ-სისხლიანი, თავზე ჩაფხუტით
თეთრ ცხენზე იჯდა ერთი მხედარი,
რომელ გუნდშააც შევარდებოდა,
მას თან მიჰქონდა მეხი და ზარი!
თვით ორბელიძე იყო ეს გმირი,

ახალ გუნდს მკაცრათ რომ შეუძახა,
მაშინ მოესმა აფრანიკის ხმა
და სიხარულმა ააცახცახა!
მისი სურვილიც თურმე ის იყო,
რომ აფრანიკეს სადმე შეჰყროდა,
იმას ეძებდა და აქეთ-იქით
სხვა-და-სხვა რაზმში მიჰქრი-მოჰქროდა.
თავი მოსწია გაქანებულ ცხენს,
უალდზე შემდგარი მოატრიალა,
ასკუპა, ჯიქურ გამოაქანა,
მივარდა, ბევრი აღარ აცალა
და უპასუხა: — „გმირს არ შეშვენის
დაჩემება და თავის ქებაო!
აჰა ბურთი და ჰა მოედანი,
მზათა ვარ, გახლდეს თქვენი ნებაო!“
მოღუნეს შვილდი, მოდვეს საცერე
და ერთმანეთსა ტყორცეს ისარი,
მაგრამ ორივემ სწორის სიმარდით
მას მიაგებეს მათ-მათი ფარი
და აიცილეს მითი ფინთიხი,
გულის გამპობი, ხორცის მომწყვლელი!...
მერე გადიგდეს შვილდები მხარზე
და ხმლებს მოავლეს საომრათ ხელი.
მათი ფარ-გება და კენწლაობა,
სიჩქარით ელვა, გასაკვირვალი,
მაჩხუბართ მხოლოთ ბრაზს უმატებდა
და ედებოდათ თან-და-თან ალი!
მოსწყინდათ ფარი და უკუ აგდეს,
დაადგენ ორივ მარტო შიშველ ხმალს;
თავი გადასდვეს მათ სასიკვდილოთ,

აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს!
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ. ცხენს,
განზე გაუხტა და და აიშორა!...
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა,
წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელ მეორეთ ხმლის მომარჯვება
მოპირდაპირემ აღარ აცალა:
თვითონ მოაგდო ზედ აფრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი ფეხ-მალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია!...
შეკრთა აფრანიკ... დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რაღა ექმნა:
იდგა უძრავათ, ვით ცოცხალ-მკვდარი!...
გმირთა წესია ლმობიერება:
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
—„ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს,
რომ შეგეჭიდო,—არ მეკადრება,
მხოლოთ თანსწორი იარაღითა
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორი-შორს,
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!“
მაგრამ აფრანიკ ყურს აღარ უგდებს,

მარდათ, უეცრათ ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააჭენა!
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და ზაფრა ნაცემს,
უნებლიეთად გაუტყდათ გული.
შეწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერ მოსული, უცბათ დამფრთხალი,
იქითკენ სითაც, შავსა ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.
„ჰკა, მაგას, აბა, არ გაუშვათო!“
შეჰკივლა გმირმა მაშინ ქართველებს,
დაიგრიალა ცხენოსან ჯარმა
და გამოუდგა სომეხ-სპარსელებს.
მირბის აფრანიკ თავისი ჯარით,
მირბის და უკან არ იხედება;
მას ორბელიძე მისდევს ჯარითვე,
მისდევს, თან-და-თან ცეცხლი ედება.
დაუახლოვდა უკანა ჯარი,
უნდა დაეცეს თავზე, ვით ზვავი,
მაგრამ აქ წინამ გადაუხვია
და ხეობაში ამოჰყო თავი.
მდევრები მაინც არ ეშვებიან,
ქვესკნელშიაც კი ჩაჰყვებიან თან!
თან შეჰყვენ ერთად იმ ხეობაში
და მიიმალენ... აღარა ჩანან...
თურმე იქ ვერაგ სკლიაროს სარდალს
სხვა ჯარი ჰყავდა ჩასაფრებული
და ქართველები, შეტყუებული,

აღარ იზოგვენ ღონესა და ძალს!
მიაგდო ცხენი ჯერ ორბელიძემ,
ხმალი პირდაპირ შუბლში უსწორა,
მაგრამ დეზი ჰკრა მხედარმა შავ ცხენს,
განზე გაუხტა და და აიშორა!...
ხმალმა ჰაერში გაიშხუილა,
წახდა მოქნევა და მკლავის ძალა...
და ხელ მეორეთ ხმლის მომარჯვება
მოპირდაპირეს აღარ აცალა:
თვითონ მოაგდო ზედ ათვრანიკმა
მისი მერანი, მკვირცხლი ფეხ-მალი,
მაგრამ მოქნეულ ხმალს ორბელიძემ
ქვემოდან აჰკრა თავისი ხმალი
და მარილივით გადაუმტვრია!...
შეკრთა ათვრანიკ... დაეცა ზარი
და არ იცოდა, თუ რადა ექმნა:
იდგა უძრავად, ვით ცოცხალ-მკვდარი!...
გმირთა წესია ლმობიერება:
წყრომა გულისა ქართველს დაუცხრა,
ხმალი ჩააგო ისევ ქარქაშში,
ჩამოეცალა და ასე უთხრა:
—„ნუ გეშინია! ხმლიანი უხმლოს,
რომ შეგეჭიდო,—არ მეკადრება,
მხოლოთ თანსწორი იარაღით
შენი დაჩაგვრა მე მენატრება!
და, აბა, ეხლა ნუღა ვუდგებით
ჩვენ ერთმანეთსა ასე შორი-შორს,
აწ სასიკვდილოთ უნდა შევებათ,
ხელი მოვკიდოთ ორივემ ორ-ორს!“
მაგრამ ათვრანიკ ყურს აღარ უგდებს,

მარდათ, უეცრათ ზურგი უჩვენა:
დეზი ჰკრა მერანს, მიატრიალა,
ერთი შეჰკივლა და გააჭენა!
რა ნახა ჯარმა მათი სარდალი
გაქცეული და შეშინებული,
თვალი წაუხდა და ზაფრა ნაცემს,
უნებლიეთად გაუტყდათ გული.
შეწყვიტა ომი და გაექანა,
გონს ვერ მოსული, უცბათ დამფრთხალი,
იქითკენ სიიაც, შავს ბედაურს
მიაქანებდა მათი სარდალი.
„ჰკა, მაგას, აბა, არ გაუშვათო!“
შეჰკივლა გმირმა მაშინ ქართველებს,
დაიგრიალა ცხენოსან ჯარმა
და გამოუდგა სომეხ-სპარსელებს.
მირბის აფრანიკ თავისი ჯარით,
მირბის და უკან არ იხედება;
მას ორბელიძე მისდევს ჯარითვე,
მისდევს, თან-და-თან ცეცხლი ედება.
დაუახლოვდა უკანა ჯარი,
უნდა დაეცეს თავზე, ვით ზვავი,
მაგრამ აქ წინამ გადაუხვია
და ხეობაში ამოჰყო თავი.
მდევრები მაინც არ ეშვებიან,
ქვესკნელშიაც კი ჩაჰყვებიან თან!
თან შეჰყვენ ერთად იმ ხეობაში
და მიიმალენ... აღარა ჩანან...
თურმე იქ ვერაგ სკლიაროს სარდალს
სხვა ჯარი ჰყავდა ჩასაფრებული
და ქართველები, შეტყუებული,

დაემწყვდენ, დარჩენ· გარ შემოკრული!...
რაღა გზა ჰქონდათ? დაიქვეითეს,
ამოესაფრენ თავ-თავის ცხენებს;
იბრძვიან,, მაგრამ იციან, რომ მათ
მტერი კაი დღეს არ გაუთენებს.

## V

როგორც ისარი იმ ხეობიდან
გამოხტა ცხენი ამ დროს უეცრათ...
ხტის და ჭიხვინებს, ძუა-ფაფარს შლის,
გარბის, გამორბის მარტოკა მინდვრათ!
ხან ყურებს აცქვეტს, ხან მიწას სუნავს,
თითქოს დაეძებს მის პატრონ მხედარს,
და იმის გამო ასე ხვიხვინებს,
რომ ვერსად ხედავს ვერც ცოცხალს,
ვერც მკვდარს!
ამ უპატრონო ცხენის დანახვა
თორნიკეს დარჩა მეტათ საწყენათ,
რადგანაც იცნო მან მაშინათვე
ის ორბელიძის ბედაურ-ცხენათ.
,,ვეჰ!—დაიყვირა: ცუდ ნიშანს ვხედავ,
ამას არ უნდა ბევრი ფიციო,
საფრხეში არის და განსაცდელში
ცხენოსანთ ჯარი,—სწორეთ ვიციო!''
და უთხრა ჯოჯიკს: — „ახლა შენ იცი,
შავი დღეების შენ ხარ გმირიო!
,,ძმა ძმისათვისო, ამ დღისათვისო'',
გაგვიადვილე გასაჭირიო!''
მოახტა ჯოჯიკ მაშინ ბედაურს,
მასთანაც მთელი იმისი ჯარი,

და დაექანენ დაღმა მინდვრისკენ
გრიალით, როგორც გრიგალი ქარი.
დასცეს კიჟინა საოცარი ხმით,
მიწას გააკრეს ბედაურები
და მიეშურენ ხეობისაკენ
მტრის სისხლის მღომნი, გაუმაძღრები!
შორით მოესმათ ქართველთ კიჟინა:
იცნეს ჯოჯიკის ხმათ და იამათ,
იმედმა სიმხნე გაუორკეცათ
და ბრძოლა იწყეს უფრო თამამათ.
გაახლდა ომი... შეკრთა სკლიაროს,
უგზავნის შიკრიკს მაშინ თარონლებს,
რომ მოახმარონ ქვეითი ჯარი,
ჯოჯიკისაგან შეშინებულებს.
დააგდეს ორთავ ბრძოლის ადგილი
და მოაშურეს ანაზდეულათ;
ალყად შემოკრეს ქართველი ჯარი,
ჩაიმწყვდიეს რა იწროში სრულათ!...
და არ ეჭვობდენ აწ გამარჯვებას:
ხერხის და რიცხვის ჰქონდათ იმედი,
მაგრამ უკუღმა გადუტრიალდათ
მოულოდნელათ იმათაც ბედი!
კვალში მისდია გაბრუნებულ ჯარს
და თანვე მიჰყვა მათ გამრეკელი,—
ტყვილა არ ერქვა მას მეტ სახელათ
„შავი კლდის მელა დ მიწის მგელი."—
შეატყობინა სავარსამიძეს,
სადაც იბრძოდა მტერი, უჩვენა
და, რაც დღე მაშინ ქართველებს ადგათ,
მტრის ჯარს იგივე დღე დააყენა:

შემოჰკრეს ორგვლივ და ორ ცეცხლ შუა
გამომწყვდეული დარჩა მტრის ჯარი...
გზა არეულებს, ყოველი კუთხით
თავზე ატყდებათ მეხი და ზარი!
აივსო ხევი მკვდრებით... დაგუბდა
ბლომათ აქ-იქ სისხლის ღვარი
და, თავის შველა რომ ვისმეს ჰსურდეს,
გასაქცევი გზაც აღარსად არი!
მაშინ გახედა შორით თორნიკემ
და თქვა: — „გაერთდა, ვხედავ, ბრძოლათ!
სწორეთ ახლაა მათთვის საჭირო
გამოცდილ სარდლის თან მიყოლათ!“
მოაყვანია ბერ-კვიცი, შეჯდა,
მიეშურება — სადაც ომია;
სიბერე ახლავს, მაგრამ ჯერ კიდევ,
გულით ჭაბუკი სიმხნით ლომია!
ომი რომ ნახა, გულს გადეყარა,
არ დარჩა ბედის უმადურათა
და გაიელვა ზედი-ზედ მტრებზე
მისმა მახვილმა ძველებურათა.
შემოურბინა ჯარს ირგვლივ გმირმა,
სარდლებს გადასცა მისი ბრძანება:
— „გზას ნუ შეუკრავთ გაჭირვებულებს,
დაე, გაიქცნენ, მიეცით ნება!“
და გაუხსნეს გზა დასავლეთისკენ,
გაუკეთეს რა განზრახვით კარი,
და მხოლოთ სამი კუთხიდან მკაცრათ
მტერს აწვებოდა ქართველი ჯარი.
იბრუნეს პირი დასავლეთისკენ
მტრებმა, გაქცევა ერთად იკადრეს

და მიაშურეს ისევ ძველ საფარს,
ძველსა სიმტკიცეს და ძველ სიმაგრეს.
მაგრამ, როდესაც მიუახლოვდენ,
„ვაი“-ზე „უი“ მეტი დაერთოთ:
იქ ჯავშანიძე დაუხვდათ ჯარით
და ეს ნუგეშიც სრულათ წაერთოთ!
დაჰყარეს იქვე მათი ფარ-ხმალი,
ვეღარ გაუძლეს ამდენ სიმწარეს,
ერთიც დასძახეს: „თავს ვუშველოთო!“
და მიაშურეს ჭალის მდინარეს.
შეცვინდენ ხიდზე, ჩაუტყდათ ხიდი,
ჩაცვინდენ წყალში კისრა-კოსრითა,
ზოგი დაიღრჩვენ და ზოგს ნაპირრზე
უწყალოთ ხოცდენ ხმლით და ისრითა!...
მოისრა ჯარი... გადარჩა მხოლოთ
თვით სკლიაროსი მცირე მხედრობით
და გაეშურა ბაღდადისაკენ,
სასო-მიხდილი უბედურობით.

## VI

გათავდა ომი. კიდეც დადამდა,
ბნელმა მოჰფინა ის არე-მარე;
შეწყდა კივინა და იმის ნაცვლათ
კვნესა მოისმის აქა-იქ მწარე.
ზოგი წყალს ნატრობს სიკვდილის წინეთ,
ზოგი შველას და შემწეობასა,
ზოგი ბედს ჰყვედრის დ ტანჯვით ამბობს,
რომ სიკვდილი ჯობს იმის ყოფასა.
ისინი, ვინც რომ ერთ-წუთის წინეთ

მხეცივით სისხლით ვერა ძღებოდენ,
ახლა, იმ კვნესას რომ ყურს უგდებენ,
იმათი ცოდვით იდაგებოდენ!...
უნდოდათ შველა, მაგრამ სიბნელით
რომ ვერ ხედავდენ აქ ვეღარაფერს,
ერთად არეულ-დარეულებში,
ვეღარ არჩევდენ მოყვარეს და მტერს!
ბრძანა თორნიკემ: — „გაურჩევლად,
ქართველი იყოს, გინდა სპარსელი,
გინდა ბერძენი, გინდა სომეხი,
სულ ერთიანად მოჰკიდეთ ხელი.
სიკვდილი ყველას ათანასწორებს,
თვისიანს, უცხოს, მტერს და მოყვარეს!...
ვეცადოთ ყველამ და ნუ დავაკლებთ
დაჭრილებს მოვლას და მკვდრებს სამარეს.
ნურვინ გაბედავს, დატყვევებულებს
რომ მიაყენოს შეურაცხყოფა!
ვაჟკაცს რომ ბედი სხვას დაამონებს,
დასატანჯავათ ისიც ეყოფა!"
ასე ისურვა და იმ სურვილზე
უარს ეტყოდა მხედრობა განა?
მხოლოთ უცდიდენ მთვარის ამოსვლას,
და, ჰა, მთვარემაც ამოატანა.
ამოჰყო თავი მაღალ მთის წვერით
და გადმოხედა ნაზათ ბრძოლის ველს;
კაცის ქვეყნიურს ბნელსა საქმესა
მაღლით ციური აფენდა ნათელს.
გაანათლა და გამოაჩინა
დასანახავი გულ-შესაზარი,
თითქოს უნდოდა ეჩვენებია

კაცისთვის ბოროტ-ნამოქმედარი.
სულ დაჭრილ-მკვდრებით მოფენილია
ხეობა, დელე, ტყე და მინდორი ..
ვისაც სიცოცხლე დილას ჰყვავოდა,
ახლა შეიქნა ლეში და მძორი!...
აგერ დაჭრილი... აგერ ძევს მკვდარი,
გაკვეთილია საბრალო ორათ;
აგერაც ერთგან ათასზე მეტი
ზედ დაჭჩეხიან ერთმანეთს ხორათ!
ამ ერთ ადგილას რას მიუზიდავს
ამდენი სული? რა ანდამატით?
მხოლოთ იმითი, რომ ორბელიძე
აქა ძევს მკვდარი ცუდათ... ღალატით..,
მისი სიკვდილით ცეცხლ-მოდებული,
მტერს ქართველები ეჯახებოდენ,
ბევრს მიიძღვანდენ საიქიოსკენ
და თვითონაცა ზე აკვდებოდენ!...
მაგრამ ამითი კი ორბელიძეს
ვეღარ უშველეს, მიტყუებით მკვდარს...
და, აჰა, ახლა ამოდენ მკვდრებში
სულ ყველეზე ძირს ის გდია მკვდარი!
ზურგში ურჭვია მას მტრის მახვილი
და გულზე ადევს მისივე ფარი...
ცოტა შორს, გზაზე, შავი კლდის ძირში
უწვერ-ულვაშო ეს ვინღა არი?
თავს დახვიხვინებს, ტორს ცემს მერანი,
რომ გააღვიძოს მისი მხედარი...
მაგრამ ამ ნეტარ-საუკუნო ძილს
ვერ დაუფრთხობს ქვეყნათ ვეღარ რა,
დედის ცრემლების გან საპასუხოთ

აქ ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარა
და შეასრულა მით ღირსეულათ
მამულის შვილის უკვდავი ვალი:
თავის სამშობლო ქვეყნის ხსოვნაში
სამარადისოდ დახუჭა თვალი...
ეგებ სხვა რამე გულ-დასაწვავი
სიკვდილის წინეთ აგონდებოდა
და სასიკვდილო შხამი გულის წყლულს
უფრო სახმილათ ეკიდებოდა?
ვინ იცის რა და რა საიდუმლო
მან საიქიოს თან წაიტანა?
შორს სადმე ქართლში დედამ გამოცნოს
ან გულის სატრფომ ეს გამოცანა...
აგერ ისრისგან მთლად დაცხრილული
გდია მოხუცი, პირ ნათლათ მკვდარი,
თითქოს ძინავსო და ეზმანება
მას შორეული ტკბილი სიზმარი...
აქა, დაჭრილი მიფორთხებულა
ბევრი წვალებით დიდ ხისა ძირში,
სურს დაიყვიროს, მაგრამ საძრავი
ენა აღარ აქვს მომაკვდავ პირში!...
აგერ სიდღამაც უცნაურა ხმით
გამოიძახის კვნესით, დაჭრილი!
თავზე აწევან საბრალოს მკვდრები
და ემატება მითი ტკივილი.
ამდენ დაჭრილის კვნესით და ოხვრით
აღარსად არის აქ ყურთა სმენა;
სომხურ, ქართული, ბერძნულ, სპარსული,
არეულია სხვა-და-სხვა ენა.
გამწარებული გამოთქმის კილო

და დედა აზრი ერთი აქვს ყველას:
წყევლიან თავის ბედს და გაჩენას
და გასაჭირში ითხოვენ შველას.
მაგრამ ბევრს მათგანს ველარ უშველის
სიკვდილის მეტი ველარაფერი,
თუმც-კი მოყვრულათ ეშველებიან
და აღარავის აღარ ჰყავს მტერი.
ასე გათავდა ეს დიდი ბრძოლა...
აჯანყებულთა ამოწყდა ჯარი,
მაგრამ მათ რიცხვში ხუთი ათასი
გამოერია ქართველიც მკვდარი...

## კარი მეოთხე.

### I

გამობრძანდა ქალაქს გარეთ
მეფე დავით ბედნიერი,
თანვე ახლავს ყოველი მხრით
წამოსული ქართლის ერი.
რიცხვი არ აქვს დარაზმულსა
ქვეითსა და ცხენოსან ჯარს,
შეჰხარიან ბატონ მეფეს,
მორჩილებით უვლიან გარს.
გარეშემო მთა და ბარი
წვრილ-ფეხობით მოფენილა,
თითქოს რაღაც დიდ წყალობას
ექადოდეს მათ ეს დილა.
ცალკე სერზე უთვალავი
გადმომდგარა დედა-წული,
სხვებზე მეტათ დატყობიათ
საზოგადო სიხარული.
წინ დგას მეფე და გვერდში ჰყავს
ბაგრატ, მისი შვილობილი,
ქათოლიკოს-მღვდელ-მთავრები
იქვე დგანან კმაყოფილი.
სათვალმაქცოთ არა ბრწყინავს
ერისა და ღვთის რჩეული:
თან არა აქვს მას გვირგვინი
და სამეფო სამკაული!
მაგრამ ისეც ვინ არ იცნობს,

რომ ის დიდი ცხებულია,
ვინც ერისგან გულის წმინდით
ნაკურთხი და ქებულია?
ყველა იცნობს მამა-შვილურ...
არც რიდი აქვსთ და არც შიში;
მიდიან და რჩევას ჰკითხვენ,
როგორც ლხინში, ისე ჭირში.
აი, ახლაც უთვალავი
ეს ერი სულ მას შეჰყურებს
და მთელის გულის ძგერით
ნახოს, მეფე რას აპირებს.
გაიხედეს შორს მინდვრისკენ
და რაღაცას მოჰკრეს თვალი,
ძირს შავათ და მაღლა ღრუბლათ
მათკენ იყო მომავალი.
ეს იყო, რომ ბრუნდებოდა
საბერძნეთით ქართლის ჯვარი
და ცხენების ფეხთა-მტვერსა
აღმა ჰყრიდა ღრუბლათ ქარი.
თავის ქვეყნის კიდევ ნახვამ
მხედრებს გული აუძგერა
და საგმირო, ჩვეულებრივ,
შემოსძახეს მათ სიმღერა:
„კავკასიის ქედზე იყო
ამირანი მიჯაჭვული,
ყვავ-ყორანი ეხვეოდა,
დაფლეთილი ჰქონდა გული...
ქვეყნათ ცეცხლის მოტანისთვის
გულს ცეცხლი არ ნელდებოდა
და რაღაცა მანქანებით

გული ისევ მთელდებოდა.
ჰქონდა ჭირში მოთმინება,
არც ჰკვნესოდა, არც ოხვრიდა...
უსამართლო ძლიერებას
მონურათ ქედს არ უხრიდა!...
ბოლოს მაინც გამარჯობა
დარჩა, ყველა გააოცა!
და ის დვაწლი მაგალითათ
მიწის შვილთა მან გადმოსცა.
კავკასიის მაღალ-ქედზე
მიჯაჭვული ამირანი
არის მთელი საქართველო
და მტრები კი — ყვავ-ყორანი.
მოვა დრო და თავს აიშვებს,
იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი,
სიხარულათ შეეცვლება
იმდენი ხნის გასაჭირი!"
მოახლოვდენ ამ სიმღერით,
დადგენ ცოტა მოშორებით,
დაქვეითდენ, წინ წამოდგენ
და დარაზმდენ აჩქარებით.
თაყვანი სცეს ერთად მეფეს,
ცალი მუხლი მოიყარეს,
სიმდაბლის და მორჩილების
ნიშნათ თავი მოიხარეს.
წადგა მეფე და შესძახა:
— გამარჯვება მძლეველ ჯარსო!
ვაშა! ვაშა! იმათ დვაწლს და
საუკუნო სახსოვარსო!
გამარჯვება ქართველ დედებს,

ჩვენს გამზრდელსა და მშობლებსო;
მათი ძუძუ გვავაშკაცებს
და ზრდა სულით გვამაღლებსო!..“
ამ სიტყვებმა აიტაცა,
აადელვა მთელი ჯარი,
შესძახეს და მათი გრგვინვით
ირყეოდა მთა და ბარი:
— „გაუმარჯოს ქართველ დედებს!
ვაშა! ვაშა! მძლეველ ჯარსო,
დღეგრძელობა ბატონ მეფეს
ქვეყნის თვალსა და ჯავარსო!“

II

მაშინ წარსდგა ბატონის წინ
დიდი თორნიკ ერისთავი,
წინ დაუდვა ფეხთით დროშა
და მიართვა რაღაც ტყავი.
მოახსენა: — „აჰა, მეფევ,
გრამმატაა დედოფლისო,
მაგიერი სასყიდელი
ჩვენი სისხლის და ოფლისო!
ბასილი და კონსტანტინეც
ამოწმებენ ამ წერილსო
და უთმობენ ზემო ქვეყნებს
თქვენს შვილსა და შვილის შვილსო.
მეც მიბოძეს მათ საკუთრად
საჩუქარი დიდ-ძალიო,
სამკაული, ოქრო, ვერცხლი,
მარგალიტი და თვალიო.

მაგრამ, მეფევ, მე რათ მინდა
ეს სიმდიდრე საწყალ ბერსო?
თქვენს დიდებულ ბატონობას
შემოვწირავ უოვლიფერსო:
ნახევარი თქვენი იყოს,
ნახევარიც ქვრივ-ოხრებსო,
ამდენი ჯორ-კიდებული
ორივესთვის იკმარებსო!"
მეფემ უთხრა:—,,გმადლობ, ვიცი
ქვრივ-ობლები რომ გიყვარსო,
მათ ჰქონდეს და მე კი ჩემთვის
არ ვიღებ არც ნახევარსო!
შენია და შენვე გქონდეს,
მოიხმარე, როგორც გსურსო,
რადა ძლევნი ეწირება
შენს ღვაწლსა და სამსახურსო?"
მაგრამ თორნიკ უპასუხებს:
—,,ნუ მამგუნებ, მეფევ, ძღვენსა:
ვერ მივიღებ მე სიმდიდრეს,
ვერ ვიქმ საქმეს ღვთის საწყენსო.
ჯვარია და სახარება
მხოლოდ ბერის სიმდიდრეო,
ეს სიმდიდრე ქვეყნის არის
და თქვენც მისი მემკვიდრეო!"
ვერ შეთანხმდენ, თუმც სარდალი
ცრემლით თხოვდა, მუხლ-მოყრილი,
და ლაშქარიც სარდლის თანხმად
მის წინ იდგა თავ-დახრილი.

III

დრუბელზე მაღლა, ორბის საბუდარს,
არწივებ-ჯიხვების მაღალ-სამთავროს,
წმინდა მამებსა გამოუქვაბავსთ
კლდეში სახლები ოდესმე, ერთ დროს.
აღარა ჩანან დღეს ის მამები,
აწ აიაზმას ვერ გვასხურებენ
და მაღლობიდან ის სადგურებიც
ჩვენს შავ-ბედს შავათ გადმოჰყურებენ...
ვერა ოთხ-ფეხი, ვერა ფრინველი,
ვერ შედის, თუმც კი ღიაა კარი!
ვერც უწმინდური რამე ქვეწმრომი:
იქ ბუდობს მხოლოთ წმინდა ფუტკარი;
და ისიც მისთვის, რომ ზეცის მუშა
ხატებს უმზადებს აქ წმინდა სანთლებს,
თორემ სხვა, გინდა კაციც შევიდეს,
რაღაცა შიში აკანკალებს!...
თორნიკეს დროსაც ამ გვარ ღვიმეში
ცხოვრობდა ერთი მოხუცი ბერი,
ძაძით მოსილსა და ფეხ-შიშველსა,
წელზე ეყარა თმები და წვერი.
ხშირათ სოფელში ჩამოდიოდა,
არ ასვენებდა კაცთ-მოყვარება,
მუნჯათ ვიდოდა, ხმას არვის სცემდა,
აღთქმული ჰქონდა მას მდუმარება.
მაგრამ შრომასა და შემწეობას
გაჭირვებულებს არ ამაღლიდა.
უყვარდა გლეხი, ქვრივი, ობოლი,
მამა-შვილურათ ყველას უვლიდა.
თოხნაში, მკაში, სხვლაში და ხვნაში

ის მუშა იყო ყველაში სრული,
მისი მარჯვენის მადლს ფიცულობდა
ყოველი გლეხი, გაჭირვებული.
როცა სახადი, გადამდები რამ
სადმე სოფელში მოედებოდა,
იმათ მომვლელათ და საპატრონოთ
წმინდა მოხუციც იქ გაჩნდებოდა.
და სასყიდელი იმისა იყო
ხმელა პური და ზედ წმინდა წყალი;
არვის უნახავს ის მოწყენილი,
არც მხიარული და არც გამწყრალი.
ერთ გუნებაზე იდგა და იდგა,
ყველას უყვარდა, ყველა იცნობდა,
მაგრამ ის მაინც არვინ იცოდა,
თუ რას ფიქრობდა ან რას გრძნობდა.
იცოდენ მხოლოთ, რომ ბერი იყო,
ცხოვრობდა კლდეში, სოფლიდან ახლოს,
და დიდი ხნიდან მათი მამებიც
მას ეძახოდენ „გაბრიელ სალოსს.
როდესაც მეფემ არ შეიწყნარა
თორნიკეს ძღვენი, თხოვნა, ვედრება
და გაკვირვებულ ამოდენ ჯარში
სიჩუმე იყო და მდუმარება,
ეს გაბრიელი წადგა იმათ წინ,
ამოიდგა რა პირველათ ენა,
და გააკვირვა ყოველი სული,
როდესაც ბატონს ეს მოახსენა:
— „მეფევ, სიმდიდრე და ეს საუნჯე
არც შენ გეკუთვნის და არც თორნიკეს!
ეს ნახევარი სხვებისა არის,

სისხლის სანაცვლოთ იმათ მოიმკეს!
რისთვის ივიწყებთ იმათ, რომელთაც
მამულის სახელს თავი შეწირეს
და გაითხარეს სამარე ისე,
რომ შორს მშობლემაც ვერ დაიტირეს?!
რათ არ იგონებთ იმ წმინდა ადგილს,
სადაც თორნიკე იმყოფებოდა?
თუ არა იმის სასწაულს და მადლს
ქრისტიანობა იღუპებოდა!...
მთა-წმინდის იყოს ეს თქვენი ძღვენი,
იქ ააშენეთ მით მონასტრები,
რომ სუყოველ დღე წირვა-ლოცვის დროს
იხსენებოდენ ქართველი მკვდრები.
აუგეთ ერთიც ახალი ლავრა
ყოვლად წმინდის დედის სახელსა,
რომ მის წილ-ხვედრი მიცირე ივერი
მსხვერპლსა წირავდეს მის მფარველ-მხსნელსა.
მეცნიერების და მწიგნობრობის
იქ აენთება ერთ დროს ლამპარი
და შვილი-შვილთა სხივებს მიაფენს
იმათი მამა და წინაპარი!"
თქვა და ისევე დადუმდა ბერი.
გაოცებული უმზერდენ მაშინ.
დათანახმდა მეფე და ერმაც მას თან
ერთხმად შესძახა ხმა მაღლა: „ამინ!"
აღარვინ იყო საქართველოში
იმ დღიდან იმა ბერის მნახველი,
მხოლოთ ერთხელ კი, როცა ქვეყანას
ჩამოსწოლოდა უკუნი ბნელი,
ორი მოხუცი ენახათ გზაზე

ხელ-უავარჯნებით შორს მიმავალი.
ათონისაკენ მიემართათ მათ
პირ და პირი გზა და სწორი კვალი.
ისე ვიდოდენ იმ ბნელ დამეში
თითქო უძღოდათ რადაც ნათელი...
ერთი მათგანი იყო თორნიკე
და მეორე კი ის გაბრიელი.

## IV

ერთხელ ათონში ატეხეს რეკა
და უჩვეულო იწყეს დადადი!
ასე ამბობდენ, რომ სასწაული
საყველამ ერთად ვნახეთო ცხადი:
„მოსცურა ახლოს დვთის-მშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელით...
გამოსვენება გვინდოდა, მაგრამ
არ მოიკიდა ჩვენი ხელით!..
ყველა ვერ ხედავს: დამით ნათელი
და დღისით რადაც ნისლი ჰბურავსო;
ჩვენ როცა ნავით ვუახლოვდებით,
ის არ გვიკარებს, შორს მისცურავსო.
მისი საწმინდის შეხების დირსი
ადარ ამოჩნდა არცა ერთიო...
ჩანს, ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა
და გვირისხდება მადლით დმერთიო!“
ასე ტირიან წმინდა მამები,
მარხვას და ლოცვას იორკეცებენ;
ადთქმებსაც სდებენ საკანონოთა
და დირსს მათსავე გუნდში ეძებენ.

მაგრამ არ იქნა, სანამდი ძილში
არ ნახა ერთმა ბერმა ჩვენება:
გამოეცხადა მას დედა ღვთისა
და განუცხადა მაღალი ნება:
—,,ამაოთ შფოთავთ, წმინდა მამებო,
არაფერი გაქვთ ღმერთთან ბრალიო,
არც ჩემთანა ხართ თქვენ დამნაშავე,
არა ვარ თქვენზე მე გამწყრალიო.
მაგრამ მე თქვენთვის აქ არ მოვსულვარ,
სხვა არის ჩემი წმინდა ნებაო
და თქვენგანს არვის არ შეუძლია
ჩემი აქედან წასვენებაო!
ჩემ სადიდებლათ რომ აუგიათ
ივერიელთა აქ ტაძარიო
და ყველასათვის შიგ შესავლელათ
მათ გაუღიათ მისი კარიო,
იქ ცხოვრებს ერთი მოხუცი ბერი,
ივერიელი — გაბრიელიო —
ჯ ნათლით მოსილს იმ ჩემ ძლიერ ხატს
იმან შეახოს მხოლოთ ხელიო,
რომ მიიტანოს და დაასვენოს
შესავალ კართან საკვირველიო,
და იმ დღიდანვე სასწაულ-მოქმედს
დაერქვას: ,,კარის ღვთის-მშობელიო!“
გამხიარულდენ წმინდა მამები,
იწყეს შესხმითი გუნდათ გალობა;
უვლიდენ ტაძრებს კელაპტრებითა,
გახშირდა საღმრთო ლიტანიობა.
წინ მიუძღოდა იმათ თორნიკე
და იოვანე მცირე ჯრებითა,

ხელ-უავარჯნებით შორს მიმავალი.
ათონისაკენ მიემართათ მათ
პირ და პირი გზა და სწორი კვალი.
ისე ვიდოდენ იმ ბნელ დამეში
თითქო უძღოდათ რადაც ნათელი...
ერთი მათგანი იყო თორნიკე
და მეორე კი ის გაბრიელი.

## IV

ერთხელ ათონში ატეხეს რეკა
და უჩვეულო იწყეს დადადი!
ასე ამბობდენ, რომ სასწაული
სუყველამ ერთად ვნახეთო ცხადი:
„მოსცურა ახლოს ღვთის-მშობლის ხატმა
და დაიყენა თავს ნათელით...
გამოსვენება გვინდოდა, მაგრამ
არ მოიკიდა ჩვენი ხელით!..
ყველა ვერ ხედავს: დამით ნათელი
და დღისით რადაც ნისლი ჰბურავსო;
ჩვენ როცა ნავით ვუახლოვდებით,
ის არ გვიკარებს, შორს მისცურავსო.
მისი სიწმინდის შეხების ღირსი
აღარ ამოჩნდა არცა ერთიო...
ჩანს, ჩვენი ცოდვა დიდი ყოფილა
და გვირისხდება მაღლით ღმერთიო!‟
ასე ტირიან წმინდა მამები,
მარხვას და ლოცვას იორკეცებენ;
აღთქმებსაც სდებენ საკანონოთა
და ღირსს მათსავე გუნდში ეძებენ.

მაგრამ არ იქნა, სანამდი ძილში
არ ნახა ერთმა ბერმა ჩვენება:
გამოეცხადა მას დედა ღვთისა
და განუცხადა მაღალი ნება:
—,,ამაოთ შფოთავთ, წმინდა მამებო,
არაფერი გაქვთ ღმერთთან ბრალიო,
არც ჩემთანა ხართ თქვენ დამნაშავე,
არა ვარ თქვენზე მე გამწყრალიო.
მაგრამ მე თქვენთვის აქ არ მოვსულვარ,
სხვა არის ჩემი წმინდა ნებაო
და თქვენგანს არვის არ შეუძლია
ჩემი აქედან წასვენებაო!
ჩემ სადიდებლათ რომ აუგიათ
ივერიელთა აქ ტაძარიო
და ყველასათვის შიგ შესავლელათ
მათ გაუღიათ მისი კარიო,
იქ ცხოვრებს ერთი მოხუცი ბერი,
ივერიელი — გაბრიელიო —
და ნათლით მოსილს იმ ჩემ ძლიერ ხატს
იმან შეახოს მხოლოთ ხელიო,
რომ მიიტანოს და დაასვენოს
შესავალ კართან საკვირველიო,
და იმ დღიდანვე სასწაულ-მოქმედს
დაერქვას: ,,კარის ღვთის-მშობელიო!"
გამხიარულდენ წმინდა მამები,
იწყეს შესხმითი გუნდათ გალობა;
უვლიდენ ტაძრებს კელაპტრებითა,
გახშირდა საღმრთო ლიტანიობა.
წინ მიუძღოდა იმათ თორნიკე
და იოვანე მცირე კრებითა,

და ივსებოდა იმათი გული
მომეტებული ნეტარებითა.
მიიღეს ხატი და დაასვენეს
დანიშნულ ადგილს სიხარულითა
და ივსებოდა წმინდა ტაძარი
იმავე დღიდან სასწაულითა.
მაგრამ ყველაზე შესანიშნავი
იხილეს მაშინ ერთი ჩვენება,
რომლისა მსგავსი ჯერ არც ენახათ
და არც ყოფილა სადმე ხსენება:
გამოიხატა ცაზე გვირგვინი,
ვარსკვლავებისგან გამოჭედილი,
დაადგა თავზე ივერთ მონასტერს
და გაანათლა წმინდა ადგილი
და ნათლის სხივებს აელვარებდა
დიდ ხანს, სანამდი არ დადგა დილა!...
შემდეგაც თურმე არა ერთ გზისა
იმავე ადგილს გამოჭედილა.
დღეს ის ნიშანი კი აღარა ჩანს,
დიდი ხანია, რაც რომ გამქრალა...
უეჭველია, ჩვენს გულ-გრილობას
გარისხებია, ჩვენზე გამწყრალა!...
მაგრამ სულ-მნათსა საქართველოსას
ღვთის-მშობლობა დღეს ერთი სიზმარი
ენახა: ქვეყნათ ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი
და ქეთევანსა — წმიდა მოწმობის...
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა —
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.

ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალი,
საქართველოსკენ აშვერდენ ხელსა
და შეერთებით, ხმა შეწყობილათ
ჰგალობდენ ტკბილსა საგალობელსა:
„დედაო ღვთისავ, შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდ ჭირ-ნახული,
შეუნდვე ცოდვა, ნუ ააღებ ხელს,
ლმობიერებით იბრუნე გული!...
მოეც კურთხევა ზეციით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერათ ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი!
მისსა მხნეობას, მისსა ზნეობას
გაუმტკიცებდე აღმა ფრენასა
და შენ საქებრათ, სადიდებელათ
ნუ დაავიწყებ იმ ტკბილ ენასა,
რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა,
ქეთევან მარად შენ გადიდებდა
და ნინო ძისა შენისა მცნებას
შენგან რჩეულ ერს უქადაგებდა!"
რომ გაათავეს თურმე ეს ლოცვა
ზეცას შეხედეს სამთავემ ნელა
და დაინახეს, რომ ძველ ადგილზე
გამოესახათ მათ ცისარტყელა...

# ხელმწიფის ცოლი, ქალ-ვაყაყი.

(ზღაპარი, ქიზიყში გაგონილი და ჩაწერილი მღვდ. ნ. მაღალდაძისაგან).

ერთ სოფელში, სოლომონ ბრძენის დროს, სცხოვრებდა ერთი მეტათ საწყალი და დავრდომილი კაცი, რომელსაც სახელათ ეძახდნენ ფასოს. ამას ჰყავნდა: ცოლი ზილფა, შვილები წიწა და მაზა და ქალი ნაზიკო. ეს თავის ცოლ-შვილი საცოდავს შიმშილით ეხოცებოდა, ძლივს ვაითა და ვაგლახით შოულობდა დღიურ ლუკმას მათ გამოსაზრდელათ; ესრეთს მწუხარებაში ატარებდა თავის სიცოცხლეს. როდესაც მეტათ შეაწუხა სიღარიბემ და ველარ საით ველარა იშოვნა რა, უთხრა ტირილით და თავში ცემით თავის ცოლ-შვილს: „ჩემო საყვარლებო და ჩემო სიცოცხლენო, ხომ მხედავთ დღე არა მაქვს მოსვენება და ღამესაც დღეთ გარდავაქცევ ხოლმე, ვმუშაობ; ვწვალობ, მაგრამ მაინც ჩემს ნამუშავარს ბარაქა ვერ დავდე და ერთხელ რიგიანათ კუჭი ვერ გაგიძღეთ ⴃ ვერცა რა ტანზე ჩაგაცვით. მე ვხედავ, რომ, თუ ერთს ან ორს წელიწადს კარში არ გაველი და არ საით არ გადავვარდი სარჩოს საშოვნელათ, ჩვენ ფიტს ვერ მოვიკრამთ, მაგრამ რა ვქნა, რომ თქვენი ჯავრი თან გამყვება, არც დღე მომასვენებს ⴃ არც ღამეო!" უპასუხეს ცოლშვილმა: „შენ ჩვენი ჯავრი ნუ გექნება, წადი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს და იგი იყოს შენი მშველელი და შემწე, მან წარგიმართოს გზა და მოქცეს რასაც კეთილს ეძებდე და სთხოვდე წმინდის გულით,

მხოლოთ ამას კი გეხვეწებით, რომ სამ წელიწადზე მეტი კი არსად დადგე, თუნდა იშოვნო რამე და თუნდა არა; ამ დროს განმავლობაში ჩვენ, ღვთის შეწევნით, როგორც იქნება, ვიცხოვრებთო.“

ეს რომ გაიგონა ფასომ თავის ცოლ-შვილისაგან, მეტათ ხმა მაღლა დაიწყო ტირილი. ადგა ფეხშიშველი, თავშიშველი, ტანზე ათასნაირათ დაკონკებული ჩოხით და უნდა წავიდეს, ვინ იცის საითკენ! როდესაც გამოვიდა კარში, დაუძახა ცოლსა და შვილებს, დაჰკოცნა ქვითინით და ცრემლების დენით და განშორდნენ ერთმანეთს. განშორების დროს, თუმცა ცოლმა გული ვეღარ მოიბრუნა ტირილისაგან, მაგრამ, როგორც იყო, ამოილუღლუღა: „კაცო, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, მშიერი და მწყურვალი რად მიხვალ? აჰა, ეს ნახევარი მჭადი მაინც ჩაიდე ჯიბეში!“ ქმარმა უპასუხა: „ჩემო სიცოცხლევ, მაგის მეტი ხომ არა გრჩებათ რა და ეგეც რომ მე წავიღო,—თქვენ რაღა გეშველებათ?“ ესრეთ ტირილით, მწუხარებით და დამწვარ-დადაგულის გულით გაშორდა ცოლშვილს.

იარა რამდენიმე დღე და ღამე; შეწუხდა მეტათ შიმშილისა დ̃ სიტიტვლისაგან. შიმშილს იკლავდა ბალახების ძირით და სიტიტვლეღლეს იფარავდა გზაზე ნაპოვნის და მოკრეფილის ძონძებით. შემდგომ რამდენისამე დროებისა მიაწია იმ ქალაქს, სადაც მეფობდა ბრძენი სოლომონი. იმ ქალაქში კარგა ხანი იარა, მაგრამ ალაგი ვერსად იშოვნა, რომ მოჯამაგირეთ დამდგარიყო. შეჰხვდნენ-კი ისეთი მოწყალე ხალხი, რომელნიც შეძლების და გვარათ აძლევდნენ მოწყალებას, რადგანაც ახსოვდათ სოლომონის მამის დაწერილი წიგნიდან—ფსალმუნებიდან: „ნეტარ არს, რომელმან გულის ხმა ჰყოს გლა-

ხაკისა და დავრდომილისა, დღესა ბოროტსა იხსნას იგი უფალმან“ (ფსალ. მ. ა.). ტანზე შეიმოსა ცოტა წესიერათ, ორისა და სამის კვირის განმავლობაში მოეცა ფერი ‍ჱ საპატიო კაცს დაემგზავსა. შემდგომ მივიდა სოლომონ ბრძენთან და მოახსენა: „ბატონო, ერთი საწყალი კაცი გახლავარ, მინდა მოჯამაგირეთ დავდგე სადმე და ალაგი ვერსად მიშოვნია, გთხოვ, ბატონო, შენი ჭირიმე, მიმსახურეთ და რისაც ღირსი აღმოვჩნდე,—მიბოძოთ, რომ ჩემ საცოდავ ცოლ-შვილს მივუტანო რამე.“ ბრძენმა სოლომონმა არც ვინაობა ჰკითხა, არც სადაურობა ‍ჱ უბრძანა: „წელიწადში როგორ დადგებიო?“ საბრალო კაცი შეფიქრდა: ბევრი ვთხოვო, ვაი თუ არ დამიჭიროს და ცოტა რას მიზამსო! იმ საცოდავმა არ იცოდა, თუ რასაც სთხოვდა,—მისცემდა. კიდევ განუმეორა: „რასა სთხოულობ წელიწადშიო?“ მოახსენა შიშით და მეტათ შეწუხებულის ხმით: „სამ თუმანსო“. სოლომონმა უბრძანა: „კარგი, შვილო, სამ თუმანს მოქცემ წლის დასრულებაზედ და ამას-კი გეტყვი: მაშინ, როდესაც ფულს დაგითვლი, თუნდა ის ფული წაიღე და წადი, თუნდა ერთს სიტყვას გასწავლი და ფული მე დამრჩესო.“ დასდვეს ესრეთი პირობა.

ამ ღარიბმა, საცოდავმა კაცმა—ფასოდ დაიწყო სამსახური და მეტათ კარგათ ემსახურება, ყოველს საქმეში დაუღალავი და დაუზარებელი არის, ღმერთიც ხელს უმართავს და ყოველ ჟამს სოლომონს მოსწონს მისი საქმე. ესრეთ გაატარა ერთი წელიწადი და მეტათ უხარია და ფიქრობს: ჩემს სიცოცხლეში ხომ სამი თუმანი ფიქრათაც არ მომსვლია, არამც თუ ხელში მჭეროდეს, ეხლა რომ ეს სამი თუმანი ჩემ ცოლშვილში მივიტანო, ძრიელ მდიდრები ვიქნებითო. როდესაც გავიდა წელიწა-

დი მოახსენა: „ბატონო, ჯამაგირი მიბოძეთ, ჩემ ცოლ-შვილს მივეშველოო“. ხმის ამოუღებლივ, გამოსწია უჯრას, ამოიღო ვერცხლის მანეთები, დაუთვალა სრულებით და დაუწყო სტოლზე; მერე უთხრა: „აი, შვილო, შენი ჯამაგირი, ძრიელ კარგი ყმაწვილი კაცი ხარ, მომწონს შენი სამსახური, არასოდეს შენგან არა მწყენიარა, თუ გინდა, აიღე ეგ ფული და წადი, როგორც პირობა გვაქვს, თუ არა და—ერთს სიტყვას გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო.“ ამ სიტყვაზე ფასო ძრიელ დაფიქრდა, არც ფული ემეტება და წასვლაც უნდა. კარგა ხანი იყუყმანა და მერე მოახსენა: მასწავლეო. სოლომონმა გამოსწია უჯრას, მოუსვა ხელი და ჩაყარა. მერე უთხრა: „აი, შვილო, ეს ჩემი სწავლა გახსოვდეს: თუ ვინმემ გკითხოს რამე, უცებ ნუ უპასუხებ, დაფიქრდი ӕ რაც სასიამოვნო იყოს, ის უთხარიო.“ ეს იყო სწავლება სოლომონისა. დაღონდა ეს საცოდავი ყმაწვილი კაცი. ფიქრობს: რა ვქნა? წავიდე შინ, ცარიელი როგორ მივიდე? არ წავიდე ӕ ცოლ-შვილის ჯავრი მაწუხებს!... ძრიელ ბევრი ხანი იფიქრა და შემდგომ გარდასწყვიტა: ერთს წელიწადს კიდევ ვემსახურები, ეგები წარსული წლის ჯამაგირიც და ამ წლისაც გამოვიტანოო.

სოლომონ ბრძენმა, რასაკვირველია, შეატყო, რომ მეტად შეწუხდა, მაგრამ სრულებითაც არ შეჰბრალდა! უთუოთ იმისთვის, რომ, იცოდა სწავლა უნაყოფოთ არ დარჩებოდა, ӕ უბრძანა: წადიო. საბრალომ მოახსენა: „ბატონო, ნათქვამია, ცარიელს კაცს საბაჟოზე მიუხარიდაო, რომ წავიდე, რა მივუტანო ჩემ საცოდავ ცოლ-შვილს? გთხოვ, შენიჭირიმე, შენ სადღეგრძელოთ, ერთს წელიწადს კიდევ მიმსახუროო.“—„კარგი, შვილო, მაგაზე

უარს არ გეტყვი, დარჩი ჩემთან, მხოლოთ ჯამაგირზე მომირიგდი, რასა მთხოვო?" მოახსენა კანკალით და კრინტ-ჩაწყვეტილი, მძლივ გასაგონი ხმით: „ათი თუმანი მიბოძეთ, შენი ჭირიმე"—„ძრიელ კარგი, შვილო, ათ თუმანს დაგითვლი, როდესაც ყავლს გაათავებ, თუნდა ფული წაიღე და თუნდა ერთს სიტყვას გასწავლი და ფული მე დამრჩესო." მორიგდნენ ესრეთის პირობით.

დაიწყო სამსახური. ამ მეორე წელიწადს, რაც იყო პირველ წელიწადს, იმაზედ ერთი ორად და სამად გადაამეტა. ეტყობა ის ჰქონდა გულში, რომ ჯამაგირი აიღოს და საქმე კი არა გააკეთოს—ცოდვა არის და ღმერთი ესრეთ ტყუილათ აღებულს არ მოახმარსო. ამ ერთგულის და პატიოსნურის სამსახურისათვის ძლიერ შეიყვარა სოლომონ ბრძენმა. გავიდა წელიწადი და უხარია ამ საბრალო ფასოს: ათ თუმანს მიუტანს თავის ცოლშვილს და გაახარებს, დაჰკარგამენ სიღარიბეს და იცხოვრებენ ბედნიერათ. მოახსენა ფასომ სოლომონს:—„ბატონო, მიბოძეთ ჩემი ჯამაგირი, რომ მივეშველო ჩემ საცოდავ ცოლ-შვილსო". სოლომონმაც, რა საკვირველია, მის თხოვნაზე გამოსწია უჯრას, ამოკრიფა ვერცხლის მანეთები, დათვალა, დააწყო სტოლზე და უთხრა: „აი, შვილო, შენი ერთის წლის ჯამაგირი—ასი მანეთი. თუ გინდა, აიღე და წადი, თუ არა და—ერთს სიტყვას გასწავლი, როგორც პირობა გვქონდა, და ეგ ფული მე დამრჩესო". საცოდავი, სიღარიბისაგან დამწვარ-დადაგული კაცი, დაჰყურებს მშვენიერს, ახალ მოჭრილს მანეთებს... რა ჰქნას? ფულიც უნდა და კიდეც უნდა, რომ ისწავლოს რამე. იყოყმანა ძლიერ ბევრ ხანს; იმ, დენი გრძნობა და ჭკუა მოიხმარა, რომ ფულს ისევ სწავლა არჩია და მოახსენა: მასწავლეო. სოლომონმა, გამოს-

წია უჯრას, გადმოუსვა ხელი, ჩაყარა ფული და უთხრა: — „აი, შვილო, გახსოვდეს ჩემი სწავლა: რაც შენი საქმე არ იყოს და რასაც ვერ შეწვდებოდე, — ნუ შაეწვდებიო“. დაღონდა ეს საცოდავი, გულმა ფრიალი დაუწყო და სიმწარისაგან ველარა გაიგო რა. მოაგონდა ცოლ-შვილი და გადმოჰყარა ცხარე ცრემლები, რომლების კვალი დააჩნდა ლოყებზე, თითქოს მდუღარე წყალი ჩამოუსხამთო. თუმცა ყველა ეს ნახა სოლომონმა, მაგრამ სრულებითაც არ შეჰბრალდა. უბრძანა: წადიო. მაგრამ სად წავიდეს, როდესაც საგზაოთ ერთი გროშიც არა აქვს?! შემდგომ ბევრის ფიქრისა მოახსენა: „ბატონო, ერთს წელიწადსაც კიდევ მიმსახურეთ შენს სადღეგრძელოთო“. — ,,კარგი, შვილო, შენი კარგი სამსახურისათვის ძრიელ მიყვარხარო; ამასთანავე აწუგეშა კიდეც: შენის ერთგულის და დაუზარებელის სიამოვნებისათვის ღმერთი არ დაგკარგამს; თუ შენი ფული ჩემთან რჩება, ეს იმიტომ, რომ სწავლობ რასმეო. საცხოვრებლის და ფულის ჯიბეში წყობას, თავში რომ ეწყოს — ისა სჯობია: ჯიბიდან ან დაიკარგება, ან მოჰპარავს ვინმე, და ან ძალით წაართმევენ, ხოლო თავიდან ვერსად ვერ დაჰკარგამს, არამედ სიკვდილამდის დარჩება პატრონთან და, როდესაც დასჭირდება, მოიხმარსო. ამ სიტყვების შემდგომ უბრძანა: ,,რას ითხოვ ამ მესამე წელიწადსო?‘‘ რაკი ამ საწყალმა კაცმა გაიგონა ტკბილი ლაპარაკი, ქება და სამსახურის მოწონება, იფიქრა: რაც უნდა ვთხოვო, მომცემსო და მოახსენა: „ოცდა ათი თუმანი მიბოძეთ, შენი ჭირიმე, წელიწადშიო“. — „კარგი, შვილო, ოცდაათ თუმანს მოგცემ, წელიწადს რომ გაათავებ — დაგითვლი შენს ჯამაგირს, თუნდა ფული წაიღე და თუნდა ერთს სიტყვას გასწავლი

და ჩემი ფული მევე დამრჩესო“. მორიგდნენ ესრეთის პირობით.

დადგა მესამე წელიწადი და დაიწყო სამსახური. რასაკვირველია, როგორც ჯამაგირი მოიმატა, ისრე ყოველს საქმეზე ბეჯითია, არც დღე ჰზოგავს თავის თავს და არც ღამე ისვენებს, მის თვალებს ძილი არ ეკარება; რა საქმესაც ხვალისთვის უბრძანებს და დაავალებს გაკეთებას, ის იმას გათენებამდის დასრულებული და გათავებული აქვს. სოლომონ ბრძენსაც მოსწონს მისი სამსახური და აქებს ყოველთვის. სრულდება წელიწადი და უხარიან ამ საცოდავ ფასოს; ფიქრობს: ოცდა ათ თუმანს მივიტან ჩემს სახლში და გავახარებ ჩემს საცოდავს ცოლშვილსო. გავიდა წელიწადი, გამოსთხოვა ფული, სოლომანმაც დაუყოვნებლივ ახადა პატარა ყუთსა, ამოკრიფა ახალ-ახალი ოქროსა და ვერცხლის მანეთები, დაუთვალა სამასი მანეთი, დაუწყო სტოლზე და უბრძანა: — „აი, შვილო, შენი ჯამაგირი, შენც დათვალე, ხომ არა აკლია რაო“ ღ იმასაც დაათვლევინა. სიხარულისაგან ხელები უკანკალებს, გული უფაცფაცებს, თვალები უჭრელდება ოქროსა და ვერცხლის ბჰყვრიალა მანეთების ყურებით... დათვლა რომ გაათავა ღ დააწყო სტოლზე, კიდევ უბრძანა: „თუნდა აკრიფე და წაიღე, თუნდა ერთს სიტყვასაც გასწავლი და ეგ ფული მე დამრჩესო“. ამ საწყალ კაცს ცეცხლი წამოსდის თვალებიდან, უნდა აკრიფოს ღ ვერც გაუბედნია: ფულიც უნდა ღ სწავლაც!... ფიქრობს, ყოყმანობს, არის ერთს გაჭირვებაში... უბრძანა სოლომონმა: „რაღას ფიქრობ? თუნდა ფული აკრიფე და წადი, თუნდა ერთს სიტყვას გასწავლიო.“ დახედე ამ საწყალ კაცს, ფულს ისევ სწავლა ირჩია!... მოახსენა: მასწავლეჰ. ახადა ყუთსა, გადაუსვა მკლავი, ჩაყარა ფუ-

ლები და უთხრა: — „აი, შვილო, ჩემი სწავლა გახსომდეს, რომელსაც ეხლა გეტყვი: რაც შენი თვალით არა ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო." გაიგონა თუ არა, მოსწყდა წელი, დალონდა ეს საცოდავი... ცოლ-შვილისაგან დადებული ვალაც გაუვიდა, მოჯამაგირეთ დადგომასაც ველარ გაჰბედავს, რადგანაც მის ცოლ-შვილს მკვდარი ეგონებათ და შეწუხდებიან ისრეც სიღარიბისაგან შეწუხებულნი. დაუკრა თავი და გამოსთხოვა ლოცვა-კურთხევა. სოლომონმაც დალოცა შემდეგი სიტყვებით: „წადი, შვილო, უფალი გიძღოდეს შენ გზათა ზედა ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა!" ამ დალოცვის შემდგომ მოეხვია მუხლებზე, აკოცა და თვალ ცრემლიანი გამოვიდა და გამოემგზავრა დიდის მწუხარებით, დარდით და ბოროტებით სავსე. თუმცა ამ მეტის-მეტათ მდიდარმა მეფემ, რომელზედაც მდიდარი არც ყოფილა, არც არის და არც იქნება, ეს ყოველი მისი შეწუხება ნახა, მაგრამ სრულებითაც არ შეებრალა, ერთი აბაზიც არ აჩუქა, რომ გზაში პური ეყიდნა!... რა უნდა იფიქროს კაცმა ამისთანა შეუბრალებლობისთვის? უეჭველია ის, რომ სოლომონ ბრძენმა იცოდა, სწავლა უნაყოფოთ არ დარჩება, როგორც ნათქვამია: „სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდებაო."

იმგზავრა ამ საწყალმა, ნამოჯამაგირალმა ყმაწვილმა კაცმა ფოსომ რამდენიმე ხანი; შევიდა ერთ ქალაქში, სადაც ხემწიფეთ იყო „ადო", რომელსაც ჰყვანდა ცოლათ ბაყაყი. დღისით ბაყაყი იყო, ღამით ქალი, სახელათ „ლალო". იმისთანა მშვენიერი იყო, რომ, როდესაც გაიხდიდა და გამოვიდოდა ბაყაყის ტყავიდან, მაშინ იმისთანა სინათლე და ბრწყინვალება მზესაც არა ჰქონდა! თურმე იმისთვის ყოფილა დღისით ბაყაყი რომ,

თუ ჩაუცმელი დარჩებოდა და კარში გამოვიდოდა,—მზის სინათლე აღარ იმოქმედებდა, დაბნელდებოდა მისი ბრწყინვალებისაგან და მისი შემხედველნი დაბრმავდებოდნენ! თურმე ესრეთი თვისება ჰქონია მინიჭებული მანამდის, ვიდრემდის მის ქალობას გაიგებდა ვინმე და მის ქებას იტყოდა. ამისათვის ყოველ უცხო კაცს, როდესაც მოახელებდნენ ქალაქში, დაიჭერდნენ, წაიყვანდნენ, აჩვენებდნენ ბაყაყს და ჰკითხავდენ: ეს რა არისო? რასაკვირველია, მნახველები იტყოდნენ—ბაყაყი არისო. ესრეთს პასუხზე მოსჭრიდნენ თავს და კაცის თავებით შემოვლებულს დიდს და მაღალს გალავანს მიუმატებდნენ. სხვათა შორის ამ ჩვენგან ცნობილ სოლომონ ბრძენთან ნამყოფ ყმაწვილს კაცს ფასოსაც შეხვდა ეს ბედი. დაიჭირეს, შეიყვანეს დიდს და მშვენივრათ მორთულ დარბაზში, რომელიც სოლომონ ბრძენის დარბაზს ძრიელ სჯობდა, დააყენეს ბაყაყის პირდაპირ და ჰკითხეს: ეს რა არისო? ყმაწვილი კაცი შეჰყურებს განცვიფრებით, ჰხედამს, რომ დაჩამჩამებული, გალეშილი და გაბერილი ბაყაყია. ბაყაყიც შეჰყურებს დაღონებულის თვალებით. იფიქრა კარგა ხანი და, ის არის, უნდა წამოიძახოს, რომ ბაყაყიაო, მაგრამ, დახე ბედს, მოაგონდა სოლომონ ბრძენის ნასწავლი სიტყვა: კაცს, რაც ესიამოვნებოდეს, ის უთხარიო. იფიქრა: ეს ბაყაყი, თუ კარგი რამ არ იყოს, ესრეთს დიდ და მშვენივრათ მორთულ ხალებით, ორხოებით და ოქროს ქსოვილით დაფენილ დარბაზში არ იჯდებოდაო, გარდა ამისა, დგას ოქროს სტოლი თვალ-მარგალიტით შეჭედილი, სტოლზე დგას დიდი, ფას დაუდებელი. ოქროს სინი და ზედ ზის ეს ბაყაყი!... ჰკითხეს კიდენ: რატომ არას ამბობო? ამ კაცმა მოახსენა: „მე მინდა სიტყვის თქმა, ვიგონებ, ვფიქრობ, მაგრამ ვერ მო-

მიგონია იმისთანა სიტყვა, რომ მაგისი ქება და დიდება გამოვხატოო". ეს რომ თქვა, ჩაფუფქულმა ჲ დაღონებულმა ბაყაყმა ყურები ცქვიტა და ზეზე წამოიწია. ფაპო მიხვდა, რომ ამ სიტყვაზე ბაყაყმა მეტათ გაიხარა; მერე დაიწყო და მოახსენა იქ მდგომს მრავალ ხალხს, ნაზირ-ვეზირთა და თვით ხემწიფესაც, ქმარს, ბაყაყისას: — „დიდებულო ხემწიფეო! მართალია, დიდი ჲ ძლიერი ხემწიფე ბრძანდებით, მაგრამ თქვენ რომ მშვენიერი, სიტყვით გამოუთქმელი, კალმით აღუწერელი, ფას დაუდებელი, ერთი სიტყვით, ხმელეთის ფასი და მზის დარი არსება გყავთ, მით უფრო ბედნიერი ბრძანდებით! ბევრს, დიდებულო ხემწიფეო, ხემწიფეებს და მეფეებს ენატრებათ მაგისთანა მშვენიერი არსება, მაგრამ ღმერთს მხოლოდ მარტო თქვენ უკურთხებიხართ და თქვენზე დაუბღერტნია თვისი უხვი მოწყალების კალთაო". ეს სიტყვები რომ გაიგონა ბაყაყმა, დიდათ გაიხარა, მეტის-მეტის სიხარულისაგან ხან აქეთ გადახტა და ხან იქით, ამ თავის მაქებელ ყმაწვილ კაცს ხან მხარზე შეახტა და ხან გულზე მიეკრა. ხემწიფემაც მხიარულების სახე მიიღო და ყოველთა იქ მყოფთ ხალხთაც დიდათ გაიხარეს; ერთის სიტვით, პირველათ ამ ყმაწვილი კაცისაგან გაიგონეს მისი ქება. რასაკვირველია, ამ კაცმაც რაკი შეიტყო, რომ მისი, ქება ძრიელ ისიამოვნეს, უფრო მოუმატა (აბა მიბრძანეთ, სამს წელიწადს სოლომან ბრძენთან ნამყოფი კაცი რას არ მოიგონებდა?), აღარა და აღარ გაწყვიტა მისი ქება, ხოლო ბაყაყმა, ხემწიფემ და ხალხმა — მხმიარულება და სიხარული. მოატანა საღამომ, ჩავიდა მზე და მოეფინა სიბნელე ყოველს ქვეყანას. ამ ბაყაყმა გაიხადა ბაყაყის ტყავი და გამოვიდა მშვენიერი, ქვეყნის მანათობელი ქალი,

გადაეხვია ამ თავის მაქებელ ყმაწვილ კაცს ფასოს და დაუწყო კოცნა. ეუბნება: „შენ-კი გენაცვალე, შვილო, რომ ჩემს სიცოცხლეში მხოლოთ შენგან გავიგონეთ მე-ცა და ჩემმა ქმარმაც ჩემი ქება! ეტყობა ღმერთს ჰყვა-რებიხარ და შენთვის სიკეთე სდომებია, თორემ, აბა შეჰხედე ამ უშველებელ გალავანს, ვინ დათვლის — რამ-დენი კაცის თავი ძევს ამ გალავანზე, თუ შენც გეთ-ქვა ბაყაყიო, შენც მოგჭრიდნენ თავს და, მიუთითა, აგერ სადღა აკლია გალავანის დასრულებას ერთი თავი, მაგრამ, მადლობა ღმერთს, რომ შენც გადაგარჩინა სიკვ-დილს და მეც მომარჩინა ამდენ ჭირს და მწუხარებასო!" დასხდნენ იმ ღამეს, ჩაისვეს ფასო ხემწიფემ და მისმა ცოლმა შუაში და მიეცნენ ერთ გამოუთქმელ სიხა-რულს. ხან ერთი ეხვევა და ჰკოცნის, ხან მეორე. გა-თენდა მშვიდობის დილა. სთხოვენ, რომ მათთან დარჩეს და იყოს იმათი შვილი და მემკვიდრე, მაგრამ ფასომ უა-რი განაცხადა და მოახსენა: „მე, ბატონო, ერთი საწყა-ლი კაცი გახლავარ, მყავს საცოდავი, სიღარიბისაგან დამწვარ-დადაგული ცოლ-შვილი, სამი წელიწადი გავი-და მე იმათი აღარა გამიგია რა, მინდა ჩქარა წავიდე და ვნახო ისინი, მე უიმათოთ ცხოვრება და სიცოცლე არ შემიძლია, კარგნი არიან თუ არა, რაც ღმერთმა მომ-ცა, უნდა დავჯერდეო."

რადგანაც ფასომ თავისი ღარიბი სახლ-კარი და საცოდავი ცოლშვილი არჩია ხელმწიფის შვილობას და მემკვიდრეობას, — რასაკვირველია, მათაც მოიწონეს მისი საქციელი და ამისათვის მოარეკინეს: ასი აქლემი, ასი ცხენი და ასი ჯორი, მათზედ აუკიდეს ოქრო, ვერცხლი და მრავალი სიმდიდრე და ძვირფასი ნივთეული; მისცეს კაცები მოსამსახურეები, მწერლები, სახლის მმართველი

და სრულიად მრთელი სამწერლო კანცელარია; თითონაც შემოსეს სამეფო ტანისამოსით, ცოლ-შვილისთვისაც შეაკერინეს ოქროს ქსოვილით მორთული ტანთ საცმელი, რაც კი საჭირო იყო თავით-ფეხთამდის, შესვეს მშვენიერს, ძვირფასის თვალითა და მარგალიტით შეჭედილი უნაგირით შეკმაზულ ცხენზე და გამოგზავნეს; დიდის სიხარულით, სიყვარულით და ხვევნა-კოცნით გამოისტუმრეს და უთხრეს: „შვილო, მიდი, ნახე შენი ცოლ-შვილი, მიუტანე საცხოვრებელი, გაახარე და ჩვენც ნუ დაგვივიწყებ! თუ გაგიჭირდეს რამე, შეგვატყობინე და ჩვენ მზათ ვიქნებით შენი შემწეობისათვისო". გახარებული ფასო გამოემგზავრა დიდის დიდებით. შეიქმნა მდიდარი, მრავალი ცხოვრების პატრონი და მებატონე. იარეს რამდენიმე დღე, საქონელი შეწუხდა ტარებისაგან, რადგანაც ყველას ძრიელ მძიმეთ ეკიდათ ტვირთი; ჩამოხადეს ერთს მშვენიერს და სასიამოვნო ტყის პირას, რომელსაც მარჯვენა მხარეს ედვა ათას ნაირი ყვავილებით და სურნელი ბალახებით შემკობილი ტურფა მინდორი, აქ დააწყვეს საპალნეები, საქონელი საძოვარზე გაუშვეს, მოსამსახურეები დასხდნენ ხეთა ძირში და დარაჯობდნენ საცხოვრებელს და საქონელს, ხოლო თითონ ფასომ, ამ ახალმა მებატონემ, გააშლევინა ოქროს ქსოვილი, დაიდვა თავით ძვირფასი მუთაქა და წამოწვა ზედ,—ლოცავდა მასწავლებელს. შემდგომ მოითხოვა სადილი და რა უნდა სულსა და გულსა, რომ იმას არ მოართვეს! როდესაც ისადილა წესიერათ, დაინახა, რომ შორის გზიდან მოდის ერთი სოვდაგარი, დიდათ მდიდარი და მოაქვს მას აუარებელი სიმდიდრე. ეს სოვდაგარიც მის სიახლოვეს ჩამოჯდა. როდესაც ყველა დააბინავა ამ სოვდაგარმა, შეისვენა და ისადილა. შემდგომ სადილისა

ადგა და დაიწყო სეირნობა. ამ სიარულში მივიდა იმ ყმაწვილ კაცთან, ფასოსთან, დაუკრა თავი, მოიკითხა და დაიწყეს საუბარი იმ ხეს ქვეშ, სადაც ფასო იყო ჩამომხდარი. შემდგომ მრავლის სხვა და სხვა ამბავის საუბრისა, შემოჯდა დაბლა ხის ტოტზე ერთი პატარა მშვენიერი, ათას ფერის ბუმბულით აყვავებული ჩიტი. ეს ფრინველი იქნევს ბოლოს და ჭიკჭიკობს მეტათ სასიამოვნოთ. ბევრი ხანი უგდეს ყური და ისიამოვნეს. მოეწონა ამ სოვდაგარს იმ ჩიტის გალობა-ჭიკჭიკი და სიმშვენიერე. უთხრა ფასოს: „ძრიელ კარგი იქნება, რომ ეს ჩიტი დავიჭიროთო." ფასომ უპასუხა: „რასაკვირველია კარგი იქნება, მაგრამ როგორ დავიჭიროთო?" ეს ტურფა და მშვენიერათ შემკობილი და აყვავებული ფრინველიც ზის უძრავათ ერთ ალაგას, თითქოს დაბმულიაო, და შეექცევა თავისთვის უდარდელათ. სოვდაგარმა უთხრა ყმაწვილ კაცს: „მოდი, დაიჭირე ეს ჩიტი! თუ დაიჭერ, აი, ხომ ხედამ ამ ჩემს აურაცხელ სიმდიდრეს, ხალხს, ყმას, მოსამსახურეს და ჩემის ცხოვრების მმართველებს, ამას ყველას შენ მოგცემ, თუ ვერ დაიჭერ, — ეგ შენი ცხოვრება, რომელიც ჩემი ცხოვრების მესამედიც არ არის, მე მომეციო". დაფიქრდა ფასო, დიდი ხანი მიეცა ფიქრსა, ის იყო უნდა წამოეძახნა: „დავიჭეროო", მაგრამ დახე ბედს, მოაგონდა სოლომონ ბრძენისაგან ნასწავლი სიტყვა: „რასაც ვერ შესწვდებოდე, ნუ შაეწვდებიო". ამის მოგონება და უარის თქმა ერთი იყო, ვერ დავიჭეროო. რაკი ფასომ უარი გამოაცხადა იმ ჩიტის დაჭერაზე, მერე უთხრა: „მაშ, თუ შენ ვერ დაიჭერ, მე დავიჭერ და შენი საცხოვრებელი მე მომეცი, თუ ვერ დავიჭირო, ჩემი საცხოვრებელი შენი იყოსო". ამ სიტყვაზე კიდევ დაფიქრდა ფასო და თავის გუნებაში თქვა: სო-

ლომონ ბრძენმა მიბრძანა, შენ ნუ შაეწვდებიო ¢ ის არ უბრძანებია, თუ სხვა ეწვდებოდეს, შენ დაუშალეო. მოიფიქრა ესრეთ და თქვა: ალბათ ჩემკენ არის ღმერთიო, სიტყისაებრ სოლომანისა: „ღმერთი გიძღოდეს შენ გზათა ზედაო." და, თუ დაიჭირა და ჩამომართვა საცხოვრებელი, გავბრუნდები ჩემ მამობილ-დედობილთან და იმდენს კიდენ მომცემენ, რომ ჩემი ცოლ-შვილი გავახაროო". სოვდაგარს ნება მისცა იმ სიტყვაზე, რაც პირობა დადვეს. ეს პატარა მშვენიერი ფრინველი იქვე ხის უძრავათ და ჭიკჭიკობს. დაუძახა სოვდაგარმა თავის მმართველებს და მწერლებს ¢ ფასომ თავისებს. დასხეს და დააწერინეს პირობის წერილი, დაამტკიცეს ხელის მოწერითა და ბეჭდების დასმით. გაათავეს რა ეს მტკიცე და საუკუნოთ შეუშლელი პირობა, ადგა სოვდაგარი და მიეპარა ჩიტს. როგორც რომ უნდა სტაცოს ხელი და დაიჭიროს, იმ დროს ეს ჩიტი შეხტა და ცოტა ზემოთა ტოტზე შემოჯდა; სოვდაგარი ავიდა ცოტა მაღლა და ეპარება. ჩიტმა შეატყო დაჭერას მიპირობსო, აფრინდა იქიდან და ზემოთ ტოტზე შემოჯდა. ესრე ამ დიდს და უშველებელ ხეზე რამდენჯერმე გამოიცვალა ჩიტმა ალაგი. სოვდაგარიც თან მისდევს. როდესაც ავიდა ხის კენწეროში და ჩიტს აღარა ჰქონდა გადასანაცვლებელი ტოტი,—დააფთხრიალა ათას ნაირათ აყვავებული და მშვენივრათ შემკობილი ფრთები და გაფრინდა, ვინ იცის საითკენ! სოვდაგარი ჩამოვიდა ხიდან წელმოწყვეტილი. ფასომ ჩაიბარა, მიუმატა თავის საცხოვრებელს და სიმდიდრეს სოვდაგარის საცხოვრებელი და გამემგზავრა თავის სახლისაკენ სიხარულით. ის ლოცავდა თავის მასწავლებელს.

იმგზავრა ამ ჩვენმა მდიდარმა ყმაწვილმა კაცმა ფასომ რამდენსამე კვირას დიდის დიდებით დ მიუახლოვდა თავის სოფელს, თავის მიწა-წყალს. უხარიან ჯერ სიმდიდრე და მერმე ცოლ-შვილის ნახვა. ვინ იცის, რამდენ რასმე ფიქრობს, უფრო, რასაკვირველია, უმთავრესი ფიქრი ის იქნება, როგორ გამოუცხადოს პირველ მისვლაზე თავის ღარიბ და ღატაკ ცოლ-შვილს. დარჩა ორი დღის სავალი გზა მის სოფლამდის. აქ ერთი თავისი მახლობელი მეზობელი, რომლისათვისაც ბევრჯელ მჭადები და კუტმატები უთხოვია, მაგრამ, რადგანაც სცოდნია მისი სიღარიბე, არც კი უსესხებია. ვინ არ იცის, რომ ეს შეხვედრილი კაცი ვეღარ იცნობდა თავის ღარიბ მეზობელს ფასოს. ამან კი რა წამს დაინახა, მაშინვე გულმა ფრიალი დაუწყო, გაიხარა და მეტის-მეტი სიხარულისაგან ცეცხლსავით აენთო, თვალებიდან სიხარულის ცრემლებმა დაუწყეს დენა და გულ ამომჯდარმა დაუძახა: „ტეტე, აბა აქეთ მობრუნდი!“ ტეტე შეკრთა, შეშინდა, იფიქრა: ეს უსათუოთ სადაურიმე მეფე იქნება, მაგრამ ჩემი სახელი რა იცის დ რათ მეძახისო!... გულში ათას ნაირმა ელდამ გაუარა და თავში ათას ნაირი ფიქრი წარმოუდგა. ხან ფიქრობს: დანაშაული ხომ არა მაქვს რა დ იმისთვის არ მეძახის? ხან—ტყუილათ ხომ არავინ მიჩივლა და არ დამაბეზღაო? თუმცა უნდა მიახლოვება, მაგრამ ვერ გაუბედნია მისვლა! რამდენისამე დაძახების შემდგომ მიუახლოვდა, მდაბლათ თავი დაუკრა და ხმა-კი ვერ ამოუღია შიშისაგან, თითქმის ენა ჩავარდა. ფასომ, რაკი შეამჩნია ტეტეს ესრეთი შეკრთომა, მაშინვე მივიდა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. ტეტე სრულებით ვერ მიხვდა, თუ ეს იმისი ღარიბი მეზობელი ფასო არის. მერე უთხრა: „კაცო, შენ ჩვენი ტეტე არა

ხარ?" ტეტე ფიქრობს: მე ვინა და ეს ვინა, მე ჩემ დღე-
ში და ჩემს სიცოცხლეში თვალით არ მინახავს ამისთანა
კაცი და ეს კი თავისას მეძახის!... არის ერთს ფიქრში!
კიდევ ჰკითხა: „მართლა ვერ მიცანიო?" ტეტეს ენიშნება
თვალები, ლაპარაკში, მაგრამ რას მოიფიქრებს, თუ ეს
დიდის დიდებით მოგზაური და ოქროს ქსოვილით, მეფის
მსგავსათ, ჩაცმული და დახურული მისი ღარიბი და სა-
ცოდავი მეზობელი ფასო არის!... ვერა და ვერ მოიფიქრა
და ვერ მოიგონა ტეტემ მისი ვინაობა. მერე კანკალით
და ნერწყვის პირში სიმშრალით მოახსენა: „ვერა, ბატო-
ნო, ვერ გიცნობ, თუმცა კი გამზგავსებ ვისმე ჩემგან
როდისმე ნახულს, მაგრამ ვერ წარმომიდგენია, ვინა
ბრძანდებითო." — „კაცო, უთხრა ფასომ, მაშ ვერ მიცნობ?
სამ წელიწადზე მეტი ხომ არ არის, რაც სახლიდან და
ჩვენი სოფლიდან წამოვედი?" გაიგონა თუ არა ტეტემ,
გაჰკვირდა, განცვიფრდა, სიტყვა ველარ მოუხერხებია რა,
რომ თქვას რამე! მერე როდის ამოილუღლუღა: „ფასო
შენა ხარ?!" — „სწორეთ მე ვარ" — უპასუხა ფასომ. „ვისია ეს
ამოდენა საცხოვრებელი? ჰკითხა ტეტემ ფასოს. — „ჩემიაო"
— უპასუხა. — „საღ და როგორ იშოვნე?" ამ კითხვაზე ფასომ
პასუხი აღარა მისცა რა. უბრძანა ბიჭებს სადილის მო-
ტანა, დასხდნენ სამი წლის უნახავი მეზობლები და
ისეთი დროება გაატარეს, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა.
სადილობის დროს ფასომ თავის თავის გარდასავალი დ სიმ-
დიდრის შოვნა ილაპარაკა. სადილის შემდგომ ჰკითხა
ტეტეს: „ჩემი საცოდავი ცოლშვილი როგორ-ღა არიანო?"
ტეტემ უპასუხა: „შენი ცოლშვილისას ნუღარას მკითხამ
და ვერც გაგიბედამ თქმას!" — „კაცო, რატომ?" — „ეჰ!
რა სათქმელია მაინც?" — „რაც არის, მითხარი." — „შენი
ცოლშვილი, შენი ჭირიმე, სადღა არიან? ყველანი,

შენ რომ თავი დაანებე, იმავე წელიწადს დაიხოცნენ; შენი ნაქოხარიც აღარ არის, იმით თუ შეატყობ, რომ აქ როდისმე ქოხი მდგარა, რომ წვიმისაგან გუბე დგება და ბაყაყებით იმსებიან, რომელთა ყიყინისაგან მოსვენება არა გვაქვს. რამდენჯერმე მოვინდომეთ მისი ქვითა და მიწით ამოვსება, მაგრამ ვერ მოვიცალეთ". გაიგონა თუ არა ფასომ ეს ამბავი, შემოიკრა და შემოიკრა თავში, თავ-პირი დაისისხლიანა, ძრიელ ბევრი და მწარეთ იტირა. მმართველებმა და ხალხმა, მისმა მოსამსახურეებმა, მძლივ-ძლიობით დააშოშმანეს და ნუგეში მისცეს. შემდგომ ამისა იფიქრა ფასომ: რაღათ მინდა, რომ წავიდე ჩემს სოფელში ქვეყნის სამასხაროთ? ამას არ მეტყვიან: სარჩო და სიმდიდრე რაღა ოხრათ გინდაო, ცოლშვილი-კი შიმშილით გაწყვიტეო!... ამის მოფიქრება და უკან დაბრუნება ერთი იყო.

ფასომ, უკანვე გამობრუნებულმა, იმგზავრა რამდენსამე დღეს. საბრალოს თვალზე ცრემლი არ გამშრალა, აღარცა ჭამს და აღარცა სვამს,—სიცოცხლეში წილი აღარ უძევს!... ესრეთის მწუხარებით მიაწია იმ ალაგს, სადაც წინეთ სოვდაგარი, რომელსაც აუარებელი სიმდიდრე ჩამოაცალა, ნახა. აქ ჩამოხდა, გააშლევინა ოქროს ქსოვილი, დაიდვა თავით მუთაქა და წამოწვა, მწუხარებით სავსე. ფიქრობს: სად უნდა წავიდე და ამოდენა საცხოვრებელი სად და ვის უნდა მივუტანო? ამ ფიქრში რომ იყო, შეხედა იმ ხეს, რომელზედაც ჩიტი იჯდა და თქვა გუნებაში: სოლომონ ბრძენს რომ არ ესწავლებინა, „რასაც ვერ შესწვდებოდე ნუ შაეწვდებიო", ხომ დავიღუპებოდი? ამ დროს წარმოუდგა გონებაში მესამე ნასწავლი სიტყვა: „რაც შენა თვალით არა ნახო, სხვის ნათქვამს ნუ დაიჯერებო". ამის მოფიქრება

და სახლისაკენ გამობრუნება ერთი იყო. უბრძანა დატვირთვა საქონლისა. მსახურთა აღასრულეს ნაბრძანები და გამოემგზავრნენ. რადგანაც საქონელი ერთი კვირის შესვენებული იყო, იმგზავრეს ჩქარი სიარულით. ფასო ხან მწუხარეობს, ხან მოილხენს, გუნებაში ფიქრობს: იქნება ღმერთმა მომხედოს სოლომონ ბრძნის სიტყვა ამიცხადდეს და იმ კაცის სიტყვა სულ სიცრუვე გამოდგესო. იმგზავრეს ათიოდე დღე, ბოლოს მიუახლოვდნენ თავის სოფელს. სოფლის ნაპირიდან გაიყოლა ათიოდე კარგი, რჩეული კაცი და წავიდა სახლის და ცოლშვილის სანახავათ. შორიდანვე დაინახა თავისი საცოდავი ქოხი ისევ უძრავათა დგას, მივიდა და ჩამოხდა ქოხის წინ. მისმა ცოლმა, ათას ნაირათ დაკონკებული და დაჯღანებული კაბით, რომლის წინა კალთასაც ხან აქეთ მხარეს მოიფარებდა და ხან იქით, გამოიხედა კარებიდან. ფასომ დაინახა თუ არა თავისი ცოლი ესრეთს ყოფაში, თუმცა თვალები ცრემლებით აევსო, მაგრამ სიხარულისაგან ველარა გაიგო რა, გადმოხტა ცხენიდან, შავიდა შინ, მივარდა ცოლსა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა. . საბრალო დედაკაცმაც, თავზარ დაცემულმა, დაიწყო ხმა მაღლა წივილ-კივილი და უთხრა: „ვინა ხარ შე ღვთის პირისაგან წყეულო და შეჩვენებულო! სიღარიბე, შიმშილი და სიტიტვლე არ მეყოფა, რომ ახლა შენც გული არ გადმომიბრუნო და არ გამაუპატიურო?!... თუმცა მეტათ ღარიბი ვარ, მაგრამ ჩემს სინიდისს, პატიოსნებას და ქმრის ღალატს არ გავბედამ, თუნდ სულიც ამომდიოდესო!“ ესენი რომ გაიგონა, მოაშორა ხელი და უთხრა: „აბა, შენ გენაცვალოს ჩემი თავი, შემომხედე, თუმცა ღარიბული ტანისამოსი გამოვიცვალე და მეფური ჩავიცვი, მაგრამ

თვალები, ხმა და ლაპარაკი კი არ გამომიცვლია; ეგრეთვე, რასაკვირველია, სახეც შეცვლილი მექნება, სილარიბის დროს სხვა სახე მქონდა და ეხლა სხვა, მაგრამ ნუ თუ მართლა ვერ მიცნობ?!“ ცოლმა ხმაზე მიამგზავსა და თვალებში რომ შეჰხედა, იცნო და სიხარულისაგან გული წაუვიდა, მაგრამ ჩქარა მოაბრუნა და უთხრა: „შენ გენაცვალოს ჩემი თავი, რათ შეშინდი და შეჰკრთი? რატომ არ მოიფიქრე, რომ ეხლა, სამი წლის შემდგომ, მოსვლის დრო მქონდა?“ როდესაც ცოლმა იცნო ქმარი და და დარწმუნდა, რომ ის არის, გარდაეხვივნენ ერთმანეთს და დაუწყეს კოცნა. გაჰკვირდნენ მიყოლილი საპატიო კაცები და ამბობენ გუნებაში: „რას ვხედავთ ამ გასაოცებელს საქმეს, ნუ თუ ეს საცოდავი დედაკაცი არის ამისი ცოლი?!“ როდესაც მოიკლეს ერთმანეთის სურვილი, ფასო გამოვიდა კარში და უბრძანა გადმოღება ხურჯინებისა ცხენებიდან. მაშინვე მშვენიერი და ძვირფასათ შემკობილი ტანისამოსი შეუტანა ცოლსა და ჩააცვა. თუმცა ტანთ საცმელი კარგი და ძვირფასი არის, მაგრამ სილარიბისაგან მეტათ ფერმიხდილია ზილფა, ხოლო შავი მაყვილივით მისი თვალები და წამწამ-წარბები აშვენებენ მის მაღალს ტანს და წვრილს წელს. მეტადრე—როდესაც ჩაიცვა ახალი ტანისამოსი, სრულებით გამოცვალა. ეხლა ველარავინ იცნობს, თუ ის ღარიბი ზილფა არის! შემდგომ შეხედეს ერთმანეთს და სიხარულისა და სიყვარულისაგან მოაყოლეს ქვითინი... თუმცა უხარიანთ, ესაუბრებიან ერთმანეთს, მაგრამ ტირილი ვერ შეუწყვეტნიათ... როგორც იყო, დაიმშვიდეს გული. ფასომ ჰკითხა ცოლსა თავისი ორი ვაჟი და ერთი ქალი. უპასუხა ცოლმა: „ვაჟები სამუშაოთ არიან დღეში თითო მჭადზე და ქალი მეზობელს მატყლს უწეწამსო“. ჰკითხა კიდენ:

—„იმას რაღას აძლევენო?“—„იმას ფასს არ აძლევენ— უპასუხა ზილფამ, მარტო უნდა მჭადი აჭამონ. საღამოზე შვილები ორ მჭადს მომიტანენ, დღევანდელს ნამუშავარს, იმათ თითონ კი აღარა ემდომებათ რა, ერთი მჭადი ამაღამ მე მეყოფა და მეორე მჭადი ხვალ, მინამდის კიდენ მომიტანენ. ესრეთ ამ მწუხარებაში და ვაი-ვაგლახში ვატარებთ ჩვენს სიცოცხლეს, მაგრამ რაკი შენ დაგინახე, ახლა თუნდა ამაზე უარესი ღარიბი ვიყო. მადლობა ღმერთს, რომ თუმცა ღარიბები ვართ, მაგრამ ვცხოვრობთ ჯანის სიმრთელით, ღმერთმაც ხელი შეგვიწყო. თუნდა მშივრებიც ვიყვნეთ და ტიტვლებიც, თუნდა გვციოდეს და გვცხელოდეს, ღვთის შეწევნით, არა გვეშავება რა!“ ისაუბრეს რა კარგა ხანი, ფასომ გაგზავნა რამდენიმე მიყოლილი კაცი დ̃ მოატანინა სახლთან ყოველი თვისი ნაშოვნი საცხოვრებელი. რადგანაც თავის სახლთან არ იყო იმოდენა ალაგი, რომ მოთავსებულიყო იმისი ნაშოვარი, იქირავა სხვისი ეზოები და იქ დააწყო, ვიდრემდის ალაგს უშოვნიდა. საღამოზე მოუვიდნენ შვილები, მაგრამ შიშისაგან ხმა ვერ ამოუღიათ. იმ საცოდავებს ჰგონიათ: მტერი დაგვცემია და ისრეც სიღარიბისაგან შეწუხებულები უნდა აგვიკლონ და დაგვხოცონო! გამოვიდა იმათი დედა, მაგრამ რას იცნობენ ოქრო-ქსოვილით მორთულს!... ჯერ პატარა ქალს ახარა: „შვილო, შენ გენაცვალე, მამა შენი მოვიდა და ეს ამოდენა საცხოვრებელი მოგვიტანაო. მერე შვილებს გადაეხვია და დაუწყო კოცნა: „მოდით შვილებო, ნახეთ მამა თქვენიო“. მაგრამ საცოდავებს არა სჯერათ! გამოვიდა მამა, დაკოცნა ყველანი, შეიყვანა სახლში, გამოუცვალა ტანთ საცმელი და მიეცნენ ყველანი ერთს გამოუთქმელს სიხარულს.

# სიბრძნე სოლომონისა.

(ზღაპარი, ქიზიყში გაგონილი და ჩაწერილი მღვდ. ნიკოლოზ მაღალდაძისაგან)

აღებ-მიცემის ხალხი, რომელსაც კი გამდიდრება და ცხოვრების შეძენა უნდა, ბევრსა შრომობს: ერთი ქალაქიდან მიდის მეორე ქალაქში, ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში და ასე შოულობს სიმდიდრეს. სოლომონ ბრძენის დროს ერთმა დიდათ მდიდარმა სოვდაგარმა „პაკომ" გაიარა ქალაქ იერუსალიმში და ღამეც იქ დარჩა. მეორე დილით, როდესაც დააპირა გამგზავრება, უბრძანა თავის ნოქარს: „წადი კვერცხები იყიდე, ვისაუზმოთ და წავიდეთ ჩვენს გზაზედო". ნოქარმა აასრულა ბატონის ბრძანება და რადგანაც იმ ათი კვერცხისათვის ცეცხლს ვერ აანთებდნენ, სთხოვა გამყიდველს მოეხარშნა. გამყიდველმა უთხრა: „მოხარშული კვერცხებიც მაქვს, ეს არის ეხლა გადმოვიღე, გასასყიდათ მინდოდა და კარგია თქვენ მოხვედით, ისევ ცხელებია და მიირთვითო". მყიდველმა საჩქაროთ ჩააწყო პატარა კალათაში და წაიღო ბატონთან მოხარშული კვერცხები. ისაუზმეს, აჰკიდეს ჯორაქლემებს საცხოვრებელი და გაემგზავრნენ. იმგზავრეს ერთი კვირა და, რასაკვირველია, ამ დროების განმავლობაში კარგა გზას გაივლიდნენ. როდესაც ჩამოხდნენ, ნახა მოურავმა, კვერცხების მყიდველმა, რომ გამყიდველი ქვრივი დედაკაცის კვერცხების ფასი ორი შაური თან გამოჰყოლოდა, შეწუხდა მეტათ დ მოახსენა ბატონს; ესეც მეტათ შეწუხდა, უკან გაბრუნება შეუძლებელი-და იყო, გაგზავნა უფრო არ შეიძლებოდა, რადგანაც დედაკაცის არც სა-

ხელი იცოდნენ, არც გვარი, არც ქუჩა და არც სახლი. კარგა ხინი იფიქრეს და მეტად სწუხდნენ, შემდგომ უბრძანა პაკომ თავის მოურავს: „რაც მოგვივიდა, მოგვივიდა, ეგ ორი შაური ცალკე შეინახე, სასარგებლოთ და რაც ღმერთმა მოგვცეს და მოიგოს მაგ ორმა შაურმა, როდესაც გამოვიაროთ, მაშინ მოვუტანოთო“. გარდაწყვიტეს ესრეთ და გაემგზავრნენ, თუმცა ამ ორი შაურის გულისთვის ჯავრი არ გამოჰლევიათ.

შემდგომ მრავლისა და დიდი ხნის მგზავრობისა მივიდნენ ერთს მდიდარს ქალაქში და დაიწყეს ვაჭრობა. იმ გაყოლილ ორ შაურს ცალკე ასარგებლებენ. დარჩნენ რამდენიმე წელიწადი, ასრე რომ ის ორი შაური ას თუმნათ გადაიქცა. თუ კი ორმა შაურმა ასი თუმანი მოიგო, რასაკვირველია, იმ სოვდაგრის საცხოვრებელი ვინ იცის, რამდენი გახდებოდა! შეიძინეს რა მრავალი ცხოვრება და სიმდიდრე, მოისურვეს თავიანთ სახლში წამოსვლა. შეკრიბეს ყველაფერი, ფული და ნივთეული, რაც კი რამ ძვირფასი შეეძინათ და გამოემგზავრნენ. მოვიდნენ ქალაქ იერუსალიმში, სადაც კვერცხები იყიდეს. მყიდველი კვერცხებისა, მოურავი სოვდაგრისა, მივიდა იმ დედაკაცთან, რომლისაგანაც იყიდა კვერცხები და იცნა. დედაკაცს დავიწყებული ჰქონდა თავისი ორი შაური და მყიდველმა ძლივ-ძლიობით მოაგონა და უთხრა ბევრი ფიცით და დასაჯერი სიტყვებით, რომ ამაზე მეტი არ უსარგებლიაო. დედაკაცმა სიხარულით და დიდი მადლობით ჩამოართვა ათასი მანეთი. განშორდა რა მყიდველი, ჰკითხეს მეზობლებმა: „ეგ კაცი ვინ იყო და ფული რათ მოგიტანაო?“ დედაკაცმა უთხრა: „ამა და ამ დროს ორი შაურის კვერცხები მივყიდე და ფული თან გაჰყვა, ის ორი შაური უსარგებლებია და ეს ათასი მანეთი მოუგია,

ღმერთმა აღღეგრძელოს, ეხლა მომიტანაო!“ მეზობლებმა უთხრეს: „შე საწყალო, მაგაზე მეტი არ გერგებოდა?! აბა იანგარიშე იმ წლიდან, როდესაც შენ კვერცხები მიგიყიდნია, ის ათი კვერცხი ხომ ათს ქათამს გამოიყვანდა, ის ათი ქათამი — ოც-ოცს ჭუჭულას, თუნდა თხუთმეტ-თხუთმეტს, ახლა ესენი კიდევ ხუთმეტ-ხუთმეტს და ვინ იცის, რამდენი შედგებოდა, მგონი ასი თუმანი კი არა, ბევრის ბევრიც შედგებოდაო!“ ის დედაკაცი გაბრიყვდა, მივიდა სოვდაგართან დ უთხრა: „მეტი მერგებაო!“ შეჰფიცა, სოვდაგარმა, მეტი არ უსარგებლნიაო. დედაკაცი წავიდა და სოფლის უფროსთან უჩივლა, იმან უანგარიშა და რამდენიმე ასი ათასი თუმანი შეაყენა. სოვდაგარი არ დაჰყაბულდა, წავიდა და მაზრის უფროსთან უჩივლა. ამან უანგარიშა და სოფლის უფროსის ანგარიშზე უფრო მეტი შედგა. კიდევ არ დაჰყაბულდა და ვეზირთან იჩივლა. ამან უფრო მეტი შეაყენა, ერთი სიტყვით, ვისთანაც იჩივლა, ყველამ სოვდაგარი გაამტყუნა. ჩამოაცალეს ყოველი საცხოვრებელი და ჩააბარეს ქვრივ დედაკაცს, მაგრამ ერთი ამდენი კიდევ დაავალეს, რადგანაც ყველა მისი მონაგები იმ ათ ნაყიდ კვერცხში არ ეყო! ისრე თქვენი მტერი შეწუხდეს, როგორც ის სოვდაგარი შეწუხდა, დაიწყო ტირილი და თავში ცემა... აღარა აბადია რა, ერთი გროშიც აღარ აქვს, რომ ლუკმა პური იყიდოს და ჭამოს. იმ საცოდავს ვეღარა უფიქრებია რა. რა ქნას? სად წავიდეს? ვის მიმართოს? სად გადავარდეს? არის დიდ დარდსა და ბოროტში!... თავის საცხოვრებლის მმართველს ესესხა ფული, საიდანაც იმას მიღებული ჯამაგირი ჰქონდა. იმანაც ცოტა ასესხა, რადგანაც გარდახდის იმედი აღარსაითა ჰქონდა. ეხლა იმ საწყალს აღარა აბადია რა და იმის მოსამსახურეებს კი აქვთ... საქმე ისრე გა-

უხდა, რომ ახლა ის იმათ უნდა ემსახუროს, თორემ შიმშილით მოკვდება. იცემს თავში, ტირის და ფიქრობს თავის გუნებაში: მართალი ყოფილა ძველათ ნათქვამი ანდაზა: „ნუ მიჰყვები სიმართლესა, გამოგილევს სინათლესა“. ვინა ყოფილა ვაჭარი კაცი მართალი, რომ მე მოვიქეცი სიმართლით! იმ დედაკაცს ხომ აღარც კი ახსოვდა და რათ მოვუტანე ფული?! მაგრამ ღვთისა მეშინოდა და აი, რა მომივიდა! ვაჭარი კაცი თუ არ ატყუილებს ხალხს, უფრო თავის ნაცნობებს, მეგობრებს და ნათესავებს, რადგანაც ესენი დარწმუნებულნი არიან, რომ არ მოგვატყუილებსო, თუ ერთი ორათ არ ჰყიდის ყოველ სავაჭროს,—როგორ უნდა მოიგოს ფული?! მე ყოველს ამას მოშორებული ვიყავი და ამ სიმართლემ არა თუ სინათლე გამომილია, არამედ ჭკუაც და გონებაც დამიკარგა, მაგრამ, ეჰ, მადლობა ღმერთს, თუ ღვთისაგან მონიჭებული სიკეთე და ბედნიერება მიხაროდა, უსიამოვნობა და უბედურებაც უნდა მოვითმინო სულგრძელებით... არა მგონია და არა მჯერა კი, თუ სიმართლე დაიკარგება სადმე. ეს ნამდვილათ ვიცი და წამიკითხნია კიდეც, რომ: „ყრმა ვიყავ და დავბერდიცა და არა ვიხილე მართალი დაგდებულ, არცა თესლი მისი მთხოველ პურისა“. ეს თუმცა წამიკითხნია, მაგრამ არ მახსოვს, რომელს წიგნში სწერია. იფიქრა, იფიქრა დიდი ხანი და მოიგონა, რომ სოლომონ ბრძენის მამისაგან დაწერილ წიგნში სწერია. სოლომონის მამა დავითი დიდი მეფე იყო და ის ტყუილს არ დასწერავდა! ამ ფიქრში რომ იყო, უცებ მოაგონდა: ყველა მოსამართლეებმა მე გამატყუნეს, ჩამომაცალეს საცხოვრებელი და ცარიელი დამსვეს, წავალ და ერთი სოლომონ ბრძენთანაც ვიჩივლებ, ვნახოთ ღმერთი, რომელმანცა იცის ჩემი სიმართლე, რას ინებებსო? ეს გასაწყლებული სოვდაგარი ადგა

დაიწყო ვაითა და ვაგლახით ტარება, მივიდა სოლომონ ბრძენთან დ̃ შესჩივლა ყველაფერი თავისი დარდი. უბრძანა: „ამაღამ ვიანგარიშებ და ხვალ დილით მოდი და სამართალს მოგცემო". იმ ღამეს დაჯდა სოლომონი და იანგარიშა. იმან უფრო მეტათ მეტის-მეტი შეაყენა. გათენდა დილა, მივიდა საცოდავი სოვდაგარი და ელის სამართალს. სოლომონმა შეიყვანა სახლში, დასვა, დაიდვა ანგარიშის ქაღალდი და იმის თვალ წინ იანგარიშა. რასაკვირველია, თითონ სოვდაგარსაც კარგათ ეცოდინებოდა ანგარიში და თითონ იმასაც აანგარიშებინა. შეაყენეს ძრიელ ბევრისაგან ბევრი, თუმცა კიდეც თქვეს: ამდენი მოკვდებოდა, ამდენი კვერცხი გალაყდებოდა, ამდენი დაიკარგებოდა, ამდენს თითონ მოიხმარებდნენო, მაგრამ, რაც ჩაბარებული ჰქონდა დედაკაცს, მაინც იმაზე ბევრათ მეტი შეაყენეს. უბრძანა: „აბა, შვილო, რა გიყო, მითომ შენა ხარ მეფე და სხვა ჩივის, ხომ თითონ შენ იანგარიშე და რა სამართალს მისცემდიო? გაღარიბებულმა სოვდაგარმა ხმაც ვეღარ ამოიღო, დარჩა ჩაჩუმებული. სოლომონ ბრძენმა დაიწყო დარბაზში სიარული და მიეცა მეტათ დიდ და ღრმა ფიქრს. დახე ღვთის განგებას და სოვდაგრის სიმართლეს! მოაგონდა სოლომონს და ჰკითხა: ,,ის კვერცხები, რომლებიც შენ იყიდე მოხარშულები იყო თუ უმებიო?" — ,,მოხარშულები იყო, ბატონო''—მძლივ-მძლიობით პირში ნერწყვ გამშრალმა, უპასუხა. — ,,მაშ წადი დ̃ ხვალ შუადღისას მოდი". როდესაც გაშორდა სოვდაგარი, მაშინვე დაუძახა კარის კაცს სოლომონ ბრძენმა და გაგზავნა ყველა მოსამართლეებთან, რომლებთანაც კი საჩივარი ჰქონდა სოვდაგარსა და სხვა დიდებულებთანაც, რომ ხვალ დილით ყველანი უსათუოთ იმასთან შეკრებილიყვნენ.

მეორე დღეს დილით ადრიანათ აივსო სოლომონ ბრძენის პალატი მოსამართლეებით და დიდებულებით. ამ შეკრებილებაზე ყველა ერთმანეთს ეცნენ და არ იცოდნენ მიზეზი, თუ რისთვის იბარებდენ. მთელი ქალაქი შეიძრა და ხალხი შემოეხვია სოლომონის სასახლეს; ერთი სიტყვით, ბავშვიც-კი, რომელმაც ლაპარაკი იცოდა, ისიც აღარ დარჩა სახლში. სხვათა შორის მივიდა ეტლით გამარჯვებული და ახლათ გამდიდრებული დედაკაცი თავის გვარ-ნათესავებით, მხიარული სახით. საწყალი სოვდაგარიც დანიშნულ ვადაზე მივიდა და დადგა თვალცრემლიანი და გულ ხელ დაკრეფილი ერთ კუთხეში. რომელ მნახველს არ შაებრალებოდა ეს საცოდავი? ყაყანი, ერთი ალიაქოთი და ხმაურობა იყო ხალხში და ელოდნენ ახალი ამბვის გამოცხადებას. ამ დროს გამობრძანდა სოლომონ ბრძენი და უკან გამოჰყვნენ ყოველნი მოსამართლენი და დიდებულნი. ჩამოვარდა სიჩუმე ისრე, რომ გაფრენილი ბუზის ხმაც კი გაიგონებოდა. სოლომონმა გადახედა ხალხის სიმრავლეს მოღიმარი და მხიარული სახით და უბრძანა: „მე ეს მინდა გამოგიცხადოთ თქვენ, რომ ხალხისაგან ხშირათ მესმის სამდურავი მოუსავლობაზე, ამბობენ კარგი მოსავალი არ მოგვიდისო: არც ხორბლისა, არც ქერისა, არც ფეტვისა და არც ბოსტნეულისო. დიდი ხანია ვიკვლევ ამის მიზეზს და ვერა გზით ვერა გავიგე რა, მხოლოთ ამ ორ დღეში, მივხვდი, რომ მიზეზი მოუსავლობისა ის ყოფილა, რომ ყველა თესლეული გვითესნია მოუხარშავი, ამისათვის გიცხადებთ, რომ აუცილებელათ მოხარშოთ თესლეული და ისრე დათესოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში მიეცემა სასტიკ სასჯელს ის, რომელიც არ აასრულებს ჩემ ბრძანებას და მოუხარშავ თესლს დასთესს რასმე!“ ესრეთს გამოცხადებაზე ხალხი ჭკუიდან შეიშალა! დაიწყეს ლა-

პარაკი, ყველა განკვირვებას მიეცა, მაგრამ ვინ გაუბედავს, რომ მოახსენოს: „ეგ თქვენი ბრძანება და გამოცხადება სულ უსაფუძვლო არისო“. ხალხი დგას და ვერა უთქვამს რა. შემდგომ მრავლის ყოყმანისა, ხალხმა გამოითხოვა ერთი სოლომონის უპირველესი და უწარჩინებულესი პირი და მოახსენა: „ბატონო, როგორ? მოხარშულმა თესლმა ნაყოფი გამოიღოს?! ამისათვის გთხოვთ მოახსენო ჩვენს მაგიერათ, რომ ესრეთი ბრძანება შესცვალოს და ისევ ნება მოგვცეს მოუხარშავი თესლის დათესვისაო“.

დიდებული გამობრუნდა ხალხისაგან და მოახსენა მათ მაგიერათ ყოველი დაბარებული და თხოვნა. სოლომონმა უბრძანა: „მე თქვენს თხოვნას ავასრულებ, მაგრამ გიბრძანეთ კი, როგორც მოხარშულმა კვერცხებმა, რომლებიც მიუყიდნია ამა და ამ დედაკაცს სოვდაგარისათვის და გამოუღია მრავალი ნაყოფი, ესე იგი, მოხარშულ კვერცხებს გამოუჩეკნია წიწილები, ამ წიწილებს—წიწილები და ესრეთ რამდენისამე წლის განმავლობაში გასყიდულის ქათმებისაგან შემდგარა აუარებელი სიმდიდრე, ეგრეთვე თესლეულიც რომ მოხარშოთ და ისრე დათესოთ, გამოიღებს მრავალს ნაყოფს“. ეს რომ ხალხმა გაიგონა, ერთი ხმით დაიყვირეს: „მოხარშული კვერცხებისაგან წიწილები არ გამოიჩეკებიანო!“ სოლომონ ბრძენსაც ის უნდოდა, რომ ხალხისათვის გარდაეწყვეტინებინა დავა დედაკაცისა და სოვდაგრისა. გაიგონა რა ესრეთი პასუხი ხალხისაგან, მოუბრუნდა მოსამართლეებს და ჰკითხა: „რომლის კანონის ძალით გარდაუწყვიტეთ იმ დედაკაცს, რომელსაც მოხარშული კვერცხები გაუტანებია თავის სახლიდან მყიდველისათვისო?“ ყველანი ჩაფიქრდნენ და დაინახეს თავიანთი შეცთომა. მერე უბრძანა სოლომონმა: „წადით ჩამოართვით დედაკაცს, რაც სოვდაგრისათვის ჩამოგირთმევიათ და ჩაა-

ბარეთ პატრონს, ხოლო ორი შაური, კვერცხების ფასი, თავისი სარგებლით ჩააბარეთ დედაკაცს, ისრე რომ ეს ორი შაური თავნი ხუთ წელიწადს ერთი აბაზი გახდეს, ესე იგი, თავნი და სარგებელი დასწორდნენ ხუთ წელიწადში ერთხელ". გამოვიდნენ მოსამართლეები და მოიქცნენ ისრე, როგორც უბრძანა სოლომონმა. რადგანაც ოცი წელიწადი ყოფილიყო გასული კვერცხების გასყიდვიდან მობრუნებამდის, ამისათვის დედაკაცს შეუდგა: პირველ ხუთ წელიწადს ერთი აბაზი, მეორე ხუთ წელიწადს ორი აბაზი, მესამე ხუთ წელიწადს ოთხი აბაზი და მეოთხე ხუთ წელიწადს რვა აბაზი. ეს ფული მისცეს დედაკაცს სხვა ყოველი ჩამოართვეს და ჩააბარეს პატრონს; ასი თუმანიც რვა აბაზ ნაკლებ უკანვე მიიღო დედაკაცისაგან სოვდაგარმა. ნათქვამია: „სიმართლე [შვილითი შვილადმდეო".

# ს ი ზ მ ა რ ა.

(ზღაპარი სიღნაღის მაზრაში ს. ჯიმითს გაგონილი და ჩაწერილი თომა მთავრიშვილისაგან)

იყო ერთი ყმაწვილი; მას ჰყვანდა ერთი დედინაცვალი· დედინმცვალმა გასაშრობათ პური გაჰფინა და გერი გვერდთ მიუსვა. ყმაწვილს დაეძინა. პურთან ქათმები მოვიდენ და კენკვა დაუწყეს. დედინაცვალი გაჯავრდა, სცემა გერს და უთხრა: „რა ეშმაკმა დაგაძინა, პური ქათმებმა შეჭამესო!“ გერმა სთქვა; „დედი, დედი, მაცა, მაცა, რა გითხრათ!“

— რაო? უთხრა დედინაცვალმა.

ყმაწვილმა სთქვა: „ძილი მეძინებოდა, ძილმა წამიღო ბურანში, ცალი ფეხი ბაღდადს მედგა, ცალი ბაღდადის ბოლოსა; აქეთ მზე მეჯდა, იქით—მთვარე, შუქურ-ვარსკვლავი ხელ-პირს მაბანინებდაო!“

დედინაცვალს მოეწონა სიზმარი, სტაცა გერს ხელი და უთხრა: „მომეცი ჩქარა ეგ სიზმარიო!“ ყმაწვილმა უთხრა: „ე ხომ სიზმარი იყო, აბა რა მოგცეო?“

დედინაცვალმა სცემა და გააგდო ეს სიზმარა. წავიდა, იარა, ხელმწიფის კარზე მივიდა. ხელმწიფემ ჰკითხა:

— რას დადიხარ, ბიჭო, რას ეძებო?

ყმაწვილმა მოახსენა: ესე, ესე იყო ჩემი საქმე, დედი-ნაცვალმა მცემა და გამომაგდო. სიზმარი ხელმწიფესაც უამბო. ხელმწიფესაც მოეწონა ეს სიზმარი და უბრძანა: „მომეცი ეგ სიზმარიო!“ ყმაწილმა მოახსენა: „აბა რა მოგართვა, სიზმარი იყო, წავიდა და გაიარაო!“ აიღო ხელმწიფემ და ეს ყმაწვილი ხაროში ჩააგდო. ამ

ხელმწიფეს ჰყვანდა ერთი მზეთ უნახავი ქალი; შეეცოდა ქალს ეს ყმაწვილი: აიღებდა ხოლმე სადილის შემდეგ საჭმელს, უჩუმრა მიუტანდა სიზმარას და ხაროში ჩაუყრიდა. ეს ხელმწიფე დასავლეთის ხელმწიფე იყო. ამ მზეთ უნახავ ქალს აღმოსავლეთის ხელმწიფე სთხოვდა, მაგრამ მამა არ აძლევდა.

ერთხელ აღმოსავლეთის ხელმწიფემ გამოუგზავნა ამ ხელწიფეს ოთხი დიდი ჭაკი ცხენი და შემოუთვალა: „გამოიცან, რომელია მაგ ცხენებში დედა, რომელი უფროსი კვიცი, რომელი საშუალო და რომელი პატარა; თუ გამოიცნობ, ხომ კარგი, თუ არა და—შენი ქალი ჩემიაო!"

დაღონდენ ხელმწიფე და მისი ქალი, რადგან ეს გამოცანა ვერ გამოიცნეს. წავიდა ქალი სიზმარასთან და უთხრა: „რა გეშველება, შე საწყალო სიზმარავ, მე ხომ აღმოსავლეთის ხელმწიფეს მივყევარ, შენ აქ მშიერი მოჰკვდებიო", და უამბო გამოგზავნილი ცხენების ამბავი.

სიზმარამ უთხრა: „ნუ გეშინიათ; დაუდეთ ცხენებს მარილი და ბლომათ აჭამეთ, მერე თავლაში შერეკეთ და კარი დაუკეტეთ; მეორე დღეს, კარებს რომ გააღებთ, დაუკვირდით: პირველათ წყლისათვის გამოვა დედა, იმას გამოჰყვება სულ პატარა კვიცი, პატარა კვიცს მიჰყვება იმაზე უფროსი და სულ ბოლოს გამოვა დიდი კვიციო."

ქალი წავიდა და მამას ასე უამბო; და მართლაც, ასეც გამოდგა. ეს გამოცანა რომ გამოიცნა, ახლა მარილის ქვა გამოუგზავნა და შემოუთვალა: „ამ მარილის ქვას თუ კოპად დახევ, დაგეხსნები, თუ არა და—შენი ქალი ჩემიაო!"

წავიდა ქალი ისევ სიზმარასთან და ეს გამოცანაც უამბო. „ნუ გეშინიან“, უთხრა სიზმარამ—: „მამა შენს უთხარ: გაატანე უკანვე ეგ მარილის ქვა და შეუთვალე, რომ პირი აართვი ამ მარილის ქვას: როგორ გიდა დახევა—მსხვილათ თუ წვრილათ, რომ მეც იმ ყაიდაზე დავხით-თქო.“

ესეც რომ მოუგო, მაშინ აღმოსავლეთის ხელმწიფემ ისარი გამოჰკრა; ეს ისარი ამ ხელმწიფის სახლის წინ ჩაერჭო და ვერავინ ის ადგილიდან ვერ დაძრა!

მივიდა ქალი ისევ სიზმარასთან და უთხრა ასე: „აღმოსავლეთის ხელმწიფემ ისარი გამოჰკრა და ჩვენ ეზოში ჩაესო, კაცი არ არის, რომ იმას მოძრაობა უყოსო; მე წამიყვანენ და შენ რა გეშველება, ხომ შიმშილით მოკვდებით!“

— „ნუ გეშინიან,“ უთხრა სიზმარამ: „ამაღამ მე ამოვალ და ამოვიღებო“. მართლაც, იმ ღამეს სიზმარა ამოვიდა, მიანძრ-მოანძრია, ამოიღო და იქვე დააგდო; ჩავიდა და ისევ ხაროში ჩაჯდა.

მეორე დილას გამოვიდა ხელმწიფე და გაკვირდა: „ვინ ამოიღო, ვინა, რომ ჩემი ქალი იმას მივცეო.“ ყველა იძახის: „მე, მეო!“ მაგრამ ხელმწიფე რო ეტყოდა: „აბა, თუ შენ ამოიღე, ეხლაც დასძარ ადგილიდანაო‘‘—ისარი ვერავინ ვერ დაძრა. მაშინ ქალმა უთხრა: „მამავ, იქნება ი სიზმარა, ხაროში რომ ჩავაგდეთ, ცოცხალი იყოს და იმან ამოიღოვო?“ გაგზავნეს ვეზირები, ნახეს, სიზმარა დევს დამგზავსებია. მოიყვანეს სიზმარა. აიღო ხელში ისარი, გაჰკრა და აღმოსავლეთის ხელმწიფის სახლში ჩაერჭო. მეფეს გაუხარდა და სიზმარაზე დასწერა ჯვარი თავისს ქალს. ორი-სამი კვირა ქალი და ვაჟი ერთმანეთთან იყვნენ. შემდეგ ადგა სიზ-

მარა და გაემართა იმ ხელმწიფის საომრათ. კარგა გზა რომ გაიარა, ერთი კაცი დაინახა; ეს კაცი თანა ხნავს და თან მოხნულ ბელტოებსა ჰყლაპავს!

— კაცო, კაცო! ძალიან ძნელ საქმეს არ ჩადიხარ, რომ მაგოდენა ბელტოებსა ჰყლაპავო?!—ჰკითხა სიზმარამ.

— ეჰ! რა ძნელი საქმეა? ძნელი საქმე ის არის, სიზმარამ რომ ჰქმნა: ჩვენი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორე ხელმწიფეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, მოდი ჩემთან, იყავ ჩემი ძმაო! უთხრა სიზმარამ. წავიდნენ ორნი. ნახეს ერთ ალაგას, რომ ერთ კაცს გადაუბოტნია ზღვაზე და სრუტავს ზღვას!

სიზმარამ უთხრა:—ძალიან საქმე არ არის, მაგოდენა ზღვასა სრუტავო!

— ეჰ! ძნელი საქმე ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ჩვენი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, მოდი ჩვენთან, იყავ ჩვენი ძმაო! წავიდნენ სამნი. ნახეს, ერთ კაცს წისქვილის ქვა შემოეცვა ფეხზე და კურდღლებს იჭერდა! გაუკვირდათ სუყველას და უთხრეს:

— კაცო, კაცო, რა ძნელ საქმეს ჩადიხარო?!

— ეჰე! ეს რა ძნელი საქმეა? ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო!

— მეც სიზმარა! წამოდი ჩვენთანო, უთხრა სიზმარამ.

წავიდნენ ოთხნი. ნახეს, ერთ კაცს ყური დაუდვია მიწისათვის და რაღაცას ლაპარაკობს. ჰკითხეს:

— კაცო, რას შვრებით? იმან უთხრა: „ქვეშქნელს ჭიანჭველები იძრძვიან და მე აქედან ვაშველებ და სამართალს ვაძლევო“.

ძალიან ძნელი საქმე უნდა იყოს ესაო! — უთხრა სიზმარამ.

— ეჰ! ძნელი საქმე ის არის, სიზმარამ რომ მოახდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ელოდებაო!

— მე ვარ სიზმარა, წამოდი ჩვენთანაო! წავიდნენ ხუთნი. ნახეს ერთ კაცს ისარი უსროლია ზევით და შეჰყურებს. ჰკითხეს: „რას შეჰყურებო?“ იმან უპასუხა: „აი, სამი დღეა, რაც ისარი გავჰკარ ცისაკენ და აგერ ახლა დაბრუნდა ქვევითო.“

— ოჰ! ძალიან ძნელი საქმე არ გიქნია?! — უთხრა სიზმარამ.

— ეჰ! ეს რა ძნელი საქმეა? ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ელოდებაო!

— მე ვარ სიზმარა, მოდი ჩვენთანო. წავიდნენ ექვსნი. ნახეს, რომ ერთი კაცი მიჰპარვია მტრედებს, აძრობს მათ ფრთებს და ერთი მტრედის ფრთას მეორეს უკეთებს, მეორისას — მესამეს, მესამისას — მეოთხეს და მტრედები ვერ უგებენ!

— უჰ! ძალიან ძნელი საქმე არ არის ეს, რომ მტრედები ვერ გებულობენ ფრთების გამოცვლასაო?! უთხრეს.

— ეჰ! ეს რა ძნელი საქმეა? ძნელი ის არის, სიზმარამ რო ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ელოდებაო!

— მე ვარ სიზმარა, იყავ ჩვენი ძმაო! წავიდნენ შვიდნი. ნახეს, ერთ მღვდელს ეკკლესია აეკიდნა და, სადაც უნდოდა, იქ დასდგამდა და სწირავდა!

— ოჰ! მღვდელო, მღვდელო! ძალიან დიდ საქმეს არა შვრები, რომ მაგოდენა ეკკლესიას დაარბენინებო?!

— ეჰ! ეს რა ძნელი საქმეა? ძნელი ის არის, სიზმარამ რომ ჩაიდინა: ერთი ხელმწიფის ქალი შეირთო, მეორეს ეომებაო!

— მე ვარ სიზმარა, იყავ ჩვენი ძმაო!—უთხრა სიზმარამ. წავიდნენ რვანი. მივიდნენ აღმოსავლეთის ხელმწიფესთან და ქალი თხოვეს. ამ ხელმწიფემ უთხრა: „ჯერ გამოგცდით, რა უნარის კაცები ხართ და მერე მოგცემთ ქალსაო: სამ დღეს ჩემს ხაბაზებს პურს ვაცხობინებ და თუ თქვენ ერთ დღეს შეჭამთ, ხომ მოგცემთ ქალს, თუ არა და—თავებს დაგაყრევინებთო!"

არიქა! უთხრეს ბელტო-ყლაპიას: კაცო, თუ იმოდენა ბელტოებსა ჰყლაპავდი, ამ გამტკიცებულ პურს როგორ ვერ შეჭამო!

— თქვენ არხეინათ იყავით, ისე შევჭამ, რომ ერთინამცეცი არ დარჩესო! თქვა ბელტო-ყლაპიამ.

გამოაცხვეს მრავალზე უმრავლესი პური, მაგრამ ბელტო-ყლაპიას ერთი ნატეხიც არ დარჩომია.

— კარგიო, უთხრა ხელმწიფემ: ახლა კიდევ ღვინოს დაგალევინებთ; თუ ჩემს ექვს ურმიან ქვევრს ერთ დასხდომაზე დასცლით, ხომ მოგცემთ ქალს, თუ არა და თავებს დაგაყრევინებთო!

— აბა, ძმაო ზღვა-ხვრეპიავ, თუ კი იმლაშე წყალსა ხვრეპავდი, ამ ღვინოს კი ვერ დალევ?

— თქვენ, ძმავ, მიმიყვანეთ და იმისი მე ვიციო! მიიყვანეს ზღვა-ხვრეპია ქვევრთან, დახედა ქვევრს, გაი-

ცინა და თქვა: „აბა, ძმაო, ხრუპი ვქნა, ხრუპი არ არის და სრუპი ვქნა, სრუპი არ არის!“ დაეწაფა ქვევრს და მოამაწაწურა.

— კარგიო, თქვა ხელმწიფემ: ახლა მოდით და სამი დღის სავალიდან წყალი მოვატანინოთ: თქვენ თქვენი კაცი გაგზავნეთ, მე ჩემს კაცს გავგზავნი, თუ ჩემმა კაცმა მოუსწრო, არც ქალს მოგცემთ და თავებსაც დაგჭრით, თუ თქვენმა კაცმა მოუსწრო, მაშინ ჩემი ქალი წაიყვანეთო.

ახლა კურდღელს რომ იჭერდა, იმას უთხრეს: „კაცო, ბორბლიანი კურდღლეს იჭერდი, წყალს მალე როგორ ვერ მოიტანო?“

— კაცო, გამგზავნეთ და მე ვიციო!

წავიდნენ ბორბლიანი და მეფის კაცი. ერთი დღე რომ ირბინეს, ჩამორჩა უკან მეფის კაცი, ბორბლიანი კი მირბის და მირბის. მეფის კაცმა ხერხი მოიგონა; დაუძახა და უთხრა: „კაცო, მოიცა, ნელა წავიდეთ, თავებს რაზე ვიხოცამთ, ცოტა შევისვენოთ და ისე ვიაროთო“. ამანაც დაუჯერა; დასხდენ, პური ჭამეს, ღვინო დალიეს. პურის ჭამის დროს მეფის კაცმა ბორბლიანს ღვინის მაგივრათ ბანგი შეაპარა. დაწვა ბორბლიანი და დაეძინა. მეფის კაცი კი წავიდა, ორი დღის სავალი გზა გაიარა, მივიდა წყალთან, აავსო ჭურჭელი და გამოიარა კიდეც ერთი დღის სავალი გზა. ბორბლიანს-კი ისევა ძინავს იქ. სიზმარამ უთხრა მეისრეს: „აბა ერთი გაიხედე და გაიგე, ის კაცი მოდის, იქავე არის, თუ რა დაემართაო?“

გაიხედა და თქვა: „ვაიმე, ვაიმე! კაცს შუა გზაზე სძინავს და იმათ კაცს-კი აუვსია ჭურჭელი და მოდისო!“

— აბა თუ გვიშველი რასმე! შესძახეს სუყველამ

მომართა მეისრემ შვილდ-ისარი, გატყორცნა და ბრაგვანი შეადინა ბორბალში. დაიმსხვრა ბორბალი, გამოედევნა ამ ბორბლიანს, მოჰკურცხლა წყლისაკენ, აავსო ჭურჭელი წყლით და ერთი დღის სავალით კიდევ მოუსწრო მეფის კაცს.

— ახლა-კი დაიწერე ჯვარიო, უთხრა მეფემ სიზმარას. წაიყვანეს და ჯვარი დასწერეს. იმ ღამეს მეფემ გამართა ძალიან კარგი ნადიმი, მაგრამ თავის კარის კაცებს უჩუმრა უთხრა: სტუმრების კერძში ისეთი წამალი ჩაერიათ, რომ სუყველანი მოწამლულიყვნენ და დახოცილიყვნენ.

ამ საიდუმლო ლაპარაკს ყური მოჰკრა ქიანჭველების მოსამართლემ და უთხრა ეს ამბავი, მტრედებს რომ ფრთებს უცვლიდა—იმას. ამან კიდევ ისე დაუცვალა თეფშები, რომ მეფის ხალხმა ვერ გაიგო-რა და, ვინცა ჭამა, ყველა დაიხოცა.

— ახლა მომიყვანეთ ისეთი კაცი, რომ დაძრას ჩემის ქალის მზითევიო! თქვა მეფემ.

— არიქა, მღვდელო, გვიშველე! თუ კი იმოდენა ეკკლესიას დაარბენინებდი, ამ მზითევს როგორ ვერ დასძრავო?

თქვენ დარდი ნუ გაქვთ, სთქვა მღვდელმა: მზითევს კი არა, თუ გინდ თქვენც ზედ დასხედითო.

დააწყვეს მღვდელს მზითევი; ის კი იძახის: ,,მოიტათ, მოიტათო!‘‘

წამოვიდნენ სუყველანი და შინ მშვიდობით მოვიდნენ. ყველამ თავ-თავისი ადგილი მონახა და თავის საქმეზე დადგა.

ამ მოგზაურობაში გავიდა ხუთი-ექვსი წელიწადი, უწინდელ ცოლს ვაჟი ვეებერთელა გაეზარდა. როცა

სიზმარა თავისს უწინდელ სიმამრთან მივიდა, ერთი ცოლი ერთ მხარეს მოისვა, მეორე-მეორეს. ვაჟი-შვილმა აიღო ოქროს სურა, დაუდგა თავის მამას წინ ოქროს ტაშტი და ხელ-პირი დააბანინა.

— აი, მოახსენა სიზმარამ სიმამრს და გაიშვირა ხელები ცოლებისკენ: ,,ეს მზეა და ეს მთვარე, აი ეს კიდევ შუქურ-ვარსკვლავია, ხელ-პირს რომ მაბანინებს; აბა ესენი როგორ მოგცე შენო?!''

მერე მეფემ დაულოცა თავისი ტახტი სიზმარას და თავისი სამეფო და გვირგვინიც იმას გადასცა.

# ხალხური ლექსები

(შეკრებილი ს. მერკვილაძისაგან)

## სიმღერა

ყარანა გასუქებულა
ყარანეის ყანაშიო,
წავალ ყარანას მოვიყვან,
თოკს მოვაბამ კისერშიო;
ყარანა რომ დავინახე,
თოკი მოვასწარ ყელშიო,
შევჯექი და გავაჭენე,
გავასოსმანე წელშიო,
წინ კაცი შემომეყარა:
— „გამიცვალე ჩემ ცხენშიო.“
ეს ყარანამ დეიხუა,
გადამივარდა კლდეშიო,
წინა ფეხი მოიტეხა
უკანა კაწაწებშიო.

—

ცრუ კაცი, ამპარტოვანი
ურჩობას მოეკიდება:
მთვრალია თუ ფსიზელია
სუყველას წაეკიდება.

—

ხუცესმა უთხრა ხუცესსა:
მოდი წავიდეთ რუსეთსა!
—მე წასვლა არ მეზარება,
თუ კი გავიძღებ მუცელსა.